www.24saati.ge
# 24 საათი
The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს
© გაზეთი 24 საათი | შაბათი 28 თებერვალი, 2009 წელი. №44 (2082) | ფასი 50 თეთრი

## ძლევენი პარლამენტსაც ანათებს

A2



## რუსული სოფლების "უცენზურო" სახელები

A8




## ასი პროცენტი

A7



# რუსულ-სეპარატისტული ჩიხი

*ევროკავშირის მტკიცე პოზიციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარების მიმართ მოსკოვიც და სეპარატისტული რეჟიმებიც საკმაოდ შეაშფოთა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ბელარუსს განუმარტა, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის შემთხვევაში ევროპის აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, სეპარატისტებმა და მათმა მფარველებმა ევროპა ზეწოლაში და "მიკერძოებულობაში" დაადანაშაულეს და ჟენევის მოლაპარაკებათა ჩაშლითაც დაიმუქრნენ.*

დიმიტრი ავალიანი

გუშინ სოხუმში გაერო-ს სპეცწარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან შეხვედრაზე აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებელთა მანდატის პერსპექტივები განიხილა.

შამბამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზური მხარე გაერო-ს მანდატის **"სამართლებრივად განსაზღვრას"** მოითხოვს, სოხუმის ახალი წინადადებებისა და **"რესპუბლიკის შეცვლილი სტატუსის"** გათვალისწინებით.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ტერი დევისი: "რუსეთმა საკუთარი თავი იზოლაციაში მოაქცია"*

# მარიონეტები ეთნიკურ წმენდას განაგრძობენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრის ინფორმაციით, გუშინ ღამით სეპარატისტებმა გალის რაიონის სოფელ მეორე ოტობაიადან 50-მდე ოჯახი გააძევეს. გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციამ ამ დღეებში გალის რაიონში დამატებით კიდევ 30 ერთეული მძიმე ტექნიკა განალაგა. მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდევნილი ოჯახების დაბრუნების სანაცვლოდ აფხაზური მილიციის მიერ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილ ირაკლი ბიგვავასა და მისი მამის მურმან ბიგვავას გადაცემას ითხოვდნენ. აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს სოფელ ოტობაიადან ქართველების გამოყრის ფაქტი.

გაგრძელება A3 გვერდზე


AFP ' 2009

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

24 საათი | The New York Times — Articles selected for 24 საათი | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი □ნიუ იორკ თაიმსთან□ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის □24 საათის□ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება □24 საათისგან□დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;
8 (99) 62 02 20 ვანო ამირანაშვილი.

## პროექტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროში

პროექტი სახელწოდებით - "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეფორმის ხელშეწყობა" ავსტრიულმა კომპანიამ "Human Dynamics"-მა განახორციელა. პროექტის ზოგადი მიზანი იუსტიციის სამინისტროში სრულმასშტაბიანი შიდა ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის რეფორმის ხელშეწყობის გზით საქართველოში საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმების მხარდაჭერა იყო. ამასთან, პროექტი მიზნად ისახავდა იუსტიციის სამინისტროში სტრატეგიული დაგეგმარების, ადამიანური რესურსებისა და ბიუჯეტის მართვის პროცესების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ასევე სამოქალაქო რეესტრის გამჭვირვალე და ეფექტური მართვის ხელშეწყობას. პროექტის საერთო ხანგრძლივობამ 31 თვე შეადგინა. **პირველი**

## სოხუმის რეჟიმმა ინდოეთის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოსკოვში ინდოეთის საკონსულომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამავდროულად რუსეთის მოქალაქეებად ითვლებიან, ვიზების გაცემაზე უარი განაცხადა. ორმაგი მოქალაქეობის მქონე აფხაზები ინდოეთში ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის უნივერსიტეტის მიწვევით საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდნენ, თუმცა ინდოეთის საკონსულომ მათ ვიზები არ მისცა. აღნიშნულის შესახებ მარიონეტულმა საგარეო უწყებამ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრაბხატუ შუკლას და რუსეთში ინდოეთის ელჩ პრანაბუ მუკერჯის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ინდოეთის მიმართ უკმაყოფილებაა გამოთქმული. **პირველი**

## ირაკლი ალასანია ბენიტა ფერერო-ვალდნერს შეხვდა

გუშინ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ევროკავშირის კომისართან საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერთან შეხვედრა გამართა. გარდა ამისა, ის ბრიუსელში ასევე შეხვდა ევროკომისიის აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის სამეზობლო პოლიტიკის დირექტორ გუნარ ვიეგანდს, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში პიტერ სემნებსა და სხვა ოფიციალურ პირებს. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების გზებსა და კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივებზე. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

## ადამიანის უფლებათა კომისია - "პოლიტპატიმრების" შესახებ

გუშინ პროგრამის - "პოლიტიკური პატიმრები და დევნილები საქართველოში" - ფარგლებში ადამიანის უფლებათა კომისიამ კიდევ სამი პატიმრის პოლიტპატიმრობა დაადგინა. გუშინ კომისიამ მოისმინა ოთხი პიროვნების საქმე და მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ ლუკა რამაზაშვილი, დავით ტატიშვილი და ომარ ქუცნაშვილი პოლიტპატიმრები არიან, ხოლო ვალერი გელბახიანი პოლიტძებნილია. კომისიის შემადგენლობაში შედიან უფლებათადამცავი ორგანიზაცია და "კონსერვატიული პარტია". გუშინდელ ბრიფინგზე კომისიის წარმომადგენელმა, "კონსერვატორმა" კახა კუკავამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა. მან მოითხოვა, რომ კომისიის მუშაობის დაწყებიდან გამოვლენილ 12 პოლიტპატიმარს და ერთ პოლიტიკურ ძებნილს 9 აპრილამდე ბრალეულობა მოეხსნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია მკაცრი ზომების მიღებაზე საუბრობს. **მედიანიუსი**

## კიევში სუამ-ის შტაბ-ბინა გაიხსნა

კიევში ორგანიზაცია სუამის შტაბ-ბინა გაიხსნა. ცერემონიალსაც ესწრებოდნენ უკრაინის პრეზიდენტი, საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები და მოლდოვას პრეზიდენტის წარმომადგენელი. უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს განცხადებით, ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობისთვის ყველა პირობაა შექმნილი, ამიტომ სუამ-ის პრიორიტეტები სავაჭრო, სატრანსპორტო და ეკონომიკური მიმართულებები უნდა იყოს.

უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტი იუშჩენკო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა. შეხვედრაზე იუშჩენკომ და ვაშაძემ ორმხრივი აქტუალური საკითხები განიხილეს. კერძოდ, საუბარი იყო ენერგეტიკული საკითხებისა და 2009 წელს საქართველოში გასამართი ენერგეტიკული ფორუმის შესახებ. მხარეებმა ასევე განიხილეს სუამ-ის თანამშრომლობა და გაერო-სა და ეუთო-ს როლი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. **მედიანიუსი**

# ძღვენი პარლამენტსაც ანათებს

გიორგი ასანიშვილი

*საჩუქარზე უარის თქმა ყველას უჭირს, რიგითი მოქალაქე იქნება ის თუ საჯარო მოსამსახურე. ამიტომაც იწვევს დეპუტატების უკმაყოფილებას მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, საჯარო ან მასთან დაკავშირებულ პირებს ძვირფასი საჩუქრების მიღების უფლება ეზღუდებათ. პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი ღიად აცხადებს, რომ მეორე მოსმენის დროს კანონპროექტის ამ სახით მიღებას პარლამენტი მხარს არ დაუჭერს.*



კანონპროექტის თანახმად, თუ საჯარო მოსამსახურე ან/და მასთან დაკავშირებული პირი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ მისი ღირებულება კანონით დასაშვებ 300-ლარიან ზღვარს აღემატება და გარკვეული მიზეზების გამო (მაგალითად, ფოსტით მიღება ან საჯაროდ გადაცემა) ძღვენზე უარის თქმა შეუძლებელი იყო, მაშინ ის ვალდებულია, საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულება, აგრეთვე მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო თავად აკრძალული ძღვენი სამი სამუშაო დღის განმავლობაში გადასცეს შესაბამის სახელმწიფო სამსახურს.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ასეთი საკანონმდებლო ცვლილება არაერთ პრობლემას და უხერხულობას წარმოშობს.

**"რა ვქნა, როგორ მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ ე.წ "დიპლომატიურ საჩუქრად", ვთქვათ, რომელიმე ცნობილი დიზაინერის ნამუშევარს შემომთავაზებენ? მოვითხოვო, რომ მას ფასი მიაწებეთ და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურაც მოაყოლეთ-მეთქი?"** - გაურკვევლობაშია მაჭავარიანი. თუმცა, მისი მოყვანილი მაგალითით ცოტა ძნელია იმის დადგენა, თუ რა პრობლემა შეიძლება შეექმნას საჩუქრის მიმღებ საჯარო პირს - კანონპროექტიდან ნათლად ჩანს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებს პირველი ვიცე-სპიკერის მიერ დასახელებული შესაძლო შემთხვევები უკვე აქვთ გათვალისწინებული.

მიხეილ მაჭავარიანის კიდევ ერთ არგუმენტი ის არის, რომ ე.წ "დიპლომატიური საჩუქარი" ევროსაბჭოში თუ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში სხვადასხვა თანამდებობის პირებისთვის მას არაერთხელ გადაუცია, მაგრამ მათი ფასი არავის უკითხავს. თუმცა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მაინც ახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც თბილისში სტუმრად მყოფმა ერთ-ერთმა ამერიკელმა კონგრესმენმა მისთვის ნაჩუქარი ავტოკალმის ფასი ჰკითხა, რადგან 150 დოლარზე უფრო ძვირიანი საჩუქრის მიღების უფლება არ ჰქონდა...

მთავრობის მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი კანონპროექტის გასაკრიტიკებლად პარლამენტის მეორე პირს მთლად "ცინცხალი" მაგალითი მოჰყავს. ამ დღეებში მიხეილ მაჭავარიანი ოფიციალური ვიზიტით ერევანში იმყოფებოდა, სადაც მისთვის სომხური კონიაკები უჩუქებიათ.

**"რა უნდა გამეკეთებინა? უნდა მეთქვა, ზღვარს აღემატება და რამდენიმე ბოთლი გადაღვარეთ-მეთქი?"** - აღშფოთებულია პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი, რომელიც პირობას დებს, რომ პარლამენტმა რა კანონიც არ უნდა მიიღოს, ცნობილ სომხურ ბრენდს მაინც არავის გადასცემს.

გამოსავლის პოვნას და "ოქროს შუალედის" მონახვას ცდილობს ხათუნა გოგორიშვილი. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე შეახსენებს კანონპროექტის ავტორებს, რომ საზღვარგარეთული ვიზიტების დროს პარლამენტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული საჩუქრები საკანონმდებლო ორგანოს ფოიეშია გამოფენილი. თუმცა, მიხეილ მაჭავარიანისთვის ეს ვარიანტიც მიუღებელია.

**"მე ჩემს კონიაკს აქ არ მოვიტან და არ გამოვფენ,"** - სომხურ კონიაკს ვერაფრით შელევია პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

არადა, უკან დახევას არც მთავრობა აპირებს: კანონპროექტის მომხსენებელი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე აცხადებს, რომ თუ ე.წ "დიპლომატიურ საჩუქრებზე" 300-ლარიანი ზღვარი გაუქმდება, ამან, შესაძლოა, არასასურველი შედეგები მოიტანოს და საჩუქარი უკანონო გარიგების საფუძველი გახდეს...

"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს გუშინ პარლამენტმა 72 ხმით, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კონსენსუსი მოიძებნა: ძვირფასი საჩუქრის მიღების უფლების შესანარჩუნებლად ბრძოლას დეპუტატები კანონპროექტის მეორე მოსმენის დროს გააგრძელებენ.

# "გახდი ოლიმპიელი"

მარი ახსიაშვილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ამიერიდან მოსწავლეთა სასწავლო ოლიმპიადები უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური იქნება - ისინი 8 საგანში ჩატარდება და მათში 5 სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორია მიიღებს მონაწილეობას. ეს ინიციატივა გუშინ ნიკა გვარამიამ სპეციალურ ბრიფინგზე გააჟღერა. სასკოლო ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ინფორმატიკა.

სასკოლო ოლიმპიადების მიზანი იქნება ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმების ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება და საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

"ვვარაუდობთ, რომ სასკოლო ოლიმპიადებში 50 000-მდე მოსწავლე ჩაერთვება. მოვუწოდებთ ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მოსწრებისა, აქტიურად ჩაებნენ ოლიმპიადაში და გამოავლინონ თავიანთი ცოდნა. ჩვენ გამოვავლენთ ძალიან ბევრ ახალ სახელს, წარმატებულ ადამიანს. ეს ინიციატივა ყოველწლიური იქნება, მომავალში ოლიმპიადის მასშტაბებს უფრო გავაფართოვებთ და საგნობრივ ჯგუფებს გავზრდით," - განაცხადა ნიკა გვარამიამ.

10 გამარჯვებული მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. ასევე გამოვლინდება 10 საუკეთესო სკოლა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდება.

ოლიმპიადა ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდება. მოსწავლეთა რეგისტრაცია 8 მარტამდე იწარმოებს. ოლიმპიადის შესარჩევი ტური თბილისსა და ყველა რაიონულ ცენტრში 28 - 29 მარტს, დასკვნითი ტური კი 2-3 მაისს ჩატარდება. მომავალი წლიდან შესარჩევ და დასკვნით ტურებს რეგიონული ტურიც დაემატება. სასწავლო ოლიმპიადას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# რუსულ-სეპარატისტული ჩიხი

პირველი გვერდიდან

შამბამ აღნიშნა, რომ სოხუმი გაერო-ს დამკვირვებელთა აფხაზეთში ყოფნით დაინტერესებულია, თუმცა შეუძლებლად მიიჩნევს მათ შეცვლას ევროკავშირის დამკვირვებლებით.

მან ამის მიზეზიც განმარტა - სოხუმისთვის განსაკუთრებით მტკივნეული გახდა ევროკავშირის პოზიცია ბელარუსის მიერ საქართველოს სეპარტისტული რეგიონების აღიარებაზე. შამბამ ბრიუსელის პოზიციას ზეწოლა უწოდა და აღნიშნა - **"აფხაზური მხარე კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ევროპული სტრუქტურები ანგაჟირებულები არიან და ვერ გახდებიან ობიექტური და მიუკერძოებელი შუამავლები კონფლიქტის მოგვარებაში."**

უკმაყოფილება ევროკავშირის პოზიციით ცხინვალის მთავრობამაც გამოთქვა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყება ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობის შეწყვეტითაც დაიმუქრა. ოსურმა მხარემ ბელარუსის მიმართ ევროკავშირის პირობას **"პოლიტიკური ზეწოლა და შეუნიღბავი შანტაჟი"** უწოდა. ცხინვალში აცხადებენ, რომ ევროპელებს **"არ სურთ, თვალი გაუსწორონ არსებულ რეალობას."**

ბელარუსზე ზეწოლაში ევროკავშირი რუსეთის საგარეო უწყებამაც დაადანაშაულა. როგორც სააგენტო "იტარ ტასს" რუსეთის დიპლომატიურ უწყებაში განუცხადეს, ამ საკითხის თაობაზე ევროკავშირის მაღალჩინოსანთა განცხადებები **"პოლიტიკურად შოკისმომგვრელია"** და **"სხვა არაფერია, თუ არა უხეში ზეწოლა სუვერენულ სახელმწიფოზე."** რუსეთის საგარეო უწყებაში ისიც აღნიშნეს, რომ ევროპის ამგვარი **"არაკონსტრუქციული და კონფრონტაციული მიდგომა"** ხელს არ შეუწყობს დიალოგს ჟენევის პროცესის ფარგლებში.

იმის შესახებ, რომ ევროპა რუსული აგრესიის შედეგების ცნობას არ აპირებს, გუშინ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმაც განაცხადა. როგორც მან რადიო "ეხო მოსკვის" ეთერში აღნიშნა, ამ საკითხში რუსეთის პოზიციას პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ეწინააღმდეგება. **"ამ მხრივ რუსეთმა საკუთარი თავი იზოლაციაში მოაქცია,"** - აღნიშნა დევისმა.

**"აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მსოფლიოში არავის ულიარებია, ამიტომაც რუსეთმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს, თუ რატომ აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში,"** - აღნიშნა დევისმა.

მან არ გამორიცხა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომავალ სესიაზე რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების საკითხის დაყენება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ ასამბლეის რეზოლუციის შეუსრულებლობის გამო. რეზოლუცია შეიცავს რუსეთის მიმართ კატეგორიულ მოთხოვნას, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. დევისის თქმით, ასამბლეაში **"ცოტა ვინმე თუ იზიარებს რუსეთის პოზიციას კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებში, თუმცა უმრავლესობა დადებითად აღიქვამს იმას, რომ რუსეთი ასამბლეაში მონაწილეობს და კრიტიკასაც ისმენს."**

# მარიონეტები ეთნიკურ წმენდას განაგრძობენ

პირველი გვერდიდან




AFP ' 2009

გალის რაიონის ე. წ. მილიციის უფროს ლოურენს კოლონიას თქმით, ადამიანების გამოყრაზე და გამოსახლებაზე საუბარიც კი არ ყოფილა. კოლონიას დაეთანხმა სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაგაფშის რწმუნებული რუსლან ქიშმარიაც. მან აღნიშნა, რომ ქართული მხარე შეგნებულად ძაბავს ვითარებას ჰაიდი ტალიავინის ვიზიტის წინა პერიოდში. ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელ ტალიავინს აფხაზეთში ვიზიტი 2 მარტს აქვს დაგეგმილი, - განმარტა ქიშმარიამ.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. გრიგოლ ვაშაძის უწყების განცხადებით, 2009 წლის 25 თებერვალს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში სასტიკად სცემეს და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს გალის რაიონის მკვიდრი ირაკლი ბიგვავა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ე.წ. აფხაზურ შეიარაღებულ ძალებში გაწვევაზე. საპასუხოდ, ადგილობრივი მოსახლეობის დაშინების მიზნით, 26 თებერვალს სოფელ ოტობაიადან სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ბანდ-ფორმირებების მიერ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მფარველობით გამოდევნეს 50-მდე ოჯახი.

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ სოფელ მეორე ოტობაიაში მომხდარი ინციდენტი ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის დაწყებად შეაფასა. მალაშხიას კომისიამ საერთაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნულ ფაქტებზე სწრაფი რეაგირებისა და, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კონფლიქტის ზონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდა. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არა მხოლოდ ოტობაიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ არის საუბარი. **"კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეები კრიმინალთა და სამართალდამცავთა თვითნებობისგან პრაქტიკულად დაუცველნი არიან. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფაქტობრივი ოკუპაციის შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. გალის მოსახლეობას აიძულებენ, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და აიღონ აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი,"** - აღნიშნულია კომისიის განცხადებაში.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის თქმით, რაც მეორე ოტობაიაში მოხდა, ეს არის ოკუპანტების ზურგს ამოფარებული კრიმინალური ელემენტების კლასიკური ფაშისტური მეთოდით მოქმედების ტიპური მაგალითი. მისივე განმარტებით, ქართულმა მხარემ მიმართა გაერო-ს, რათა მან ოტობაიაში მომხდარ ინციდენტზე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება.

სახელმწიფო მინისტრის მიმართვის შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი გაერო-ს მისიის წარმომადგენლებმა მოინახულეს სოფელი მეორე ოტობაია. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მედიაცენტრის ინფორმაციით, სოფელში გაერო-ს სამშვიდობო მისიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა მოლაპარაკებები, მათ მოახერხეს სეპარატისტებთან შეთანხმება. შედეგად, მარიონეტული სამართალდამცავების მიერ ეჭვმიტანილ ირაკლი ბიგვავას ოჯახის წევრების გარდა, სოფელ მეორე ოტობაიადან გამოძევებულ დანარჩენ მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება მიეცა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ვიცე-სპიკერმა ბრიუსელში შეხვედრები გამართა

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიგი წერეთელმა ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში ევროპის საპარლამენტო ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში მიიღო მონაწილეობა. EPF-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებებია ევროპულ პარლამენტებში მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე მუშაობა. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია ევროპის 27 ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფი, ხოლო მმართველ კომიტეტში - 10 ქვეყნის წარმომადგენელი (ბელგია, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, ლიტვა, შვედეთი, ფინეთი, საქართველო). წერეთელმა სიტყვით გამოსვლისას რუსული აგრესიის შემდგომ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობაზე ისაუბრა. გიგი წერეთელმა ასევე აღნიშნა, რომ EPF-ის სპეციალური მისია საქართველოში დევნილთა მდგომარეობის შეფასების მიზნით იმყოფებოდა. ამასთანავე ევროპის საპარლამენტო ფორუმმა საქართველოს დახმარებისა და მხარდაჭერის მოწოდებით ოფიციალურად მიმართა როგორც დონორთა კონფერენციის მონაწილე, ასევე EPF-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს. **პირველი**

## ბარამიძის ვიზიტი უკრაინაში გრძელდება

საქართველოს ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე კიევში მიმდინარე ევროპა-უკრაინის მე-3 საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობს. ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა. მან ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ აგრესიასა და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ პროპაგანდისტულ-დეზინფორმაციულ კამპანიაზე. გარდა ამისა, ბარამიძემ განმარტა, რომ რეგიონული უსაფრთხოებისთვის და კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ევროკავშირის როლის ზრდა აუცილებელია. ფორუმის ფარგლებში გაიმართა გიორგი ბარამიძისა და პოლონეთის ყოფილიპრეზიდენტ ლეჰ ვალენსას ერთობლივი პრესკონფერენცია. ბარამიძე საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდა. **მედიანიუსი**

## გილაური მუშების საკითხით დაინტერესდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტარებს პირობა მისცა, რომ აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა კოტეჯების მშენებლობაზე მომუშავე, უხელფასოდ დარჩენილი მუშების საკითხით დაინტერესდება. ანტიკრიზისული საბჭოს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ ის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც აგვისტოს ომის შემდეგ აღდგენით სამუშაოებს ატარებდნენ და დევნილებისთვის ახალ სახლებს აშენებდნენ, გაკოტრებულად გამოცხადნენ და მუშები 8 თვეა, უხელფასოდ არიან. თავის მხრივ, ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ "სახელმწიფოს ამ მიმართულებით ყველა ხარჯი გასტუმრებული აქვს და ამ პროექტებზე 220 მილიონზე მეტი დაიხარჯა. ამის გამო გაურკვეველია ამ პრობლემის მიზეზი. ეს საკითხი ჩემთვისაც მტკივნეულია და აუცილებლად გავარკვევ," - დასძინა გილაურმა. **პირველი**

## საქართველოს მთავრობასა და სპორტის აკადემიას შორის დავა გრძელდება

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში კიდევ ერთი პროცესი გაიმართა სპორტის აკადემიასა და მთავრობას შორის დავის შესახებ. მოსარჩელე მხარე იყო სპორტის აკადემია, მოპასუხე კი - საქართველოს მთავრობა, ხოლო მესამე პირს საქართველოს განათლებისა და სპორტის სამინისტროები წარმოადგენდნენ. სასამართლოზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარის წარმომადგენელი, რის გამოც პროცესი გადაიდო. წინა პროცესზე შედგენილი იყო მორიგების აქტი, რომლის ძალითაც უნდა გაუქმებულიყო სპორტის აკადემიის გაუქმების შესახებ მთავრობის დადგენილება, თუმცა სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სპორტის აკადემიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ დავა დასრულდება მაშინ, როცა იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, სასამართლოს კი არ ძალუძს გადაწყვეტილების გამოტანა, თუ მთავრობა პოლიტიკურ ნებას არ გამოხატავს.

სპორტის აკადემია აცხადებს, რომ ბრძოლას გააგრძელებს მანამდე, სანამ არ აღდგება აკადემიის სტატუსი.

*მიშა მეფარიშვილი*

# საქართველო ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს

მიშა მეფარიშვილი

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერა "საქართველოს პრიორიტეტულ ღონისძიებათა შესახებ ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გზების გასაუმჯობესებლად" საქართველოსა და აშშ-ს შორის 2007 წლის 2 თებერვალს ხელმოწერილი დოკუმენტის დანართს.

საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრების მოადგილეებმა და შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ხოლო ამერიკის მხრიდან აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა.

როგორც აშშ-ს ელჩმა განაცხადა, მოხარულია, რომ აღნიშნულ დანართს ხელი მოაწერა და აღნიშნა,



გრიგოლ ვაშაძე

რომ საქართველომ 2007 წლიდან დღემდე ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა კი განაცხადა, რომ აღნიშნული დანართის ხელმოწერის აუცილებლობა გამოიწვია რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ბირთვული მასალების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაუარესებამ და ასევე 2007 წლიდან, შეთანხმების მიღების შემდეგ გაჩენილმა ახალმა საჭიროებებმა.

ცნობისათვის - ერთობლივი დოკუმენტი "ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გზების გასაუმჯობესებლად" ითვალისწინებს საქართველოს ბირთვული მასალების მარეგულირებელი სისტემის განმტკიცებას, საზღვრებზე დამატებითი დეტექტორების განთავსებასა და ბრძოლის გაგრძელებას კონტრაბანდისტებისა და კორუფციის წინააღმდეგ.

# ოპოზიცია "იმედის" გაყიდვას აპროტესტებს

გუშინ ბრიფინგი გამართა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. მან ტელეკომპანია "იმედის" გაყიდვის შესახებ ისაუბრა. ყოფილმა პრემიერმა "იმედის" გაყიდვა ბიზნესმენ ჯოზეფ კეის მიმართ სააკაშვილის და მერაბიშვილის უნდობლობას დაუკავშირა. სწორედ, ამიტომ კეის აიძულეს "იმედის" გადაცემა "რაკი ინ ჯორჯიასთვის", რადგან ამ კომპანიასთან კავშირი აქვთ პრეზიდენტსა და შინაგან საქმეთა მინისტრს. **"დაზუსტებით ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერებიშვილი "რაკი ინ ჯორჯიას" თანაპარტნიორები არიან,"** - აღნიშნა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ ფოთის პორტი სწორედ "რაკი ინ ჯორჯიას" მიჰყიდა. ეს კომპანია ქვეყანაში იარაღის იმპორტის საქმეშიც მონაწილეობდა და მთავრობამ მას 2 მილიარდი დოლარი გამოუყო. **"თუმცა აგვისტოს მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ეს იარაღი გაქრა. ახლა ამას "ტელეიმედიც" დაემატა, რათა ის უფრო კარგად გააკონტროლონ,"** - განაცხადა "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერმა. ამასთან, ოპოზიციური პარტიის ლიდერმა არაბული კომპანიის მომავალ გეგმებზეც ისაუბრა. **"რაკი ინ ჯორჯიას" სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგაც მიეცემა საქართველოში ინვესტიციების განხორციელების საშუალება, თუმცა მას შემდეგ, რაც 2 მოთხოვნას შეასრულებს - გამოაქვეყნებს თანაპარტნიორების სიას და შეიარაღების შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ყველა კონტრაქტს,"** - აღნიშნა ზურაბ ნორაიდელმა.

ტელეკომპანია "იმედის" საკითხს მიუძღვნა პრესკონფერენცია გუშინ "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამაც. ყოფილი თავდაცვის მინისტრის თანაპარტიელმა "იმედის" გარშემო განვითარებული მოვლენები ხელისუფლების განზრახვას დაუკავშირა. **"პატარკაციშვილის ოჯახს "იმედი" წაართვეს, რათა არაპირდაპირი გზით ხელისუფლებამ თვითონ აკონტროლოს ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა,"** - განმარტა მან. ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს ეჭვი ეპარება, რომ არაბულმა კომპანიამ ბიზნესინტერესების გამო შეისყიდა ტელეკომპანიის აქციათა 90 პროცენტი. **"არც ერთი ხელისუფლებისგან ბიზნესკომპანია არ იყიდის ქონებას, რომლის ირგვლივ დიდი ხნის განმავლობაში სკანდალურად ვითარდება პროცესები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. შემთხვევითი არ არის, რომ პატარკაციშვილის ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ არაბული კომპანიის სახელზე ფორმდება. მათ შორისა მთაწმინდის პარკიც,"** - აღნიშნა ოპოზიციური პარტიის წევრმა. შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე ეკა ბესელია ვარაუდობს, რომ ხელისუფლებასა და არაბულ კომპანიას შორის არსებობს გარიგება. მისი თქმით, იმ ვითარებაში, როდესაც საზოგადოებამ ტელეკომპანია "იმედის" დასაცავად გაილაშქრა, ხელისუფლების ეს მოქმედება არის სწორედ საზოგადოების გამოწვევა და მასთან დაპირისპირება. "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გააგრძელებს ბრძოლას"იმედის" კანონიერი მესაკუთრისთვის დასაბრუნებლად," - განაცხადა ბესელიამ.

"იმედის" არაბული კომპანიისთვის გადაცემა გუშინ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურმა პარტიამაც გააპროტესტა. "საქართველოს გზა" მიიჩნევს, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც "იმედის" გარშემო ჯერ კიდევ არ დასრულებულა სერიოზული დავა, ხელისუფლების გარანტიის გარეშე ვერც ერთი ინვესტორი ვერ გაერეოდა ამ საქმეში. **"ეს ფაქტი მეტყველებს, რომ ჯოზეფ კეიმ ბადრი პატარკაციშვილის ქონება პირდაპირ ვანო მერაბიშვილს და მიხეილ სააკაშვილს გადასცა. ხოლო, სააკაშვილის წასვლის შემდეგ "რაკი ინ ჯორჯიას" ყველა საქმე აუცილებლად გადაიხედება,"** - ნათქვამია პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს გზის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*


## ოქროს ანაბარი – ყველაზე საიმედო და მომგებიანი დაბანდება

**ოქრო ყველაზე უსაფრთხო ინვესტიციაა მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში - ასეთია მსოფლიოში წამყვანი ფინანსური ექსპერტების დასკვნა. ნავთობზე ფასების ვარდნის და ოქროს გაძვირების პასუხად, თიბისი ბანკმა დროული შეთავაზება გააკეთა ქართულ საბანკო ბაზარზე და უნიკალური ვადიანი ანაბარი - "ოქროს ანაბარი" დანერგა.**

### რა არის თიბისი ბანკის "ოქროს ანაბარი"?

"ოქროს ანაბარი" არის ვადიანი ანაბარი, რომელიც დაზღვეულია ოქროთი. ანაბრის დამატებითი საიმედოობისთვის, თიბისი ბანკი ანაბარს "ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე" შეძენილი ოქროთი ამყარებს. გარდა ამისა, "ოქროს ანაბრის" მფლობელი, საიმედოობის დამატებით გარანტიებთან ერთად, ოქროს ფასის ზრდის შემთხვევაში, გაზრდილ საპროცენტო სარგებელს მიიღებს.

ოქროს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ოქროს ფასის ცვლილებაზე და შეადგენს: ფასის ზრდის შემთხვევაში 16%-მდე, ხოლო მისი კლების შემთხვევაში - გარანტირებულ წლიურ 9%-ს.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა საპროცენტო სარგებელი დაერიცხება, მაგალითად, 10 000 აშშ დოლარის ოდენობით გახსნილ ოქროს ანაბარს ოქროს ფასის 6, 14 და 20%-იანი ზრდის შემთხვევაში და თანხობრივად როგორ გაიზრდება ეს ანაბარი:

| ანაბრის თანხის მოცულობა | 10 000 აშშ დოლარი | 10 000 აშშ დოლარი | 10 000 აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| ოქროს ფასის ზრდა | 6% | 14% | 20% |
| დარიცხული სარგებელი | 9% | 14% | 16% |
| ანაბრის თანხა ვადის გასვლის შემდეგ | 10 900 აშშ დოლარი | 11 400 აშშ დოლარი | 11 600 აშშ დოლარი |

### ბოლო 2 თვეში ოქროს ფასი 20%-ით გაიზარდა

რამდენად რეალურია, რომ ოქროს ფასი მკვეთრად გაიზარდოს და "ოქროს ანაბრის" მფლობელებმა უპრეცედენტოდ მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღონ?

ოქროს ფასი ბოლო თვეების მანძილზე დინამიურად იზრდებოდა. 2008 წლის დეკემბერში, როდესაც თიბისი ბანკმა "ოქროს ანაბარი" დანერგა, 1 უნცია ოქროს ფასი დაახლოებით 830-840 დოლარს შეადგენდა. ორ თვეში ეს ფასი 20%-ით გაიზარდა და 1000 დოლარს გადააბიჯა.




დასავლეთის წამყვანი ექსპერტების პროგნოზების თანახმად, მომავალში ოქროს ფასი პერმანენტულად გაიზრდება. Heraeus-ის ანალიტიკოსების განცხადებით "ოქროს ბაზარზე კვლავ გრძელდება ზრდის ტენდენცია. ETF-ის ფონდის მიერ მოწოდებული მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ინვესტორები მომავალშიც სტაბილურად უზრუნველყოფენ ოქროზე მაღალ მოთხოვნას".

ექსპერტების ვარაუდით, ინვესტორებს აღელვებთ თავიანთი აქტივების ლიკვიდურობა და უსაფრთხოება და ამიტომ ოქროში ინვესტირებას ამჯობინებენ.

"ჩვენი ვარაუდით 2009 წლისთვის ოქროზე მოთხოვნა ორჯერ მეტად მოიმატებს 2007 წელთან შედარებით, რაც ოქროს ფასის მოდერნიზაციას გამოიწვევს" - აცხადებს UBS-ის ექსპერტი, ჯონ რიდი.

ამ პროგნოზებიდან გამომდინარე, ისინი, ვინც სწორედ ახლა, მსოფლიო კრიზისის საწყის ეტაპზე გახსნიან "ოქროს ანაბარს", ყველაზე მეტ სარგებელს ნახავენ. ერთი მხრივ, მათ შეუძლიათ სტანდარტულ განაკვეთებზე ბევრად მაღალი სარგებელი მიიღონ და რაც მთავარია, ჩაერთონ თიბისი ბანკის გათამაშებაში "მოიგე ყოველთვე ბინა და გახდი მილიონერი". ეს კი მათ რეალურ შანსს აძლევთ, მოიგონ ახალი ბინა ვაკეში, ჭავჭავაძის 5-ში, ან მილიონი ახალი წლის ღამეს.

# საერთაშორისო წნეხი

რევაზ საყევარიშვილი




*წყარო: გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია*

აზრი იმის თაობაზე, რომ გლობალური საფინანსო კრიზისი საქართველოს არ შეეხება, არათუ მცდარი, არამედ აშკარად საშიშიცაა, ვინაიდან არარაეალურ მოლოდინს ქმნის. რეალობა ადასტურებს, რომ ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური, განსაკუთრებით პირდაპირი ინვესტიციები, რომელთა აქტივობა უმეტესწილად საგარეო ფაქტორებითაა განპირობებული.

საქართველო უნდა ჩაითვალოს კაპიტალის არასრული მობილობის და არა ავტარკიულ (საერთაშორისო საფინანსო ნაკადების მიმართ მთლიანად ჩაკეტილ) ქვეყნად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მგრძნობიარეა საბანკო სფეროში საერთაშორისო კაპიტალის დინებებისადმი.

საქართველო საკმაოდაა დამოკიდებული უცხოეთიდან ფაქტორულ შემოსავლებზე, ანუ მიგრანტთა ტრანსფერებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლია.

გარდა ამისა, საქართველო თითქმის ორი ათეული წელია, საერთაშორისო დონორთა დახმარებით სარგებლობს, რომელთა ქმედითობა ასევე დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო კონიუნქტურაზე. მიმდინარე სიტუაციაშიც კი არსებობს იმის რისკი, რომ საქართველოსათვის დონორების მიერ დაპირებული თანხების გარკვეული წილი ვერ მიაღწევს ადრესატამდე გლობალური ეკონომიკური კრიზისის გაუარესების შემთხვევაში, რაც საქართველოს დიდ სირთულეებს შეუქმნის და რაც შეიძლება გამოიხატოს საგარეო ვალის ნახტომისებური ზრდის პრობლემაში (Debt Overhang).

გარდა ამისა, გაიზრდება საქართველოს ეროვნული ვალუტის გაუფასურების რისკი, რაც გამოწვეული იქნება ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გაზრდილი წნეხით ეროვნულ ვალუტაზე ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორის ერთობლიობა უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს მდგომარეობაზე მისი საგარეო დავალიანების, საინვესტიციო პოზიციისა და, ზოგადად, გადამხდელუნარიანობის თვალსაზრისით.

შესაბამისად, გლობალური საფინანსო კრიზისი შეიცავს საკმარისზე მეტ რისკს იმისათვის, რომ საქართველოს სერიოზული პრობლემები შეექმნას ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

## საინვესტიციო შიმშილი

დიაგრამაზე კარგად ჩანს 21-ე საუკუნის დასაწყისში მიმდინარე ფინანსური გლობალიზაციის შედეგები კაპიტალის ძირითადი მომწოდებელი ქვეყნებიდან დანარჩენი მსოფლიოსაკენ კაპიტალის დინების ზრდის თვალსაზრისით. აქ განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმწიფოები, რომლებშიც ამ პერიოდის განმავლობაში ზოგადად საკმაოდ ლიბერალური ფულადი პოლიტიკა ტარდებოდა.

მართალია, კაპიტალის მობილურობა იზრდებოდა დანარჩენ მსოფლიოშიც, კერძოდ, ნავთობით მდიდარ ქვეყნებშიც, მაგრამ ლოკომოტივის როლს 2001-2007 წლებში მაინც დასავლური ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებდა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ტექნოლოგიური ბუმის გაგრძელებად ჭარბი ლიკვიდობის უპრეცედენტო დაგროვება და აქტივების ფასების გაბერვა იქცა. ამავე პერიოდიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში საოჯახო მეურნეობათა ვალების დაგროვების ფონზე დაიწყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის სწრაფი ზრდის პროცესი. მოხმარების არსებულ დონეზე შენარჩუნება ამერიკაში იაფი ფულის პოლიტიკით ხერხდებოდა, ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება შესაძლებელი იყო მანამ, სანამ დანარჩენ მსოფლიოში ინვესტორთა ხელთ არსებული სახსრების დაბანდების ოპტიმალურ საშუალებად ამერიკული ფასიანი ქაღალდები იყო. თავისთავად დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, კაპიტალუკუგების მაჩვენებლები არც ისე მაღალი იყო, რაც ჭარბი ლიკვიდობის განვითარებადი ქვეყნების მაღალრისკიან აქტივებში დაბანდების სტიმულებს აძლიერებდა.

იმ ფონზე, როდესაც ინვესტორთა ფულის ნაწილის ფასი საკმაოდ დაბალი იყო, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების ტემპების განსაკუთრებით სწრაფი ზრდა ხდებოდა. კაპიტალის მიმწოდებელ სამი ძირითადი ცენტრიდან ერთ-ერთში (აშშ, ბრიტანეთი, ევროს ზონა) ფულადი პოლიტიკის ძირითადი ნომინალური განაკვეთი მხოლოდ ორჯერ აღემატებოდა 5%-იან ნიშნულს, რაც თავისთავად საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

იაფი ფულის პოლიტიკამ ინვესტორებს შეუქმნა საშუალება, კაპიტალი მაღალრისკიან ქვეყნებში განეთავსებინათ, რაც განვითარებულ ქვეყნებში უფრო მკაცრი ფულადი პოლიტიკის შემთხვევაში ბევრად უფრო რთული იქნებოდა. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების მაღალრისკიან აქტივებში დაბანდებებით წამყვანი ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები ჭარბი ლიკვიდობის მომგებიანად განთავსების საშუალებას თვითონ იქმნიდნენ.

სწორედ ამ ორი ფაქტორის ერთიანობაშია გასააზრებელი ის ფაქტიც, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში გაიზარდა უცხოური, განსაკუთრებით კი პირდაპირი ინვესტიციები. მართალია, ინვესტიციების ნაწილის შემოსვლა განპირობებული იყო სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებებით ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების მიმართულებით, მაგრამ უცხოური ინვესტიციების სწრაფი მოზღვავება მაინც ზემოთმოყვანილი ფაქტორებით იყო განპირობებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ საქართველოზე უფრო მაღალი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა აზიისა და აფრიკის შედარებით უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც.

გლობალურმა საფინანსო კრიზისმა უკვე გამოიწვია საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების შეზღუდვა. ადგილი აქვს ფასიანი ქაღალდებიდან და აქტივებიდან სახსრების მასობრივ გადატანას ნაღდ ფულში და კაპიტალი ხშირ შემთხვევაში ტოვებს სარისკო ბაზრებს. ინვესტორთათვის განვითარებადი ქვეყნები ზოგადად და, მათ შორის საქართველოც, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მაღალი კლასის კაპიტალდაბანდების პორტფელს, რის გამოც უახლოეს მომავალში კაპიტალის გაძვირებისა და რეგულაციების გამკაცრების ფონზე ჩვენს ქვეყანაში უცხოური რესურსების შემოდინების დღემდე არსებული დონის შენარჩუნებას, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ უნდა ველოდოთ.

ამგვარად, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველომ შესაძლოა დაკარგოს კაპიტალის ფორმირებისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ეს მით უფრო საგანგაშოა იმ ფონზე, რომ ქვეყნის მთლიანი კაპიტალის ფორმირებაში უცხოური დანაზოგები გადამწყვეტ როლს ასრულებს. მართალია, ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე ეს კრიზისამდე პერიოდში იყო, მაგრამ ამგვარი პოლიტიკა დროებითია და ეკონომიკის სტიმულირების გზით მისი ჩიხიდან გამოყვანას ისახავს მიზნად. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ დაიწყება საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტენდენცია, რაც გამყარებული იქნება წამყვან ქვეყნებში არსებული საბიუჯეტო დეფიციტის შევსების აუცილებლობითაც. ამგვარად, საქართველო ბევრად უფრო მყიფე გახდება საგარეო შოკების მიმართ და საერთაშორისო საფინანსო პოზიციის თვალსაზრისით ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა გაურთულდება.

# ნიკა გილაური უხელფასოდ დარჩენილი მუშების ბედით დაინტერესდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ნიკოლოზ გილაურის განცხადებით, იგი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომუშავე უხელფასოდ დარჩენილი მუშების ბედით დაინტერესდება. საკითხზე ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს.

სროგორც ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჯონდო ბაღათურიამ განაცხადა, ლაპარაკია 7-8 თვის მანძილზე უხელფასოდ დარჩენილ მუშებზე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეგიონში აღდგენით სამუშაოებს ასრულებდნენ. ამ სამუშაოების შემსრულებელი კომპანიები გაკოტრებულად გამოცხადდნენ, რის გამოც მუშებმა კუთვნილი ხელფასი ვერ მიიღეს.

ნიკოლოზ გილაურის განცხადებით, სახელმწიფოს ამ მიმართულებით ყველა ხარჯი გასტუმრებული აქვს და შესაბამის პროექტებზე 220 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. მისივე თქმით, ეს საკითხი თავადაც აწუხებს და მას აუცილებლად გაარკვევს.

## ზურაბ ტყემალაძე: ხელისუფლება იმფლაციის მაჩვენებელს ხელოვნურად ცვლიდა

პოლიტიკური გაერთიანების - "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრმა ზურაბ ტყემალაძემ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე მყოფ უცხოელ ექსპერტს, რობერტ კრისტიანეს გააცნო ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ ცვლიდა ხელისუფლება ინფლაციის მაჩვენებელს ორიგინალურად და ხელოვნურად. ამ საკითხზე ტყემალაძემ მაშინ ისაუბრა, როცა საბჭოს წევრები სტატისტიკის დეპარტამენტის რეფორმაზე მსჯელობდნენ. რობერტ კრისტიანეც სწორედ რეფორმების საკითხში ჩართული უცხოელი ექსპერტია. ტყემალაძის თქმით, საქართველოში გარკვეული პერიოდის მანძილზე ინფლაცია ერთნიშნა მაჩვენებელზე იყო შეჩერებული. შემდეგ კი, გარკვეული ხნით ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

"ეს პრობლემა იმით გადაწყდა, რომ მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გაათავისუფლეს და მის ადგილზე სხვა დანიშნეს. ამის შემდეგ ინფლაციის მაჩვენებელი ისეთ ერთნიშნა ციფრს დაუბრუნდა", - აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ და ამ ფაქტის სისწორეში პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური დაიმოწმა. თუმცა, გილაურის ამ საკითხზე კომენტარი რა გაუკეთებია.

შეგახსენებთ, რომ გილაური ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე სტატისტიკის დეპარტამენტის რეფორმის საკითხის განხილვაზე იმყოფებოდა.

## საქართველომ რუსეთში ელექტროენერგიის იმპორტი შეაჩერა

იმპორტი "კავკასიონის" გადამცემი ხაზის მეშვეობით ხორციელდებოდა და რუსეთი დღეში 2,4 მილიონ კილოვატ ელექტროენერგია იღებდა. "საქართველოს ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორის" ინფორმაციით, რუსეთში ელექტროენერგიის იმპორტის შეჩერების მიზეზი წყალსაცავებში და ჰესებში წყლიდ დონის დაცემა იყო. კომპანიის განმარტებით, წყლის დონის მომატებისთანავე ელექტროენერგიის იმპორტი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ თურქეთშიც განხორციელდება.

## ზურაბ ნოღიდელმა იმედის" გაყიდვის წინაისტორია გაიხსენა

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ტელე-იმედის გაყიდვის საკითხში ხელისუფლების მონაწილეობის დეტალებზე საუბრობს და აცხადებს, რომ "იმედის" გაყიდვა არაბულ კომპანია "რაკია დეველოპმენტზე" ფორმალური სახით მოხდა, რეალურად კი "იმედი" ხელში ჩაიგდეს მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა. ""იმედი" არ არის ბიზნესი კლასიკური გაგებით, მას მოგება არ მოაქვს. დღევანდელი მთავრობა, სააკაშვილი და მერაბიშვილი, არც ჯოზეც ქეის ენდობიან იმდენად, რომ მის ხელში დარჩეს "იმედი". ტელეკომპანია ხელისუფლებისთვის უფრო სანდო ხელში გადავიდა. ეს გამოიწვია "იმედზე" უფრო მკაცრმა კონტროლმა, მოსალოდნელი მოვლენებიდან გამომდინარე", - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

იგი "იმედის" საკითხთან დაკავშირებულ წინაისტორიას ჰყვება. "ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ თავის დროზე "დუბაი ვორლდის" წარმომადგენელს ელ-ფოსტით წერილი გაუგზავნა. წერილი ფოთის პორტის გაყიდვის პერიოდშია მიწერილი. მაშინ კონკურსში "დუბაი ვორლდი" და "რაკია" ლიდერობდნენ. იმის მიუხედავად, რომ "დუბაი ვორლდის" წინადადება უკეთესი იყო, ვიდრე "რაკიასი", წერილით გურგენიძე "დუბაი ვორლდს" ეუბნება, რომ კონკურსში მონაწილეობა შეწყვიტოს. ეს იგივე საქმეა, რომ ვყიდდეთ ღვინოს და კახეთმა კია არ გაიმარჯვოს თავის საფერავით, არამედ აჭარამ - თავის ადესით. მაშინ მაინტერესებდა, რატომ განვითარდა მოვლენები ასე. მივედი პრეზიდენტთან, საკმაოდ გაბრაზებული გურგენიძეზე. სააკაშვილთან შეხვედრისას აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ იყო გურგენიძის შემოქმედება. სააკაშვილმა ამიხსნა, რომ "რაკია" უფრო სანდო იყო ჩვენთვის და მასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები გვქონდა. მაშინ ვერ წარმომედგინა, რას ნიშნავდა ეს მკაფიო ურთიერთობები და დავინახე ორი დღის წინ, როდესაც ჯოზეც ქეიმ ტელე-იმედი "რაკიას" მიჰყიდა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილი და მერაბიშვილი თავად არიან "რაკიას" თანაპარტნიორები ყველა ბიზნესში საქართველოში", - აცხადებს ნოღაიდელი. მისი თქმით, "რაკია" მნიშვნელოვანი კომპანიაა საქართველოსთვის. თუმცა, ის არის მთავრობის მსხვერპლი. ნოღაიდელი იმედოვნებს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ "რაკია" საქართველოში ინვესტიციებს გააგრძელებს და მას წილში არავინ ეყოლება.

"მოვითხოვთ, რომ "რაკიამ" გამოაქვეყნოს მისი ქართველი თანაპარტნიორების სია, რომ ზუსტად ვიცოდეთ ფორმალურად ვინ მონაწილეობს ამ პროექტში", - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტად გიორგი ქადაგიძე დაინიშნა

საქართველოს ეროვნულ ბანკს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ამ თანამდებობაზე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ყოფილი უფროსი გიორგი ქადაგიძე დაინიშნა.

ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტად, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით დაინიშნა. რომან გოცირიძის შემდეგ, "საქართველოს ეროვნულ ბანკს" პრეზიდენტი არ ჰყოლია. გიორგი ქადაგიძე ორი დღის წინ პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად აირჩია. გოცირიძის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი ასრულებდა.

## იუსტიციის სამინისტრო პროკურატურის წარმომადგენელს არ წარადგენს

სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის წარმოქმნილი სასამართლო დავისას იუსტიციის სამინისტრო პროკურატურის წარმომადგენელს არ წარადგენს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა უკვე შეთანხმდნენ. შეთანხმება იმ საკანონმდებლო ინიციატივას უკავშირდება, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დავის საგნის 1 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების შემთხვევაში სამოქალაქო სამართალწარმოებაში იუსტიციის სამინისტრო ჩაერთვებოდა.

როგორც პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, პრინციპი იუსტიციის სამინისტროს დავაში ჩართვის თაობაზე მიუღებელია.

"ასეთი სახის დავისას მოდავე სახელმწიფო ორგანოს მიერ უნდა გამოცხადდეს ტენდერი და კერძო იურიდიული კომპანია შეირჩეს, რომელიც სახელმწიფო ორგანოს ინტერესებს დაიცავს. დავისას ერთმანეთს კერძო იურიდიული კომპანიები უნდა დაუპირისპირდნენ და არა - სახელმწიფო და კერძო კომპანია," - აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

კანონპროექტის თანახმად, თუ დავის საგნის ღირებულება 1 მილიონ ლარს აღემატება ან საქმე სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში სახელმწიფო ორგანო მონაწილეობს, ეს ორგანო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართავს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, უფლებამოსილია, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ ორგანოს წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა მოითხოვოს. **პირველი**

## ადამიანის უფლებათა კომისიის მოთხოვნა

ადამიანის უფლებათა კომისიამ "პოლიტიკური პატიმრები და დევნილები საქართველოში" პროგრამის ფარგლებში, კიდევ სამი პატიმრის პოლიტპატიმრობა და ერთის პოლიტძებნილობა დაადგინა და ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა, რომ 9 აპრილამდე კომისიის მიერ გამოვლენილი 12 პოლიტპატიმარს და ერთ პოლიტიკურ ძებნილს ბრალეულობა მოეხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია, რომლის მუშაობაშიც საქართველოში მოქმედი ძირითადი უფლებადამცველი ორგანიზაციები და "კონსერვატიული პარტია" მონაწილეობენ, მკაცრ ზომებს მიმართავენ. კომისიის წარმომადგენელმა კახა კუკავამ განაცხადა, რომ კომისიამ ოთხი ადამიანის საქმე მოისმინა და მოსმენის შედეგად დამტკიცდა, რომ ლუკა რამაზაშვილი, დავით ტატიშვილი და ომარ ქუცნაშვილი პოლიტპატიმრები არიან, ხოლო ვალერი გელბახიანი პოლიტძებნილია. მანამდე კომისიამ ცხრა დაკავებულის პოლიტპატიმრობა აღიარა. როგორც კუკავამ აღნიშნა 12 პოლიტპატიმრის და ერთი პოლიტძებნილის ვალერი გელბახიანის საქმეები განსახილველად ევროპის საბჭოს გადაეგზავნა.

კომისიის მიერ შედგენილ პოლიტპატიმრების სიაში ომარ ქუცნაშვილიც არის, რომელიც ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებასა და გამოყენებაში არის ბრალდებული და მას 4 წელი მიუსაჯეს. როგორც ომარ ქუცნაშვილის ვაჟმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, ომარ ქუცნაშვილის ბრალეულობის მტკიცებისთვის ბრალდების მხარეს საკმარისი დოკუმენტაცია არ აქვს. **მედიანიუსი**

## ევროკავშირმა პროექტის განხორციელება დაასრულა

ევროკავშირმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერის პროექტის განხორციელება დაასრულა. პროექტი სახელწოდებით "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეფორმის ხელშეწყობა" ავსტრიულმა კომპანიამ Human Dynamics-მა განახორციელა.

პროექტის ზოგადი მიზანი იუსტიციის სამინისტროში სრულმასშტაბიანი შიდა ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის რეფორმის ხელშეწყობის გზით საქართველოში საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმების მხარდაჭერა იყო. მისი განხორციელება 2006 წელს დაიწყო და მიმდინარე წლის თებერვალში დასრულდა. პროექტის საერთო ხანგრძლივობამ 31 თვე შეადგინა. ამასთან, პროექტი იუსტიციის სამინისტროში სტრატეგიული დაგეგმარების, ადამიანური რესურსებისა და ბიუჯეტის მართვის პროცესების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ასევე, სამოქალაქო რეესტრის გამჭვირვალე და ეფექტური მართვის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტისთვის კონსულტაციები და ტრენინგები გაიმართა. განხორციელდა, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერა იურისტთა საქმიანობისა და კვალიფიკაციის შეფასების კუთხით. **პირველი**

## სამოქალაქო რეესტრის ლაგოდეხის სამსახურში არსებულ ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ლაგოდეხის სამსახურში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა.

საკონკურსო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება 2-3 წელი, კომპიუტერული პროგრამებისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცოდნა. დაინტერესებულმა პირებმა საბუთები 2009 წლის 12 მარტამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში უნდა წარადგინონ (მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. N67.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზე: www.cra.gov.ge ან შემდეგ ტელეფონებზე: 35 79 20; 35 79 21; 35 79 22; 35 79 23. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პატიმრები 260-ე მუხლის ჰუმანიზაციას ითხოვენ

მარი ახსიაშვილი

*რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფმა, სსკ-ის 260-ე მუხლით გასამართლებულმა პატიმრებმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს განცხადებით მიმართეს.*

ამის შესახებ პარტია "მომავალი საქართველოს" ლიდერმა გიორგი ლაღიძემ განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული მუხლით გასამართლებული მსჯავრდებულები სისხლის სამართლის კოდექსსა და საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას და 260-ე მუხლის (ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-რეალიზაცია) ჰუმანიზაციას ითხოვენ.

**"ჩვენ იძულებულები ვიქნებით, მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას, თუ მიმდინარე წლის 25 მარტამდე პარლამენტი 260-ე მუხლის ლიბერალიზაციას არ მოახდენს. პროტესტის მთავარი მიზანი იქნება ამ საკითხისადმი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიქცევა. პროტესტში მონაწილეობას მიიღებს 260-ე მუხლით გასამართლებული ყველა პატიმარი,"** - ნათქვამია პატიმრების მიერ დავით ბაქრაძისადმი გაგზავნილ წერილში.



ბესო გულაშვილის ფოტო

*პატიმრები აქციით იმუქრებიან.*

პატიმრების განცხადებით, ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-რეალიზაცია არ უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა სახის მძიმე დანაშაულები.

**"საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ სიტყვიერად აჟღერებს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის აუცილებლობას, საქმით კი არაფერს აკეთებს, რათა კანონმდებლობა შეუსაბამოს ევროპულ სამართალს, რომლის მიხედვითაც, ნარკომომხმარებელი ავადმყოფად ითვლება და არა კრიმინალად,"** - ამბობენ პატიმრები პარლამენტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ განცხადებაში.

გიორგი ლაღიძის თქმით, 260-ე მუხლით გასამართლებულმა პატიმრებმა უკვე მეორედ მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარეს. მისივე განცხადებით, რამდენიმე თვის წინ პარლამენტში საუბარი იყო ამ მუხლის ჰუმანიზაციაზე, თუმცა ეს საკითხი დაიბლოკა.

**"თუ საქართველოში დაიწყეს რეფორმის ახალი ტალღა, მაშინ ყველა პატიმარს კანონის შესაბამისად უნდა მოექცნენ უნდა, კანონი კი არ უნდა იყოს შერჩევითი და ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს ჰუმანურობისა და დემოკრატიულობის პრინციპებით,"** - აცხადებს გიორგი ლაღიძე, რომლის თქმითაც, პატიმრების წერილის ასლი სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს გადაეგზავნა.

# საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა დაიწყო

*საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის სარჩელის არსებითი განხილვა დაიწყო. ომბუდსმენმა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენა და რამდენიმე თვის წინ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართა.*

ომბუდსმენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის გაუქმებას ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ მისი გამოყენების პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სადავო ნორმის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა და სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს - უკუძალა არ აქვს.

**"ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, სადაც მითითებულია, რომ კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. ანუ კანონი, რომელიც არ ცვლის პირის სამართლებრივ მდგომარეობას პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, უკუძალის მატარებელი ვერ იქნება, რომ არაფერი ვთქვათ მდგომარეობის დამძიმებაზე,"** - განმარატავს სოზარ სუბარი. მისივე თქმით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის I ნაწილი არ იძლევა საშალებას, ერთგვაროვნად იყოს გაგებული კანონის მოთხოვნა, რაც სამართალდამცველ და სასამართლო ორგანოებს საშუალება აძლევს, კანონი განმარტონ კონსტიტუციის დებულების საწინააღმდეგოდ. ამის თვალსაჩინო მაგალითად ომბუდსმენს მოგელი ტყებუჩავას საქმე მოჰყავს. საქმე ისაა, რომ ამ საქმეში ფოთის საქალაქო სასამართლომ, ხოლო შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის მატერიალურ ნორმას იმ შემთხვევაშიც მისცა უკუძალა, როდესაც ის არ ამსუბუქებდა ან არ აუქმებდა პასუხისმგებლობას. **"უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან,"** - აცხადებს ომბუდსმენი.

აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს პოზიციაც, რომელიც მისმა პრესსამსახურმა გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ "დანაშაულის ხანდაზმულობასთან მიმართებაში მოქმედებს კანონი, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის გამოვლენის დროს." თუმცა, იქვე მითითებულია, რომ მართალია, მოგელი ტყებუჩავამ დანაშაული ძველი სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებისას ჩაიდინა, მაგრამ პასუხისგებაში მიეცა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, როცა უკვე ხანდაზმულობის ახალი ვადები მოქმედებდა.

**"თვალსაჩინოა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკით, კანონს, თუ ის არ შეეხება უშუალოდ სასჯელს ან ქმედების დანაშაულებრიობას, ყველა შემთხვევაში ანიჭებენ უკუძალას, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის დებულებასთან. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ საერთო სასამართლოები სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებისას აშკარად სცილდებიან კონსტიტუციით დადგენილ პრინციპს, რომ სისხლის სამართლის კანონმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქონიოს უკუძალა, თუ ის პირს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს,"** - ნათქვამია სოზარ სუბარის საკონსტიტუციო სარჩელში.

ომბუდსმენი სარჩელში ასევე აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად მიჩნეულია ხანდაზმულობის ვადის გასვლა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თავისი არსით, სისხლის სამართალში პირის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია დანაშაულის ხანდაზმულობაზე და მისი გასვლა პირს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სადავო აქტის შემთხვევაში კი, განსხვავებით კონსტიტუციისაგან, საუბარია არა პასუხისმგებლობისგან, არამედ სასჯელისაგან გათავისუფლებაზე, რაც სახალხო დამცველის აზრით, ბევრად ავიწროვებს კონსტიტუციით გარანტირებული დებულების გაგებას და იმაზე მეტად ზღუდავს პირის უფლებებს, ვიდრე კონსტიტუცია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ტიმოშენკოს უთვლიან, თუ რამდენჯერ ახსენებს ნატო-ს

ივა შილაკაძე



უკრაინამ დეკემბერში ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა MAP-ი ვერ მიიღო და მასაც, საქართველოს მსგავსად, ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა გაუფორმეს, რაც ხალხმაც და პოლიტიკოსებმაც არაერთგვაროვნად აღიქვეს. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატო-ს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვადიმ პრისტაიკო სააგენტო "უნიანთან" ინტერვიუში ცდილობს, აღნიშნულ საკითხებში სიცხადე შეიტანოს.

პრისტაიკოს ინფორმაციით, MAP-ი არ არის ნატო-ში გაწევრიანების ერთადერთი გზა. თვით გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის გაფორმების შემთხვევაშიც უკრაინას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, მაინც უნდა შეესრულებინა ყოველწლიური გეგმები უკვე თვით ამ პროგრამის ჩარჩოებში. მან განაცხადა, რომ უკრაინამ, ფაქტობრივად, მიიღო პროგრამა მისი ოფიციალური გაფორმების გარეშე. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა ისიც, რომ MAP-ი არ გაფორმდა ამ საკითხის დიდი პოლიტიზაციის ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ - რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. ზოგიერთისთვის ეს აბრევიატურა საფრთხობელაა და გამოთქმისას ყელზე ადგებათ, ამიტომ გადაწყვიტეს, არ ეხსენებინათ. ერთ თვეში უნდა დამტკიცდეს წლიური პროგრამა, ხოლო რამდენი წელი დასჭირდება ნატო-ში შესვლას, ეს მთლიანად უკრაინაზეა დამოკიდებული.

რუსეთის პოზიციაზე საუბრისას პრისტაიკომ განაცხადა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც ბევრს ნატო-ს ალტერნატივად მიაჩნია, არ უნდა გახდეს ნატო-ს კონკურენტი და მით უმეტეს დაპირისპირებული ძალა. ამ ორგანიზაციამ, რომლის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაც ცენტრალური აზიის ქვეყნები არიან, სასურველია, რომ უსაფრთხოება ევრაზიის სხვა ნაწილში უზრუნველყოს.

ვადიმ პრისტაიკო დაწვრილებით საუბრობს იმ მთავარ პრობლემაზე, რომელსაც უკრაინა აწყდება ნატო-ში გაწევრების გზაზე. ჯერჯერობით ნატო-ში გაწევრიანებას მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი უჭერს მხარს და ორჯერ მეტი ამ ინტეგრაციის წინააღმდეგია. ეს კუჩმას დროინდელ სიტუაციასთან დაბრუნებაა, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს პროგრესად მიაჩნია. ერთი წლის წინ ნატო-ს მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი უჭერდა მხარს, ზაფხულში კი 22-24 პროცენტი. პრისტაიკოს აზრით, ეს მოსახლეობის ცუდი ინფორმირებულობის ბრალია, რადგან ადამიანი ქვეცნობიერად იმის წინააღმდეგია, რისი არსიც არ იცის. ბოლო დროს სიტუაციის შეცვლა საინფორმაციო პოლიტიკის გააქტიურებამ გამოიწვია. ამ მიზნით მომდევნო ოთხ წელიწადში დაგეგმილია 40 მილიონი გრივნის (5,2 მლნ დოლარი) დახარჯვა, თუმცა წელს დაფინანსების საკითხი რთულად დგას. იგივე სოციოლოგიური გამოკითხვებით, ნატო-ს ყველაზე მეტი მომხრე იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერებს შორის ჰყავს, უფრო პროდასავლურ იუშჩენკოს მომხრეებზე მეტიც კი. პრისტაიკომ ისიც აღნიშნა, რომ დასავლეთი ყურადღებით აკვირდება და აანალიზებს პოლიტიკოსების გამოსვლებს საერთაშორისო ღონისძიებებზე. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ტიმოშენკოს უთვლიან, თუ რამდენჯერ ახსენებს ნატო-ს.

# სკანდალი გაერო-ში: აშშ-ს ელჩმა ირანელთა კრიტიკა დაიმსახურა

მარიკა იაშვილი

ერაყის საკითხზე გამართულ სხდომაზე აშშ-ს ახალმა ელჩმა ორგანიზაციაში სიუზან რაისმა თეირანი მოულოდნელად ტერორიზმის მხარდაჭერასა და ბირთვული იარაღის ფლობის სურვილში დაადანაშაულა.

რაისის განცხადებებმა გაერო-ში ირანის ელჩ მუჰამედ აზაის რისხვა გამოიწვია, რომელმაც ამერიკელი კოლეგის ბრალდებების საპასუხოდ უშიშროების საბჭოს წარმომადგენელს მკაცრი და კრიტიკული წერილი გაუგზავნა.

ირანელთა უკმაყოფილება იმ განცხადებებმა გამოიწვია, რომლებიც სიუზან რაისმა ირანთან მიმართებაში აშშ-ს სამომავლო გეგმებზე გააკეთა. მისი თქმით, ერაყიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ აშშ შეეცდება, ბოლო მოუღოს ირანის მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერასა და თავისი ბირთვული არსენალის უკანონოდ გაზრდისკენ სწრაფვას.

ამერიკის ელჩის გამოსვლებმა ხელახლა დაძაბა ამერიკა-ირანის ურთიერთობები, რომლებიც ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პოსტზე ჯორჯ ბუში ბარაკ ობამამ შეცვალა, ირანელთა ანტიამერიკული რიტორიკა მკვეთრად შემცირდა.

ამერიკელი დიპლომატის საპასუხოდ ჰაზაიმ განაცხადა, რომ რაისი იმავე არგუმენტებს მიმართავს, რომლებსაც ამერიკის წინა ადმინისტრაცია იყენებდა და უსიამოვნოა, რომ ირანელებს ისევ და ისევ იმავე ბრალდებების მოსმენა უხდებათ. მან რაისის გამოსვლებს "უსაფუძვლო და აბსურდული" უწოდა.

**"იმის ნაცვლად, რომ ბრალდებები სხვებს წაუყენონ, შეერთებულ შტატებს ურჩევნია, კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯები გადადგას თავისი არასწორი საგარეო პოლიტიკის შესაცვლელად, მათ შორის ირანთან მიმართებაშიც,"** - აღნიშნა ჰაზაიმ. ეს იყო ირანის მხრიდან გამოთქმული ყველაზე მკაცრი კრიტიკა ობამას პრეზიდენტობის 5 კვირის განმავლობაში.

ვარაუდობენ, რომ სკანდალის პროვოცირება ირანისა და რუსეთის მიერ ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ერთობლივი გამოცდის დაწყებამ გამოიწვია. თუმცა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელ რობერტ ვუდის განცხადებით, ეს ფაქტი მშვიდობიანი ატომის პრინციპთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

საინტერესოა, რა შედეგს მოიტანს ეს სკანდალი, მაშინ როცა არცთუ დიდი ხნის წინ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ირანთან პირდაპირი დიალოგის დაწყების შესაძლებლობებზე საუბრობდნენ. დიალოგის მთავარი თემა ირანის ბირთვული პროგრამა და ორი ქვეყნის ურთიერთობების მოგვარება უნდა ყოფილიყო.

დიალოგს არ გამორიცხავდა არც ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, რომელიც აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ აშშ თავის საგარეო პოლიტიკას მართლაც შეცვლის და ირანთან პრობლემების მოსაგვარებლად ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, ირანი მოლაპარაკებათა დასაწყებად მზად იქნება.

მომხდარი სკანდალი, სავარაუდოდ, დათბობის პირას მყოფ ურთიერთობას ისევ გაართულებს, რადგან აჰმადინეჯადმა უკვე გამოთქვა უკმაყოფილება. მან ამერიკის ახალ პრეზიდენტს მოუწოდა, ირანთან ჯორჯ ბუშის ენით არ ილაპარაკოს და განაცხადა, რომ თეირანის კარი ღიაა სამართლიანი მოლაპარაკებებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ირანისადმი თავის პოლიტიკას რადიკალურად შეცვლის.

თუმცა ბარაკ ობამას მიერ გამოწვდილ მეგობრობის ხელს და პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების შესახებ დაპირებებს ისლამისტურ რესპუბლიკაში ყველა სიხარულით არ შეგებებია. ისინი პარალელს ავლებენ ჯორჯ ბუშთან, რომელიც ირანს, ჩრდილოეთ კორეასა და ომამდელ ერაყთან ერთად, "ბოროტების ძალას" უწოდებდა. ობამა კრიტიკის ნაკლებ მიზეზს იძლევა და აზაიმ რაისის გამოსვლა უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვის საბაბად გამოიყენა.

დიპლომატიური ურთიერთობა ირანსა და ამერიკას 1979 წლიდან აღარ აქვთ, მას შემდეგ, რაც ირანში ისლამისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ამერიკის წინა ადმინისტრაციამ კი ქვეყანასთან ყოველგვარი პირდაპირი დიალოგის წარმოება გამორიცხა.

საინტერესოა, რომ ჯონ ბოლტონი, რომელიც გაერო-ში რაისის პოსტს იკავებდა, ბირთვული პროგრამის საკითხში ამერიკის მარცხს აღიარებს და აცხადებს, რომ ირანმა ბირთვული ტექნოლოგიები სრულად აითვისა.

ბოლტონის თქმით, პრობლემას მხოლოდ ირანის მმართველი რეჟიმის შეცვლა მოაგვარებს, რისი რეალური შესაძლებლობაც არ არსებობს.

## რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში პატარა პარტიებს კარი გაუღეს

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც პარტიებს რომლებიც ვერ გადალახავენ 7%-იან ბარიერს, მაგრამ 5%-ის დაგროვებას მოახერხებენ, შეეძლებათ ჰყავდეთ დეპუტატი ფედერალურ წარმომადგენლობით ორგანოში. პარტიებს, რომლებიც დააგროვებენ 5-დან 6 პროცენტამდე, ეყოლებათ 1 დეპუტატი, 6-დან 7-მდე - ორი დეპუტატი. კრემლში მიაჩნიათ რომ ეს ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა უფრო ფართო ფენის ინტერესების გათვალისწინებას. ამ ინიციატივით მედვედევი ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე გამოვიდა.

ამ პარტიებს ექნებათ თითქმის იგივე უფლებები, რაც უფრო მსხვილ საპარლამენტო სუბიექტებს: არ შეაგროვებენ ამომრჩეველთა ხელმოწერებს საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებზე, მათ ვერ დაშლიან არჩევნებს შორის პერიოდში მცირერიცხოვნობის გამო (?!) და შეეძლებათ წარადგინონ კანდიდატურები (სხვა საქმეა, თუ ვინ გაითვალისწინებს ამას) ყველა იმ თანამდებობაზე, რომელთა არჩევაც სახელმწიფო საათათბიროს კომპეტენციაშია.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები კოსმეტიკურია და მხოლოდ იმ პოლიტიკოსებს წაადგებათ, ვინც სათათბიროში მოხვდება. მათი აზრით უმჯობესია საერთოდ ჩამოსწიონ ბარიერი 5 პროცენტამდე, ან პატიოსნად ჩაატარონ არჩევნები და იქ ბევრად მეტი პარტია შევა.

## ჰილარი კლინტონი და სერგეი ლავროვი ერთმანეთს 6 მარტს შეხვდებიან

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ერთ კვირაში ერთმანეთს ჟენევაში შეხვდებიან. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის მოვალეობის შემსრულებელ რობერტ ვუდის თქმით, შეხვედრა 6 მარტს შედგება. მისივე ინფორმაციით, აშშ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან რიგ საკითხებს განიხილავს, რომლებიც ურთიერთდაინტერესების საგანს წარმოადგენს. მათ შორის იქნება საკითხი ავღანეთის მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე იუწყება, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1-7 მარტამდე ეგვიპტეს, ისრაელს, პალესტინის ტერიტორიებს, ბელგიას, შვეიცარიასა და თურქეთს მოინახულებს. 2 მარტს ჰილარი კლინტონი მონაწილეობას მიიღებს ღაზას სექტორის აღმდგენი ფინანსური დონორების კონფერენციაში. სწორედ ამის შემდეგ ჰილარი კლინტონი ისრაელში გაემგზავრება და პალესტინის ტერიტორიებს მოინახულებს. ბრიუსელში ყოფნისას 5 მარტს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ასევე მიიღებს მონაწილეობას ნატო-ს წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**



ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პროფესორი თენგიზ (სამსონ) კარბელაშვილი, ცნობილი გერმანისტი და შესანიშნავი პიროვნება, რომელიც მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში.

წლების მანძილზე მიჰყავდა საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები გერმანული ენათმეცნიერების მოდულის ლექსიკოლოგიურ დისციპლინებში. მისი კვლევის სფერო გერმანული სიტყვაწარმოება იყო, რომლეშიც იგი ნაყოფიერად მუშაობდა.

გამოქვეყნებული აქვს 24 სამცნიერო ნაშრომი. „მისი წიგნი „გერმანული ენის სიტყვაწარმოების ლექსიკონი“ ორგზის გამოიცა გერმანიაში.

გერმანიაში მოქმედი საზოგადოების „გერმანული ენის გაერთიანება“ მხარდაჭერით, 2000 წლიდან იგი გამოსცემდა გერმანულენოვან ჟურნალს „გერმანისტული ძიებანი,“ რომელიც დროთა განმავლობაში საერთაშორისო მნიშვნელობის მეტად ფართო სპექტრის ჟურნალად იქცა. ჟურნალის რედკოლეგიაში შედიან როგორც ქართველი, ისე სხვადასხვა ქვეყნის გერმანისტები. ქართველი და გერმანელი მეცნიერების გარდა ნაშრომებს წლების განმავლობაში აქვეყნებენ იაპონიაში, კორეაში, პოლონეთში, რუსეთში შვედეთსა და ბელგიაში მოღვაწე გერმანისტები. ამ ჟურნალის

ბაზაზე იგი გამოსცემდა სტუდენტთა კონფერენციების თეზისებს გერმანულ ენაზე.

ბ-მა თენგიზმა ცხოვრების მეტად რთული, მაგრამ საინტერესო გზა

განვლო. იყო სპორტსმენი, დამთავრებული ჰქონდა ფიზკულტურის ინსტიტუტი და შემდგომ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც იგი რამდენიმე წელი ფაკულტეტის დეკანი იყო. ბოლო ორი ათეული წელი კი იგი

თავდადებით ემსახურებოდა გერმანისტიკის სწავლებას თსუ-ში.

მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა მეგობრების, კოლეგების, სტუდენტების და თავისი საქმის სიყვარული, რასაც სიყვარულით და პატივისცემით პასუხობდნენ ადამიანები, რომლებიც მასთან სწავლობდნენ, მასთან თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის**
**გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი**

## აშშ ჯარის დიდ ნაწილს ერაყიდან 2010 წლის აგვისტოში გაიყვანს

აშშ საკუთარი შეიარაღებული ძალების დიდ ნაწილს ერაყიდან 2010 წლის აგვისტოში გაიყვანს. ამ დროისთვის ერაყში ამერიკული სამხედრო კონტინგენტი 142 ათას სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს. როგორც ვარაუდობენ, 30-დან 50 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი ერაყში 2011 წლის ბოლომდე დარჩება. 2003 წლის მარტიდან ამერიკამ ერაყში 4173 ადამიანი დაკარგა, 30 182 კი დაიჭრა. ბარაკ ობამამ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მთავარ ფრონტად ერაყს კი არა, ავღანეთს მიიჩნევს და ამომრჩეველს ერაყის ტერიტორიიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის სწრაფი გამოყვანის მიღწევას დაჰპირდა. **პირველი**

## საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენი

საერთაშორისო ტრიბუნალმა თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ განსახილველ საქმეზე, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის საკითხებს ეხება, გადაწყვეტილება მიიღო. ამ საქმესთან იყო დაკავშირებული სერბეთისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ექვსი ყოფილი ხელმძღვანელი და სერბეთის პრეზიდენტი მილან მილუტინოვიჩი. მოსამართლეებმა ექს-პრეზიდენტი უდანაშაულოდ ცნეს, ხოლო დანარჩენ ხუთ განსასჯელს თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ხანგრძლივი ვადები მიუსაჯეს. საერთაშორისო ტრიბუნალმა იუგოსლავიის ყოფილი ვიცე-პრემიერი ნიკოლა საინოვიჩი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ყოფილი ხელმძღვანელი სრეტენ ლუკიჩი, სამხედრო მაღალჩინოსნები - ნებოიშ პავკოვიჩი და ვლადიმერ ლაზარევიჩი, ასევე თავდაცვის ყოფილი მინისტრი დრაგოლიუბ ოიდანიჩი 1999 წლის მარტ-ივნისში კოსოვოში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულებად აღიარა. სწორედ ამ ადამიანების უშუალო ხელმძღვანელობით იყო ორგანიზებული ასი ათასობით კოსოვოელი ალბანელის განადგურებისა და დეპორტაციის ფართომასშტაბიანი კამპანია. განხორციელებული ეთნოწმენდის ფარგლებში განადგურდა და დაიწვა ასი ათასობით სახლი და მუსლიმთა სიწმინდე, დახოცეს ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე და გააუპატიურეს კოსოვოში მცხოვრები ასობით ალბანელი ქალი. ნიკოლა საინოვიჩის, ნებოიშ პავკოვიჩს და სრეტენ ლუკიჩს 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ვლადიმერ ლაზარევიჩისა და დრაგოლიუბ ოიდანიჩს კი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მილან მილუტინოვიჩი დათანხმდა პროკურორის ოფისთან თანამშრომლობას და ჰააგის ტრიბუნალს ნებაყოფლობით ჩაბარდა, თუმცა იგი არასდროს აღიარებდა თავის ბრალეულობას და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა კოსოვოში შექმნილი ვითარების შესახებ. ტრიბუნალის სასამართლო პალატამ მიიჩნია, რომ სერბეთის ექს-პრეზიდენტ მილან მილუტინოვიჩს არ ჰქონდა პირდაპირი პირადი კონტროლი არმიასა და ფედერალურ ორგანოებზე. მილან მილუტინოვიჩისა და კიდევ ხუთი მაღალჩინოსნის საქმის ირგვლივ მიმდინარე სასამართლო პროცესი 2006 წლის 10 ივლისს დაიწყო და სასამართლო მოსმენები 2008 წლის 27 აგვისტოს დასრულდა. მოსამართლეებმა ამ პროცესის განმავლობაში 235 მოწმე დაკითხეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## იუშჩენკომ ტიმოშენკოს დროებით დაზავება შესთავაზა

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს დროებით დაზავება შესთავაზა. უკრაინული სააგენტოს ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტი მთავრობის ხელმძღვანელ იულია ტიმოშენკოსთან, რადას სპიკერ ვლადიმერ ლიტვინთან, ეროვნული ბანკის თავმჯდომარე ვლადიმერ სტელმახომთან და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელ ნიკოლაი აზაროვთან შეხვედრაზე გამოვიდა წინადადებით, რომ დროებით უარი თქვან პოლიტიკურ დაპირისპირებაზე, რათა ეკონომიკურ კრიზისს ერთობლივი ძალით ებრძოლონ. იუშჩენკოს აზრით, უახლოესი თვეების განმავლობაში, კერძოდ - მარტიდან ივნისამდე, პოლიტიკურ კამათზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხი დავიწყებას მიეცეს. **პირველი**

## ციმბირში სეპარატიზმი ფეხს იკიდებს

რუსეთმა შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ სეპარატიზმის კერა შუაგულ ციმბირში მიიღოს. კერძოდ, ციმბირში მოქმედებს ფინანსურად მძლავრი ორგანიზაცია, რომლის მიზანი ციმბირის რუსეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა. ორგანიზაციაა მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ ციმბირს ორი სახელმწიფო ენა - ციმბირული და ინგლისური უნდა ჰქონდეს. მათი აზრით, ციმბირი ნატო-ში უნდა გაწევრიანდეს, ციმბირის სახელმწიფო დროშა კი, თეთრ-მწვანე შტანდარტი უნდა იყოს. ორგანიზაციას აქვს საკუთარი ვებგვერდიც, რომლის მისამართია: www.volgota.com **მედიანიუსი**

## პაკისტანში ოპოზიციის აქცია დაშალეს

პაკისტანის პოლიციამ მომიტინგეების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. სამართალდამცველებმა აღნიშნული ხერხის გამოყენება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც აქტივისტებმა, რომლებიც ოპოზიციის ლიდერ ნავაზ შარიფის მხარდასაჭერად უკვე მესამე დღეა ქუჩაში არიან გამოსულები, ცენტრალური ავტომაგისტრალის გადაკეტვა განიზრახეს. აღსანიშნავია, რომ პაკისტანში ვითარება 25 თებერვალს დაიძაბა, მას შემდეგ, რაც ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთი ოპოზიციური ფრაქციის ლიდერ შარიფს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჩამოართვა. შარიფის მხარდამჭერებმა პაკისტანის პრეზიდენტ ასიფა ალი ზარდარის "დემოკრატიის მკვლელი" უწოდეს და მის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების გამართვა დაიწყეს. **მედიანიუსი**

# რუსული სოფლების "უცენზურო" სახელები







ხათუნა ბაბიევი

რუსულმა გაზეთმა "ნოვიე იზვესტიამ" ქვეყანაში იმ დასახლებულ პუნქტებს მიუძღვნა სტატია, რომლებსაც უცენზურო სახელები აქვთ და რომელთა მცხოვრებლებიც ამის გამო მშობლიური ადგილებიდან უფრო "საპატიო" არეალებისკენ გარბიან. ფსიქოლოგთა აზრით, სოფლებისა თუ ქუჩების არაკეთილხმოვანი დასახელებები მცხოვრებლებს თვითშეფასებას უქვეითებს და კომპლექსებს წარმოშობს. თუმცა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და ბიუროკრატიული წინააღმდეგობები პრობლემას მათთვის გადაუჭრელს ხდის.

რუკიდან უცენზურო დასახელებების წაშლის პირველი მცდელობა ბოლშევიკებს ჰქონდათ. საბჭოთა დროს მორდოვიის სოფელ "[illegible]"-ს "ნაგორნაია", პოდმოსკოვიეს "[illegible]"-ს - "რადუგა", ნიჟეგოროდსკის ოლქში "[illegible]"-ს - "ლიპოვკა", ხოლო სმოლენსკის სოფელ "[illegible]"-ს - "კრასნაია პრისტანი" დაარქვეს.

თუმცა, ამით პრობლემა არ ამოწურულა, რუსეთში ჯერ კიდევ მრავლად რჩება კარიკატურული თუ სამარცხვინო დასახელებების მქონე სოფლები, სადაც ასი ათასობით რუსი ცხოვრობს. პოდმოსკოვიეში დღემდე არსებობს სოფლები "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", ხოლო ტვერის ოლქში - დიდი და პატარა "[illegible]", "[illegible]" და "[illegible]"; ისევე როგორც კალუგის ოლქში "[illegible]", კემეროვოში კი - "[illegible]" და "[illegible]".

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ალექსეი ვლასოვის თქმით, რუსეთის ცენტრალურ ტერიტორიაზე 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტია, რომელთაც ასევე არასასიამოვნო ჟღერადობის სახელები ჰქვიათ.

**"ზოგჯერ ასეთი ტიპის სახელების დარქმევა ვინმე კონკრეტულ პირს უკავშირდებოდა, ხოლო ზოგჯერ კი უბრალოდ მეზობელი სოფლის მცხოვრებლები იყრიდნენ რაღაცის გამო ჯავრს ასეთი სახელების შერქმევით,"** - აღნიშნავს ალექსეი ვლასოვი.

ფაქტია, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ დიდად არ ეხატებათ გულზე ასეთი შეურაცხმყოფელი სახელწოდებები. მაგალითად, ირკუტსკის ოლქის სოფელ "[illegible]"-ს მცხოვრებლები უკვე რამდენიმე წელია ცდილობენ სახელის "სიბირსკოეთი" შეცვლას. განსაკუთრებით ახალგაზრდობა აქტიურობს. მათ არც ის ფაქტი აჩერებთ, რომ სოფელში ჯერ კიდევ ცხოვრობს დასახლებული პუნქტის დაამარსებელ ვალენტინა ლოხოვას შვილთაშვილი.

პოდმოსკოვიეს სოლნეჩნოგორსკის რაიონის სოფელ "[illegible]"-ს სახელი პეტრე I-ს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, მეფემ სოფლის მცხოვრებლებს სამშენებლო მასალად გამოყენების მიზნით კვერცხების შეგროვება სთხოვა, მაგრამ სოფლელებმა კვერცხები მოხარშული გაუგზავნეს მეფეს. ამჟამად სოფელი თითქმის გაუკაცრიელებულია, რადგან იქ მხოლოდ ორად-ორი მოხუცი ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი სახლები აგარაკებადაა გაყიდული.

თუმცა, "[illegible]"-ზე ბევრად უარესი სახელწოდებების სოფლებიც არსებობს. ულიანოვსკის ოლქში - "[illegible]", პერმში - "[illegible]", ჩელიაბინსკში - "[illegible]", ტამბოვის ოლქში - "[illegible]", ბელგოროდში - "[illegible]", ვოლოგდის ოლქში - "[illegible]".

**"მე არამარტო სასაცილო სახელწოდებების მქონე, არამედ უცენზურო სახელის მქონე სოფლებშიც მომიწია ჩასვლა, მაგალითად, ივანოვოს ოლქის სოფელ "[illegible]"-ში,"** - ჰყვება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორი ბორის კოჩუროვი.

რუსეთის ფსიქოლოგიური და სოციალური მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელ ევგენი შაპოშნიკოვის თქმით, ხალხური სიბრძნე როგორც ღაღადებს - "ნავს რასაც დაარქმევთ, ისეთი ბედი ელის" გეოგრაფიულ დასახელებებზეც ვრცელდება. მისი აზრით, ადამიანის ემოციურ-ბიჰეივიორული სტატუსი პირდაპირ კავშირშია იმ ადგილთან, სადაც ცხოვრობს.

**"[illegible]"-ს დასახლებაში ან "დურაკოვოს" ქუჩაზე მცხოვრები ხალხი ქვეცნობიერად ღრმა დისკომფორტს განიცდიან. ეს განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში იჩენს თავს, როდესაც ყველაფერს თვით უმნიშვნელო წვრილმანსაც კი დიდი ყურადღება ექცევა მოზარდის მხრიდან,"** - მიიჩნევს ფსიქოლოგი.

თუმცა, პრობლემას ასე მწვავედ ყველა როდი განიცდის. სოფლების უმრავლესობას სახელები XVI-XVII საუკუნეებში დაერქვა, როდესაც ხალხი მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა დასახელებების კეთილხმოვანებას და ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ კი ჯავრის ამოყრის მიზნით მიეწებობდა ხოლმე ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს ზედმეტსახელი.

**"დასახლებულ პუნქტებს, როგორც ადამიანებს, რა ზედმეტსახელებიც მიეწებათ, ისეთივე დარჩათ. ასეთი სახელების გამოცვლა უბრალოდ "თვალთმაქცობაა", რადგან სახელებში კარგად იკითხება ნაციონალური ფსიქოლოგია,"** - მიიჩნევს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის თანამშრომელი დმიტრი ვოლოდიხინი.

რუსეთის კანონში "გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების შესახებ" არაკეთილხმოვანების გამო ცვლილების შეტანაზე არაფერია ნათქვამი. თუმცა, ადვოკატების თქმით, დასახლებული პუნქტისთვის სახელის შეცვლა ადგილობრივი მცხოვრებლების ინიციატივის საფუძველზე შესაძლებელია, თუ მათ არ მოსწონთ სახელწოდება. საამისოდ, ადგილობრივმა საკანონმდებლო საბჭომ უნდა მიიღოს ნორმატიული აქტი, ხოლო შემდეგ რეფერენდუმზე გაიტანოს.

**"სახელის გადარქმევა ხანგრძლივი პროცედურაა. საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა მისამართში, რუკაზე, ცნობარებში, სახლების აბრებზე. იურიდიულმა პირებმა, რომლებიც სახელშეცვლილ არეალებში არიან - უნდა შეცვალონ ბეჭედი,"** - აღნიშნავენ ამასთან ადვოკატები. გარდა ამისა, მათი თქმით, სახელწოდების ნებისმიერი ცვლილება ხაზინისთვის საკმაოდ დიდი ოდენობის ხარჯია. მაგალითად, კიროვისთვის ისტორიული სახელის - ვიატკას დაბრუნება, ფინანსისტების გამოთვლით, სახელმწიფოს 6.5 მლნ რუსული რუბლი დაუჯდება.

გარდა ამისა, სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებს მიწერის ბარათის შეცვლა საკუთარი ხარჯებით მოუწევთ.

**"ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის გამონახავს პრობლემის შექმნის მიზეზს. მაგალითად, იტყვიან საჭიროა საკუთრების მოწმობის შეცვლა მისამართის შეცვლის გამო ან მოითხოვენ ახალი საკადასტრო გეგმის შედგენას, თავს იჩენს მემკვიდრეობის პრობლემაც,"** - აღნიშნავენ რუსი ადვოკატები.

თუმცა, ყველაზე საინტერესო რაც არის, ისაა, რომ დასახლებული პუნქტისთვის სახელის შეცვლა ყოველთვის როდი უკავშირდება სახელწოდების არაკეთილჟღერადობას. მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თქმით, ცოტა ხნის წინ სარატოვის ოლქის სოფელ "[illegible]"-ის მცხოვრებლებმა მიაღწიეს იმას, რომ მათ სოფელს "[illegible]"-ი დაერქვა - ერთადერთი მოტივი კი ის იყო, რომ სოფელი მეზობლებისგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო უფრო მეტი სულადობის გამო.

"გაერთიანებული ტელეკომი"

ჩუღურეთის რაიონის მაცხოვრებლებს თანამედროვე ციფრული სადგურებით მოემსახურება

„გაერთიანებული ტელეკომი“ აგრძელებს ციფრულ სადგურებზე აბონენტების გადაყვანას. ოთხმოციან წლებში დამონტაჟებული 91; 94; 95; 96 ელექტრონული სადგურები ციფრულ ტექნოლოგიებზე გადადის. კომპანია ამ ინდექსის აბონენტებს მიმდინარე წლის 1 მარტს ღამის საათებში გადართავს.

ციფრული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად ამაღლდება მომსახურებების ხარისხი, გარდა ამისა, 23 ათასი მომხმარებელი მიიღებს 26-მდე ახალი სახეობის სერვისს. მათ შორის, ნომრის ამომცნობის გააქტიურება, რამდენიმე აბონენტთან ერთდროულად საუბარი, ზარის გადამისამართება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ინტერნეტის მიწოდების ხარისხიც. როგორც კომპანიაში აცხადებენ, აბონენტებისთვის მომსახურების შეფერხება მხოლოდ ერთი დღით, ღამის საათებში მოხდება, რის შესახებაც წინასწარ აბონენტები ავტომატურ სატელეფონო შეტყობინებებს მიიღებენ.

პროცედურის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსალოდნელია გარკვეული შეფერხებები, რისთვისაც დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე იმუშავებს ცხელი ხაზი: 95 21 11

2008 წლის დეკემბრის თვეში ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესმა შეუფერხებლად ჩაიარა სამ სადგურში: შეიცვალა წყნეთის სადგური (2 ათას აბონენტი); 63-64 ინდექსისა (18 ათასი აბონენტი) და 60-61 ინდექსის (18 ათასი) სადგურები. ასევე, ჩატარდა მნიშვნელოვანი განბლოკვითი სამუშაოები და ქსელში მოქმედი ე.წ. „ბლოკის ტელეფონი“ წარსულს ჩაბარდა.

ციფრული სადგურების ექსპლუატაციაში გაშვება მიმდინარე თვეებშიც გასტანს და საბოლოოდ მაისის თვეში თბილისში, კომპანიის ქსელში აღარ იარსებებს ძველი ტექნოლოგიის სადგურები.

# რევიუ

## ხანდახან საჭიროა ანტიდეპრესანტი - "ლირიკა"

### ანტიპუტინური საღამო და ახალი წიგნი მრგვალ ბაღში

ბელა ჩეკურიშვილი






„ეს წიგნი არის პუტინის რეკლამა, ამით თქვენ პუტინის რეკლამას აკეთებთ!“- ეუბნებოდა გამომცემლობა „სიესტას“ თანამშრომელს მრგვალ ბაღში ერთი ქალბატონი. „პირიქით, ქალბატონო, ეს წიგნი პუტინის წინააღმდეგაა მიმართული, იცით, რომ რუსეთში აკარძლულია? აი, წაიკითხეთ და გაიგებთ“- უხსნიდა გოგონა შუახნის ქალს, რომელიც თავისას იმეორებდა, მაგ წიგნს სახლში არ შევიტანო.

მრგვალ ბაღში უკრაინელი ჟურნალისტისა და მწერლის სერგეი დორენკოს წიგნის „რომანი 2008“-ის პრეზენტაცია მიმდინარეობდა, რომელსაც პერფორმანსული აქციის სახე ჰქონდა და იგი გამომცემლებმა კონფლიქტურ რეგიონში დაღუპულებსა და დევნილებს მიუძღვნეს.

სერგეი დორენკის ეს ფანტასტიკური ჟანრის რომანი მართლაც პრეზიდენტ პუტინს ეძღვნება და იმის გამო, რომ მასში ნეგატიური პათოსი არბობს, მართლაც დღემდე აკარძალულია რუსეთში. იგი გასულ წელს გამომცემლობა „ადმარგინევმა“ გამოსცა და ტირაჟი მალევე შეაჩერეს.

პოპულარი ენით დაწერილ რომანში ერთმანეთს ერწყმის გამონაგონი და სინამდვილე. შეთქმულების საგა, რომელიც ნაწარმოებში ვითარდება, აერთიანებს არაერთ პოპულარულ პირს - შროდერს, ბუშს, სობჩაკის ქალიშვილს, ბერეზოვსკის, ლიტვინენკოს, ხადარკოვსკის და ა.შ.

ავტორი იუმორით ცდილობს გადმოსცეს რუსეთის პრეზიდენტის გაორებული ბუნება, მისი მანიაკალური მისწრაფებები მსოფლიო ბატონობისკენ და ადამიანური შიშები სხვადასხვა პოტენციური ავადმყოფობების გამო. დორენკო გვიყვება კრემლის კულუარების გარყვნილ, მლიქვნელ და უნდო მოხელეებზე, ბერეზოვსკის ლონდონურ ყოფაზე და ჩინელი დაოსების როლზე პუტინის ცხოვრებაში.

წიგნი ფანტასტიკის ჟანრშია დაწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორმა თავისი ოცნებები ლაღად მიუშვა და პრეზიდენტის გარშემო იმისთანა ისტორიები დახლართა, რომ ბოლოს რუსეთის პირველი პირი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება სამშობლოს ღალატის ბრალდებით.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ წიგნი აეკრძალათ, აბა, პუტინს ამგვარი ხუმრობა მოეწონებოდა? სამაგიეროდ, სერგეი დორენკოს სერიოზულად მიხედეს და ეს ფანტაზიების მოყვარული ჟურნალისტი დღეს კრემლის საკეთილდღეოდ იღწვის.

მაგრამ ეს სხვა ისტორიაა უკვე, მანამდე კი „რომანი 2008“ მკითხველს ელოდება, რომელიც მხატვრული ღირებულებით თუ არ აღგაფრთოვენებთ, სამაგიეროდ, გულს გემრიელად მოგფხანთ. როგორც მისმა მთარგმნელმა გიორგი კეკელიძემ გვითხრა, თარგნისას დიდად იხალისა, მძაფრი სიუჟეტი აქვს და კარგადაა ნაჩვენები რუსული პოლიტიკური ელიტის მისწრაფებები.

გამომცემლობა „სეისტას“ დორენკოს რომანის გამოცემის უფლება თვით „ადმარგინევმა“ გადასცა. ეს ისტორია გასული წლის მაისში დაიწყო, როცა მოსკოვში გამომცემლობა „ადმარგინევმა“ ზაზა ბურჭულაძის რომანი გამოსცა. ამ ფაქტთან დაკავშირებით „სიესტას“ მოსკოვში მოუწია ჩასვლა და როგორც ხდება ხოლმე, გამომცემლებს შორის შეთავაზებები გაიმართა. სხვადასხვა ნაწარმოებებს შორის „სიესტამ“ დორენკოს წიგნი შეარჩია, როგორც კონკრეტულად პუტინის პაროდია, მით უფრო, რომ ამასობაში ის ავადსახსენებელო კონფლიქტიც დაიწყო და ზოგადად რუსული ლიტერატირის მიმართ ქართველ მკითხველში აგრესია გაჩნდა.

ქეთი კილურაძე, „სიესტას“ დირექტორი: „არ ვიცით, მომავალში თუ გამოვცემთ რომელიმე რუსი ავტორის წიგნს. მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, მათთან ურთიერთობა საკმაოდ გართულებულია, როგორც გამომცემლებთან, ასევე ავტორებთან. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსული ლიტერატურა ნაკლებად იყიდება, ეს ეხება თარგნილსაც და ორიგინალსაც. სამომავლოდ შესაძლებელია თანამდროვე რუს პროზაიკოსთა კრებული გამოვცეთ“.

გუშინ საღამოს კი, მრგვალ ბაღში, ისევე როგორ სერგეი დორენკოს წიგნი, აქციაც ანტიპუტინური იყო, რომელიც ირაკლი ჩარკვიანის კლიპის ჩვენებით დაიწყო. ეკრანზე რუსული ტანკები დადიოდნენ და ქეთათო განწირული ხმით ივედრებოდა: „გაიყვანე ბაზა, გაიყვანე ბაზა, რუსო!“ რის შემდეგაც პოეტებმა ზურა რთველიაშვილმა, დათო ჩიხლაძემ და მუსიკალურმა ბენდმა „დალანდმა“ პერფორმანსი დაიწყეს.

დათო ჩიხლაძეს მაღლააწეულ ხელში ანტიდეპრესანტული პრეპარატის „ლირიკას“ კოლოფი ეჭირა, საკუთარ სონეტებს კითხულობდა, რაც ბენდის ხმამაღალ რიტმებში არავის ესმოდა. „ხანდახან საჭიროა მივიღოთ „ლირიკა“ - ასეთ მესიჯს გვიგზავნიდა პოეტი, ხოლო პერფორმანსის სულისკვეთება ის იყო, რომ ბენდის ხმაზე, რაც ქაოსად და პირობითად საომარი აგრესიის ხმებად აღიქმებოდა, ლირიკას ვერც მოისმენთ და ვერც გაიაზრებთ.

„დაარტყით, დაარტყით ამინდებს წვიმიანს, დაარტყით, დაარტყით ომების ეპოქას!“- ხმისჩახლეჩვამდე ყვიროდა ზურა რთველიაშვილი, რომელსაც ზოგადად ყვირილი კი არ უჭირს, მაგრამ იმ დღეს მისი ხმა „დალანდის“ მიერ წარმოქმნილ აგრესულ ქაოსს ვერ ფარავდა.

## გავიხსენოთ ძველი კინო

### ჰოლივუდში 80-იანი წლების ფილმების რიმეიკს იღებენ

ვინც ბავშვობა 80-90-იანი წლებში გაატარეთ და ვიდეო კასეტების გაქირავებითაც სარგებლობდით, უთუოდ გემახსოვრებათ გერმანულ-ამერიკული ფილმი ფენტეზი „დაუსრულებელი ისტორია“, რომლის მთავარი პერსონაჟი ბასტიანი უზარმაზარ მფრინავ ცხოველზე ამხედრებული სერავს ზღაპრულ ქვეყანას. ახლა კი ამ ფილმის რიმეიკის გადაღება გადაწყვიტეს, პროექტის ავტორი კი თვით ლეონარდო დი კაპრიოა.



1984 წელს გადაღებული ფილმის რეჟისორი ექშენ კინოს საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ვოლფგანგ პეტერსონია. სწორედ მისი გადაღებულია ბრედ პიტის „ტროა“ და „იდეალური შტორმი“ ჯორჯ კლუნითა და მარკ უოლბერგით მთავარ როლში. ასევე მისია მძაფრსიუჟეტიანი „პრეზიდენტის თვითმფრინავი“, რომელშიც რუსი ტერორისტის როლს ლევან უჩანეიშვილი თამაშობს.

ჯერჯერობით ცნობილი არაა, ვინ გადაიღებს „დაუსრულებელი ისტორიის“ ახალ ვერსიას, თუმცა როგორც ლეონარდო დი კაპრიოს წარმომადგენელი აცხადებს, მას თავად მსახიობი შეარჩევს. ასეთი მზრუნველობის მიზეზი კი ისაა, რომ დი კაპრიოს ეს ისტორია ძალიან ყვარებია და სულაც არ უნდა ფილმი ცუდი გამოვიდეს. მან მიხაელ ენდეს რომანის ეკრანიზაციის უფლება რამდენიმე წლის წინ შეიძინა, თუმცა დატვირთული გრაფიკის გამო ამ პროექტისთვის მხოლოდ ახლა მოიცალა.

მზადდება კიდევ ერთი გახმაურებული ფილმის რიმეიკი - ასვე 80-იანი წლების მიწურულს გადაღებული „ყველაფრის გახსენება“. მისი რეჟისორი პოლ ვერხოვენი გახლდათ, ხოლო მთავარ როლს იმ დროს ჯერ კიდევ მსახიობი არნოლდ შვარცნეგერი თამაშობდა. ფილმი ცობილი ფანტასტის, ფილიპ დიკის ნაწარმოების მიხედვითაა გადაღებული. აქვე შეგახსენებთ, ხომ სწორედ მის ნაწარმოებებს ეფუძნება სტივენ სპილბერგის „განსხვავებული აზრი“ და რიდლი სკოტის შედევრი „სამართებლის პირზე მორბენალი“.

რაც შეეხება „ყველაფრის გახსენებას“, მასში მოქმედება ადამიანების მიერ კოლონიზებულ მარსზე ხდება, ხოლო შვარცნეგერის პერსონაჟი დუგლას ქუაიდი ამ პლანეტაზე თავისი სიზმრების კვალდაკვალ მოხვდება და ცდილობს გაარკვიოს, ვინ არის სინამდვილეში. თავის დროზე ვერხოვენის ფილმმა მსოფლიო გაქირავებიდან 260 მილიონიანი მოგება ნახა. რაც შეეხება მის რიმეიკს, არ არის გამორიცხული, რომ რეჟისორი ამჯერად მის პროდიუსერად მოგვევლინოს, ხოლო გუბერნატორ შვარცნეგერს ფილმში კამეო ჰქონდეს.

ამ კვირაში კომპანია „ნიუ ლაინ სინემამ“ კიდევ ერთი ცნობილი ფილმის „კოშმარი თელების ქუჩაზე“ რიმეიკის მთავარი მოქმედი გმირების, უფრო სწორად, ფრედი კრიუგერის მსხვერპლთა სია გამოაქვეყნა. მათი რაოდენობა სულ ხუთი იქნება და ტრადიციულად 17-18 წლის მოზარდები იქნებიან. ფილმის რეჟისორი სემუელ ბეიერი იქნება, რომელიც გადაღებებს 27 აპრილს დაიწყებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ ფრედი კრიუგერის როლის შემსრულებელი მსახიობის ვინაობა.

ბასა ჯანიკაშვილის შაბათობა



ინტერვიუ მეათე

## ასი პროცენტი

**დღევანდელი შაბათობის სტუმარია „საქართველოს ოპოზიციური აზრის კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორი ნათელა მურმანელი. ქალბატონი ნათელა უკვე ოცი წელია ამ საკითხს იკვლევს და ფრიად საინტერესო შედეგებამდე მივიდა. სანამ ამ დასკვნას გაგაცნობდეთ, მინდა ქალბატონი ნათელა მურმანელის შესახებ ორიოდე სიტყვა გითხრათ. მას ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. მეუღლე, ბატონი ანზორ ასანბეგიშვილი ამჟამად უმუშევარია. ვაჟიშვილი გურამ ასანბეგაშვილი ოცდაათი წლისაა. იგი ინგლისური ენის მასწავლებელია, მაგრამ ამჟამად ასევე უმუშევარია. ინგლისში აპირებს სწავლის გაგრძელებას, მაგრამ უსახსრობის გამო ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას ამაგრებს.**

**ბასა ჯანიკაშვილი** - ქალბატონო ნათელა მურმანელო, როდის გაგიჩნდათ იდეა ასეთი ორიგინალური ინსტიტუტი ჩემოგეყალიბებინათ?

**ნათელა ასანბეგაშვილი** - პატარა საქმე არ არის შვილო ინსტიტუტის გამართვა!.. მაგრამ, გაჭირვება მანახე და გაქცევას გიჩვენებო ხომ გაგიგია? ასე ვიყავი მეც. იჯდა ჩემი მეუღლე ანზორ ასანბეგაშვილი და მომჩერებოდა პირში დედიკო. ჩემი უსაქმური შვილი, ჩემი გურა, ქე დაამთავრა თბილისში უცხოენები და ქე ჩამევიდა უკან. ვიფიქრე, მე მამაცხონებულს, ქვეყანას ვიცნობ, ქვეყნის ამბები ვიცი, ქუთეისში ერთი ჩიტი ვერ შემოფრინდება მე რო არ ვიცოდე ისთე. და გავხსენი ინსტიტუტი. (იცინის)

**ბ.ჯ.** - კი მაგრამ, რატომ ასეთი სათაური: „ოპოზიციური აზრის კვლევის ინსტიტუტი“ და არა, მაგალითად, უბრალოდ „საზოგადოებრივი აზრის“..

**ნ.ა.** - გევიგე! იმიტომ, რომ ქუთეისი ოპოზიციურია სულ. მერე, მთავრობას თუ გინდა კაი საქმე გაუკეთო, პირში უნდა მიახალო ყველაფერი. მაგალითად, ხომაა რომ ქუთეისს ერთი წესიერი მერი ვერ ეღირსა. რატომაა ასე? არაა მასე, ბევრი ღირსეული მერი ყოლია ამ ქალაქს. ერთი მეორეზე უკეთესი.

**ბ.ჯ.** - თქვენი ინსტიტუტი თუ გამოდგომია ქუთაისს?

**ნ.ა.** - მაგალითად, ამბობენ, რომ ქუთეისში ბევრი რამე შეიცვალაო შევარდნაძის მერეო. გზები გამოსწორდაო ვითომო, განათება დადგაო, სახლებში წყალი მოდისო გაზი საცაა... ყველაფერი მოკლედ ისე ამბობენ, ვითომ ამერიკაში ვიყოთ. გამოვიკვლიე მე ეს საკითხი და დავადგინეთ, რომ კმაყოფილია ხალხი და მოწონს ეს მთავრობა. არადა, რო შეხედო ჩვენ ქუთეისს და შეადარო ვითომ შევარდნაძისას არ ჯობდა?

**ბ.ჯ.** - კარგად ვერ გავიგე, „საქართველოს ოპოზიციური აზრის კვლევის ინსტიტუტის“ - ფუნქცია? რა გამოკითხვა ჩაატარეთ? რამე კონკრეტული კითხვა დასვით? მოდით მომიყვევით როგორი მეთოდებით მუშაობთ.

**ნ.ა.** - როგორ და მაგალითად გაზაფხული მოდის და შეუდგა წყალი ამ მთავრობას. ასე ამბობს ყველა. დადიან ჩვენი რეფერანები ქუჩა-ქუჩა ეკითხებიან ხალხს, რამე რო იყოს და დეიწყო მიტინგები, მთავრობის საწინააღმდეგოდ კანეჩნო, წახვალ თუ არა თბილისში.

**ბ.ჯ.** - საინტერესოა რა შედეგები მიიღეთ.

**ნ.ა.** - წავალთო ამბობენ.

**ბ.ჯ.** - როგორ განაწილდა პროცენტები? უფრო ზუსტი მონაცემები გაქვთ?

**ნ.ა.** - ასივე პროცენტმა - წავალთო.

**ბ.ჯ.** - დარწმუნებული ხართ, რომ ასივე პროცენ...

**ნ.ა.** - მარაოო!..

**ბ.ჯ.** - მაგრამო?

**ნ.ა.** - ეე-ე, ახლა მანდ იწყება ჩვენი სამუშაო. თუ უნდათ დეტალები, ჩვენი ინსტიტუტი იმფერადაა მოწყობილი, რომ ვეუბნებით მთავრობას რა გააკეთოს რომ არ წავიდეს ხალხი.

**ბ.ჯ.** - გიჯერებენ მერე მთავრობის წევრები?

**ნ.ა.** - სააკაშვილი ჩემს გარეშე ნაბიჯს არ დგამს. რამდენი არ დამიჯერა, წაიტეხა კისერი.

**ბ.ჯ.** - მაინტერესებს, ოპოზიციდან თუ დაინტერესებულა ვინმე? არავინ მოსულა, რჩევა არ უკითხავთ, კვლევა არ შეუკვეთავთ?

**ნ.ა.** - თქვენ მეუღლე გყავთ?

**ბ.ჯ.** - გასაგებია. მოდით, ჩვენი გაზეთის მკითხველს ყველაზე უცნაურ და მოულოდნელ შედეგებზე მოუთხროთ. რისი გახმაურებაც უკვე შეიძლება.

**ნ.ა.** - კი ბატონო, სიამოვნებით. მაგალითად ვკითხეთ ხალხს, რას ფიქრობენ 7 ნოემბერზე. ასმა პროცენტმა გვითხრა, რომე დანაშაული იყოო. მაგრამ... ჰო, ეს *მაგრამ* ბატონო ბასა, მაგრამ ორ კვირაში რო ვკითხეთ თვითონ როგორ მოიქცეოდა სააკაშვილის ადგილზე, გაუჭირდათ პასუხის გაცემა. კიდოო, იყო ასეთი შეკითხვა, რომ ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთი იყო, რომ რას ფიქრობენ რუსეთის აგრესიაზე და ასივე პროცენტმა გვითხრა რომ არ მოიქცა სწორად რუსეთიო, მტერს არ გაუკეთებდაო ისე მოგვექცაო. მაგრამ, იმავე ასმა პროცენტმა ორ კვირაში გვითხრა, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარიაო.

**ბ.ჯ.** - ბოლოს, მინდოდა მეთხოვა, რამე კურიოზი მოგეყოლათ, მაგრამ მგონი უკვე მოყევით.

**ნ.ა.** - დასკვნები თქვენ თვითონ გამოიტანეთ. წარმატებებს გისურვებთ.

# გრაფიკოსთა სამი თაობა

თამარ კიკნაველიძე

საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ გახსნილ სამხატვრო გალერეაში ახალი გამოფენა მოეწყო. ეს სივრცე უკვე მეორე ექსპოზიციას მასპინძლობს.

სამხატვრო გალერეაში, თავდაპირველად, ფერწერის გამოფენა შედგა. გუშინ კი, იქ გრაფიკოსთა ნამუშევრები გამოიფინა. ორივე ექსპოზიცია თანამედროვე ქართული ხელოვნების ციკლის ნაწილია.



თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკის გამოფენა, მის წინამორბედთან შედარებით, უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და გამორჩეული აღმოჩნდა. ამჯერად დამთვალიერებლის წინაშე სულ ოთხმოცდაათამდე ავტორი წარსდგა, რომელთა შორისაც, ალბათ, საყვარელ მხატვრებს აღმოაჩენდით. ექსპოზიციამ გრაფიკის ტექნიკით გატაცებული ავტორების შესაძლებლობებზე წარმოდგენა კიდევ ერთხელ შეგვიქმნა.

გალერეაში საპატიო ადგილი მიეჩინათ მხატვრებისთვის, რომლებიც უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან - მათ ნამუშევრებს დარბაზში შესვლისთანავე მოკრავდით თვალს. ექსპოზიციის მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ, ერთმანეთის გვერდით, სამი თაობის გრაფიკოსთა ნახატები გამოეფინათ. თითო მხატვარი თითო ნამუშევრით იყო წარმოდგენილი, მათი შერჩევა კი, გია ჯანბერიძემ ითავა, როგორც მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ და ამ სივრცის მასპინძელმა.

„ექსპოზიციაზე მხატვართა სამი თაობაა ერთდროულად წარმოდგენილი. უპირველესად, თვალშისაცემია ქართული მხატვრობის ცოცხალი კლასიკოსების - მამია მალაზონიას, ემირ ბურჯანაძის, ამირ კაკაბაძის, გივი თოიძის, დიმა ერისთავის, გოგი წერეთელის, ნუკრი შავგულიძის და სხვათა ნამუშევრები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებობს მემკვიდრეობითი ძაფი, რომელიც მათ ნამუშევრებს ერთმანეთთან აკავშირებს. მთავარი ტენდენცია კი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ აქამდე თუ მხატვრები, თავიანთ ნამუშევრებში გარკვეული მოვლენებისა და საგნების ასახვას, ძირითადად, რეალისტური ხერხებით ცდილობდნენ, აქ უკვე ნათლად შეიმჩნევა მათი ალეგორიებისა და მეტაფორების სახით გამოვლენის არაერთი მცდელობა... დამთვალიერებელი ერთი თვალის შევლებითაც მიხვდება, რომ აქ წარმოდგენილი კომპოზიციები მეტად თავისუფალი და პერსპექტიულია, რაც, თავისთავად, ექსპოზიციას საინტერესო იერს სძენს“, - გვითხრა გია ჯანბერიძემ.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს რაც შეეხება, მათ შორის, პირადად მე, ყველაზე მეტად მამია მალაზონიას მიერ შესრულებულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დამაინტერესა. სულ ცოტა ხნის წინათ, ამ მხატვრის გრაფიკამ ამირან არაბულის მიერ მოთხრობილი „ვეფხისტყაოსანი“ გააფორმა, სადაც მხატვარმა მკითხველს, ლიტერატურული ტექსტის პარალელურად, რუსთაველის პოემა საკუთარი ნამუშევრებით უამბო. ამჯერად კი, დამთვალიერებელს საშუალება მიეცა მამია მალაზონიას „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი სურათები ილუსტრაციების სახით კი არა, ორიგინალში ენახა. „ვეფხისტყაოსნის“ სერიიდან შერჩეულმა ერთმა, დიდი ფორმატის გრაფიკამ დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა.

თუმცა, საზოგადოება სხვა ავტორთა ნამუშევრებმაც დააინტერესა. უფროსი თაობის გვერდით, გალერეაში გამოიფინა გია ბუღაძის ნამუშევარი, სერიიდან - „ხელები“, შალვა მატუაშვილის „ზურგი“, გოგი წერეთელის „კომპოზიცია“, ია გიგოშვილის „მოგზაური“, ალექსანდრე ბერდიშევის „N30“, ნინო ზაალიშვილის „სადღაც იტალიაში“ და სხვა.

ახალგაზრდა გრაფიკოსთა რიგები კი, იმ მხატვრებმა შეავსეს, რომელთა უმეტესობაც გოგი წერეთელის მოწაფეები არიან, ესენია: გიორგი ვეფხვაძე, ნინო ინჯია, თამთა გიორგაძე, ქრისტინე კოპალიანი და სხვები.

გამოფენაზე შეხვდებით ლითოგრაფიებს, ოფორტებს, პასტელში, ფანქარსა და შერეულ ტექნიკაში შესრულებულ ნამუშევრებს.

სამომავლოდ, გვპირდებიან, რომ თანამედროვე სახვითი ხელოვნების ციკლი გაგრძელდება, გრაფიკას ქანდაკება ჩაენაცვლება, სულ ბოლოს კი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებსაც გამოფენენ. ექსპოზიციათა ორგანიზატორები მთელი ციკლის ამსახველი კატალოგის გამოცემასაც გეგმავენ.

და მიუხედავად იმისა, რომ ახლადგახსნილ გალერეას გუშინ დამთვალიერებელი არ აკლდა, მხატვართა კავშირის წარმომადგენლების ყურადღება მაინც ეროვნული გალერეის ამოქმედებისკენაა მიმართული, რომელიც, ერთ დროს, მხატვრის სახლთან ერთად, მხატვართა ამ გაერთიანების მთავარ ბაზას წარმოადგენდა.

# მოგზაურობა აფრიკაში

### მადაგასკარიდან ნიუ იორკში მიმავალი მგზავრები აფრიკის ნაკრძალში აღმოჩნდნენ

ლომი ალექსი, ზებრა მარტი, ჟირაფი მელმანი და ჰიპოპოტამი გლორია განუყრელი მეგობრები არიან. ოდესღაც ისინი დიდი ქალაქის თანამედროვე ზოოპარკში ცხოვრობდნენ, მაგრამ ბუნებამ თავისკენ მოიხმო, ვოლიერებიდან გაიპარნენ და მადაგასკარისკენ გაეშურნენ. მათი პირველი თავგადასავალი უკვე ვნახეთ 2005 წელს გამოსულ „მადაგასკარში“, ახლა კი ახალი მოგზაურობისთვის უნდა მოვემზადოთ - თბილისის კინოთეატრებში „მადაგასკარი: გაქცევა აფრიკაში“ გამოდის.



თუ ამ კინოთეატრში ერთხელ მაინც ყოფილხართ, აუცილებლად შეამჩნევდით სუვენირებისა და სათამაშოების პატარა მაღაზიას, სადაც შრეკის, ბეტმენისა და სხვა კინოპერსონაჟების ნიღბებიც იყიდებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს ჯადოსნური მაღაზიაა, მის უკან საიდუმლო კარი ყოფილა, რომელსაც პატარები ნამდვილ მოგზაურობაში მიჰყავს. გუშინ ეს კარი ფართოდ გაიღო და ბავშვთა გასართობი ცენტრისკენ - „მადაგასკარისკენ“ მიმავალი კიბე გამოჩნდა.

წარმოიდგინეთ სიტუაცია: მიდიხართ კინოში და შემთხვევით აღმოაჩენთ, რომ ამ ფილმზე ბავშვს ვერ შეიყვანთ, ან თავად არ სურს ორი საათის განმავლობაში ჩაბნელებულ დარბაზში იჯდეს და მხოლოდ პოპკორნის კნატუნით გაერთოს. ამ დროს „მადაგასკარი“ საუკეთესო გამოსავლად შეიძლება იქცეს. ბავშვს უზარმაზარი ატრაქციონებით სავსე ცენტრში ტოვებთ, თავად კი ფილმის სანახავად შედიხართ. რაც შეეხება თავად ცენტრს, „მადაგასკარის“ ნახვის შემდეგ ნამდვილად მიხვდებით, რატომ იყო არა მხოლოდ რევოლუციამდელი, არამედ პოსტსაბჭოთა პერიოდადმდელი ბავშვიც ნაკლებად განვითარებული...

რაც შეეხება თავად ფილმს, მისი ნახვა უკევ შეგიძლიათ არა მხოლოდ „რუსთაველში“, არამედ „ამირანშიც“. ამ კინოთეატრების დიდ ეკრანზე გამოჩენილი პერსონაჟები კი წინა სერიაში დაწყებულ მოგზაურობას აგრძელებენ და მადაგასკარიდან კვლავ ნიუ იორკში დაბრუნებას გადაწყვეტენ. მათ კვლავ გიჟმაჟი პინგვინები შეუამხანაგდებიან და თვითმფრინავით მგზავრობას შესთავაზებენ. ცხადია პინგვინების მიერ მართული მფრინავი ობიექტი ნიუ იორკამდე ჩასვლას ვერ ახერხებს და ჩვენი გმირები ავარიული დაშვების შედეგად აფრიკის კონტინენტზე აღმოჩნდებიან. ალექსი და კომპანია ამის გამო ძალიან შეშფოთდებიან, მაგრამ იმდენად ჩურჩუტები არიან, რომ ვერც კი ხვდებიან, რომ რეალურად შინ არიან. ხოლო ყველაზე საინტერესო მაშინ იწყება, როდესაც მეგობრები ნაკრძალში მცხოვრებ ალექსის მშობლებს იპოვნიან. ეს შეხვედრა ბევრს წყვეტს, ცხოველები ნაკრძალში დარჩენას გადაწყვეტენ და ველური ინსტინქტების გამომუშავებას სწავლობენ - ისინი ხომ მთელი ცხოვრება ზოოპარკის მომვლელებისგან იყვნენ განებივრებული.

ახალი ნაწილი ისეთივე ჭრელი, ეგზოტიკური და სანახაობრივია, როგორიც პირველი „მადაგასკარი“ იყო. სხვა მხრივ, DreamWorks Animation-ის ნამუშევარი როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო. ფილმის რეჟისორები ტომ მაკგრატი და ერიკ დარნელი არიან (მათივე გადაღებულია პირველი „მადაგასკარი“ და „ჭიანჭველების ისტორია“). როგორც რეჟისორებმა აღნიშნეს, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ფილმი მხოლოდ პატარებისთვის არ ყოფილიყო საინტერესო, ამიტომ მასში უფროსი თაობის მაყურებლისთვის განკუთვნილ მომენტებსაც შეხვდებით.

ფილმის პერსონაჟებს კი ჰოლივუდის ვარსკვლავები ახმოვანებენ: ბენ სტილერი, კრის როკი, დევიდ შვიმერი, ჯადა პინკეტ სმიტი, საშა ბარონ კოენი, ალეკ ბოლდუინი და სხვები. ცხადია, „მადაგასკარი“ ჩვენს კინოთეატრებში ქართული გახმოვანებით გამოდის, ამ შემთხვევაში კი ჰოლივუდის ხმაურიან სახელებს ქართველი მსახიობები ანაცვლებენ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების საველე საქონელზე შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, <u>მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო** სატენდერო მოსაკრებელი</u> და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი ცხრა აპრილის ქ. №4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | ოდენობა | მიწოდების ვადები | იწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| №1 | ხის მასალა (ფიცარი) 20სმX4სმ წიწოვანი მშრალი. | კუბ.მ | 20 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღეში | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 ქგორი |
| №2 | ხის მასალა (ფიცარი) 20სმX3სმ წიწოვანი მშრალი. | კუბ.მ | 30 | | |
| №3 | ხის მასალა (კოჭი) 10სმX12სმ წიწოვანი მშრალი. | მეტრი | 300 | | |
| №4 | ხის მასალა (რეიკა) 5სმX5სმ წიწოვანი მშრალი. | მეტრი | 2000 | | |
| №5 | ფანერა – (150სმX150სმ)-10მმ | ცალი | 100 | | |
| №6 | განძელი (შპალერი)გაუჟღინთავი (275-300)X (20-25)X(16X18) ფიჭვი ან ნაძვი | ცალი | 500 | | |
| №7 | თუნუქის მოთუთიებული ფურცელი-გოფრირებული. | ცალი | 130 | | |

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 28 თებერვლიდან იმავე წლის 19 მარტის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **19 მარტის** 11.00 საათიდან 13.30 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 **იურიდული პირებისათვის:**

ა) ცნობა – საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა – ცნობა – საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა – სასამართლოდან, რომ იურიდული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

4.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა – საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა – საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **<u>ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.</u>**

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა გოგილავა ტელ. 41-21-48, 899- 21-49-59. ლეონ ნაზარიანი 877 26-90-03.

**სატენდერო კომისია**

______________________

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აქვეყნებს 2009 წელს გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაციას

| № | ტენდერის დასახელება | ლოტი | გამარჯვებული კომპანია |
|---|---|---|---|
| 1 | მომსახურების სააგენტოს მიერ ავტოდრომების მოწყობის სამშენებლო სამუშაოები | 1 | შპს "ნალი და კომპანია" |
| | | 2 | შპს "ან-მა-ნი" |
| | | 3 | დასრულდა უარყოფითი შედეგით |
| 2 | საავტომობილო საწვავი | 1 | შპს "რომპეტროლ საქართველო" |
| | | 2 | შპს "რომპეტროლ საქართველო" |

პარტნიორთა კრების 2008 წლის 29 ნოემბრის დადგენილების (ოქმი №3) საფუძველზე, ვაცხადებთ, რომ □მეწარმეთა შესახებ□საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად დაწყებულია შპს □პირიმზეს□ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ფალიაშვილისა და კოლუმბია მისურის ქ. №35/1 (ყოფილი ფალიაშვილის ქ.№35).

ტელეფონი: 8 231 4-47-85, მობ. 899 980-713.

შპს □პირიმზეს□ლიკვიდატორი:

შოთა თვარაძე

## ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში

2009 წლის 27 თებერვალს შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის და ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს: ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების (საბურავების) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად**

## ცვლილება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 26 თებერვლის სატენდერო განცხადებაში **(კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვაზე)**, შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ:

1. **მეორე პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**2.** სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 18 მარტის 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N32, მეორე სართული, საერთოო სასამართლოების დეპარტამენტი**.

*საქონლის მიწოდების ვადა - ლოტი N1 ; N2 ; N3 ; N4 ; N5 ; N6 ; - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე;*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის მცენარეების შეძენის თანმდევი მომსახურებით (დარგვა) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.** შესყიდვის ობიექტია სხვადასხვა სახის მცენარეების მიწოდება და ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემსყიდველის მიერ მითითებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე მათი დარგვა.

*შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ორ ეტაპად, მიწოდების სავალდებულო ვადაა:
**I** ეტაპი - 2009 წლის 15 აპრილიდან 30 მაისამდე (ეტაპობრივად);
**II** ეტაპი - 2009 წლის 30 მაისიდან 30 ივნისამდე (ეტაპობრივად);

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 28 თებერვლიდან იმავე წლის 23 მარტის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სხვადასხვა სახის მცენარეების შეძენის თანმდევი მომსახურებით (დარგვა) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 მარტის 11:00 საათიდან 14:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში ოფიციალური სტუმრებისა და დელეგაციების ვიზიტებთან დაკავშირებით საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად:
**ლოტი I** - ქ. თბილისში ოფიციალური სტუმრებისა და დელეგაციების ვიზიტებთან დაკავშირებით საჭირო სასტუმროებით მომსახურება (სასტუმროები უნდა მდებარეობდეს ქ. თბილისში, თავისუფლების მოედნიდან არანაკლებ 4 კმ. რადიუსის მანძილზე);
**ლოტი II** - ქ. თბილისში ოფიციალური სტუმრებისა და დელეგაციების ვიზიტებთან დაკავშირებით საჭირო რესტორნებით მომსახურება;

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 28 თებერვლიდან იმავე წლის 23 მარტის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში ოფიციალური სტუმრებისა და დელეგაციების ვიზიტებთან დაკავშირებით საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 მარტის 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**
**6.1 იურიდიული პირებისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## უნდა მოვიგოთ!

ასეთი განწყობით ჩავიდა მადრიდში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, რომელიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ ერთა თასის გათამაშებაში ბადალი არ ჰყავს. ტიმ ლეინის გუნდმა ესპანეთთან შეხვედრისთვის შეკრება საფრანგეთში გაიარა და მადრიდში ჩავიდა, სადაც დღეს, "სიუდად უნივერსიტარიოს" არენაზე, ესპანელთა დამარცხებას შეეცდება. წინა მატჩისგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, შერკინების მეორე ხაზში რატი ურუშაძის ნაცვლად ლევან დათუნაშვილი გამოჩნდა. თედო ზიბზიბაძე ირაკლი გიორგაძემ შეცვალა, ხოლო მერაბ კვირიკაშვილს კი, რომელიც დუბაის შვიდკაცაზე იასპარეზებს, ოთარ ბარკალაია ჩაენაცვლა.



*გოდერძი შველიძე ესპანეთშიც ქართველთა ბურჯი იქნება*

ტიმ ლეინი ცდილობს ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყაროს თავი, რომელსაც მსოფლიო თასისთვის მოამზადებს. მას პირველად აქვს ფუფუნება საუკეთესო ქართველი მორაგბეები ჰყავდეს განკარგულებაში და პრაქტიკულად შესარჩევ ტურნირში ეცნობა მათ შესაძლებლობებს. სწორედ ეს განაპირობებს იმ ცვლილებებს, რომლებიც ავსტრალიელმა მწვრთნელმა "ბორჯღალოსანთა" ძირითად შემადგენლობაში განახორციელა.

ესპანელთა ინგლისელმა მწვრთნელმა ჯედ გლინმა კარგად იცის ქართველი მორაგბეების შერკინების ძალა. მან უკვე ორჯერ იწვნია ის საკუთარ თავზე, ამიტომ მისი გუნდი შეეცდება სწრაფი, გაშლილი რაგბი ითამაშოს, მაქსიმალურად გამოიყენოს ხაზი და ფლანგური გარღვევებით გავიდეს ფონს. გლინი არ მალავს, რომ შეეცდება მცირე შანსიც კი არ გაუშვას ხელიდან. მოკლედ, ესპანელები მაქსიმალურად გამოიყენებენ საჯარიმო დარტყმებს და ქართველთა ძლიერი შერკინების ჩაქცევას შეეცდებიან, რაც, IRB-ის ახალი წესების თანახმად, ჯარიმით აღარ ისჯება.

ტიმ ლეინის გუნდი კი ტრადიციულად ლელოებზე გადაიტანს აქცენტს და თამაში უაღრესად დაძაბული გამოვა, რადგან პორტუგალიური გაკვეთილი ავსტრალიელს კარნახობს, რომ ლელოზე თამაშისთვის მარტო მიძალება საკმარისი აღარ არის. თუ ესპანეთმა, "ლობუშის" მსგავსად, წარმატებით მოახერხა ქართველთა შერკინების ჩაქცევა, მაშინ ტიმ ლეინს გამარჯვების მისაღწევად ახალი სიურპრიზის მოფიქრება მოუწევს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ წაფორხილების უფლება აღარ გვაქვს. მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**გაგაცნობთ გუნდების სასტარტო შემადგენლობებს:**

**საქართველო:** 1. დავით ხინჩაგაშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე, 9. ირაკლი აბუსერიძე (კ), 10. ლაშა მალაღურაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. ირაკლი გიორგაძე, 13. დავით კაჭარავა, 14. ირაკლი მაჩხანელი, 15. ოთარ ბარკალაია.

**მარქაფა:** 16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. რატი ურუშაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ალექსანდრე თოდუა.

**მთავარი მწვრთნელი:** ტიმ ლეინი

**ესპანეთი:** 1. იონ ინსაუსტი ("მადრიდი"), 2. ხოსე მარია ბოჰორკეზი ("კახასოლი"), 3. ხავიერ სალაზარი ("მადრიდი"), 4. ლეანდრო ფერნანდეს არამბური ("კახასოლი"), 5. სერხიო სოუტუ ("ელ სალვადორი"), 6. დავიდ ჰერნანდეზი ("გეტხო"), 7. ხუან გონსალესი ("მადრიდი"), 8. სესარ ბერნასკონი ("მადრიდი"), 9. პაბლო ფეიხოო ("მადრიდი"), 10. ერემიას პალუმბო ("გეტხო"), 11. დავიდ მოტა ("მადრიდი"), 12. ხაიმე ნავა ("ელ სალვადორი"), 13. ხავიერ კანოსა ("მადრიდი"), 14. ხუან კანო ("მადრიდი"), 15. სესარ სემპერე ("მადრიდი").

**მთავარი მწვრთნელი:** ჯედ გლინი

## რამაზ მუმლაძე: "ყველა გუნდი ბოლომდე იბრძვის"

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ეკვატორს გადასცილდა. მეორე წრე სრულდება და სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი თბილისის "ვიტ ჯორჯიას" აქვს. ეს გუნდი უახლოეს მდევარს, თბილისის "დინამოს", სამი ქულით უსწრებს, რაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო უპირატესობაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ვეტერინარები წელსაც მათთვის დამახასიათებელი სტაბილურობით გამოირჩევიან, თუნდაც ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა ძნელი იქნება. "ვიტ ჯორჯიას" მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი მარცხი აქვს - ისიც ჩემპიონატის სტარტზე. მას შემდეგ გუნდი მხოლოდ დადებითი შედეგებით, ძირითადად გამარჯვებით ამთავრებს ყოველ მატჩს. წარმატებული სერიის მთავარი შემოქმედია გუნდის მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძე, ბოლო წლების განმავლობაში "ვიტ ჯორჯიას" უცვლელი მესაჭე. გასულ სეზონში ის წლის საუკეთესო მწვრთნელადაც აღიარეს. გთავაზობთ ინტერვიუს რამაზ მუმლაძესთან, რომელიც საქველმოქმედო ფონდ "არველაძის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**- რას იტყვით მიმდინარე ჩემპიონატზე, რით განსხვავდება ის უწინდელებისგან?**

- ახლანდელი ჩემპიონატი წინამორბედებთან შედარებით უფრო დაძაბულია. ყველა გუნდი ბოლომდე იბრძვის, ხელი არავის ჩაუქნევია და ალბათ ასე იქნება ბოლო ტურამდე. დანარჩენს 2008-09 წლების ჩემპიონატზე მერე გეტყვით, როცა ის დასრულება.

**- "ვიტ ჯორჯია" პირველ ადგილზეა. რითია ეს განპირობებული?**

- ურიგო არ იქნება, თუ ამაზე სხვებიც ისაუბრებენ. საინტერესოა სხვების აზრი ამ საკითხზე. ვფიქრობ, "ვიტ ჯორჯია" პირველ რიგში სტაბილურობით, მომზადების დონით და გუნდური თამაშით გამოირჩევა.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში თქვენი უმთავრესი კონკურენტია თბილისის "დინამო". მას ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა - გიორგი მერებაშვილი. როგორ ფიქრობთ, მაღალი მიზნისთვის მებრძოლი გუნდისთვის ასეთი ფეხბურთელი აუცილებელია?**

- ასეთი ფეხბურთელი მართლაც აუცილებელია და ვისურვებდი, რომ მერებაშვილმა ჩვენს გუნდში ითამაშოს. თუმცა ჩვენც გვყავს კარგი შემსრულებლები შეტევაში - ჯაბა ლიპარტია და ვახტანგ კვარაცხელია.

**- საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი უცხოეთში უნდა წავიდეს, სხვანაირად მისი წინსვლა გამორიცხულია. არის განსხვავებული აზრიც - ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა მიაღწიოს ბევრს და მერე წავიდეს უცხოეთში. თქვენ რომელ შეხედულებას ემხრობით?**

- სანამ საქართველოში არ გვექნება კარგი პირობები, კარგი მოედნები და კარგი სისტემა, ჯობია, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი უცხოეთში წავიდეს. რაც უფრო მეტი ასეთი ფეხბურთელი მოხვდება კარგ ევროპულ გუნდში, მით უკეთესი. "ფონდი არველაძე" კარგ საქმე აკეთებს, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს ევროპისკენ რომ უკაფავს გზას.

**- არიან ასეთი ფეხბურთელები "ვიტ ჯორჯიაში"? ყურადღებას იქცევს თქვენი გუნდის თავდამსხმელი ბექა ზაქრაძე□**

- ზაქრაძე 19 წლისაა და მართლაც საინტერესო ფორვარდია. ცოტა ხანში ის უკეთესად ათამაშდება. "ვიტ ჯორჯიაში" კიდევ გვყავს საინტერესო ახალგაზრდა - ასევე თავდამსხმელი მიხეილ როსტიაშვილი.

### 1 მარტს კუს ტბის აღმართზე

1 მარტს კუს ტბაზე საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ავტოსპორტში "რომპეტროლის სეზონი 2009". კალენდარული ცხრილით გათვალისწინებული შეჯიბრება აღმართის დაძლევაში ზუსტად 12 საათზე აიღებს სტარტს. წლევანდელი სეზონი ბევრი სიახლით იწყება. რაც მთავარია, "GT" და "იუნიორ" კლასთან ერთად სტარტზე დადგება ახალი - "მონო კლასი". ამ კლასში ასპარეზობენ ლიცენზირებული სპორტსმენები და 1500-კუბატურიანი ძრავებით აღჭურვილი ავტომობილები. 1 მარტს სტარტზე დადგება ოცი მრბოლელი. ისინი თქვენს გულშემატკივრობას ელიან. "დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს გენერალურ სპონსორს "რომპეტროლს" და ავტოსპორტის გულშემატკივრებს, რომლებიც ერთგულად გვედგნენ მხარში მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში. სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ ავტოსპორტი ყოველდღიურად ვითარდება და უფრო დაძაბულ შეჯიბრებებს გთავაზობთ. ამის შედეგია, რომ 2009 წლის სეზონი გაცილებით საინტერესო და ადრენალინით სავსე იქნება ნებისმიერი მაყურებლისთვის." ქართველი მრბოლელები და შეჯიბრების ორგანიზატორები უამრავ სიურპრიზსა და დაუვიწყარ სანახაობას გპირდებიან, - განაცხადა საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა შალვა ოგბაიძემ.

### ტოპალოვი ანანდის წინააღმდეგ

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩში ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა ამერიკელ გატა კამსკის კიდევ ერთი პარტია მოუგო და ვადაზე ადრე გამოცხადდა შეხვედრის გამარჯვებულად. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე დაპირისპირების მე-7 პარტიაში ტოპალოვმა თეთრი ფიგურებით 45-ე სვლაზე გაიმარჯვა და 4.5:2.5 დაწინაურდა, რითაც მეტოქისთვის მიუწვდომელი გახდა. ამგვარად, ტოპალოვმა მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენ მატჩში ინდოელ ვიშვანათჰან ანანდთან თამაშის უფლება მოიპოვა.

### კონტინენტის პირველობას სკანდინავიაშიც ელიან

შვედეთმა და ნორვეგიამ ევროპის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს. "ჩვენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გვაქვს და მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვის ადრეც არაერთხელ გვიმასპინძლია", - განაცხადა შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლარს-ოკე ლაგრელმა. 2016 წლის ევროპის პირველობის მასპინძლობის სურვილი უკვე გამოთქვეს საფრანგეთმა, თურქეთმა, საბერძნეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა და იტალიამ. 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა 2010 წლის მაისში გაირკვევა.

### კამორანეზი დაშავდა

ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველი მაურო კამორანეზი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ლონდონის "ჩელსისთან" განმეორებით შეხვედრას გამოტოვებს. არგენტინული წარმოშობის იტალიელმა ფეხბურთელმა "ჩელსისთან" პირველი შეხვედრის 51-ე წუთზე მიიღო ტრავმა და მოედნის დატოვება მოუხდა. კამორანეზი სამკვირიანი უქმობის შემდეგ მოედანზე სულ ახალი დაბრუნებული გახლდათ, ახალმა გამოკვლევამ კი მას ნეკნის მოტეხილობა დაუდგინა.

### ტორესი ისვენებს

ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "ლივერპულის" თავდამსხმელმა ფერნანდო ტორესმა ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის "რეალთან" გამართულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და გუნდს გაურკვეველი ვადით გამოაკლდა. კლუბში ჯერ არ იციან, რამდენად სერიოზულია ესპანელის ტრავმა, თუმცა, ცნობილია, რომ ტორესი საკუთარ გუნდს ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში "მიდლსბროსთან" ვერ დაეხმარება. "ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. შესაძლოა, მან რამდენიმე თამაში გამოტოვოს. მომდევნო შეხვედრა სამ დღეში გველის და იქ ტორესი ნამდვილად ვერ დაგვეხმარება", - განაცხადა "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

### ვორონინს სიცხადე უნდა

29 წლის უკრაინელ თავდამსხმელს ანდრეი ვორონინს იმის გარკვევა სურს, თუ სად ითამაშებს მომავალ სეზონში - "ლივერპულში", რომელთანაც კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, თუ ისევ ბერლინის "ჰერტაში", სადაც სეზონის ბოლომდეა გაქირავებული?

"მე მესმის "ჰერტას" მდგომარეობა და არ მინდა მასზე ზეწოლა გამომივიდეს, მაგრამ სიცხადე მჭირდება", - აღნიშნა მან გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

ვორონინის პრობლემა შემდეგში მდგომარეობს:

თავად მას ბერლინში სურს დარჩენა და ეს "ჰერტასაც" ძალიან უნდა, მაგრამ "ლივერპული" მის სანაცვლოდ 4-დან 5 მილიონ ევრომდე ითხოვს, რასაც მისი მაღალი (4 მილიონამდე) ხელფასიც ემატება. ბერლინურ კლუბს ასეთი ხარჯების გაწევა არ შეუძლია და მერსისაიდელებს მისთვის უკრაინელი მეგოლის კიდევ ერთი წლით მიქირავებას სთხოვს, რასაც ისინი არ თანხმდებიან.

"ჰერტა", რომელიც ახლა გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზეა, იმედოვნებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას შეძლებს, რაც მას ფინანსურად მოძლიერებაში დაეხმარება. მაგრამ ვორონინი სეზონის ბოლომდე ვერ იცდის:

"მე არ ვამბობ, რომ საბოლოო პასუხი ხვალვე და ერთ კვირაში უნდა გამცენ, მაგრამ მინდა შეძლებისდაგვარად მალე ვიცოდე, თუ სად ვითამაშებ მომავალ სეზონში. არადა, გერმანიაში 14 წლიდან ვცხოვრობ. ჩემი ცოლი აქ თავს შესანიშნავად გრძნობს. ბერლინი მეც ძალიან შემიყვარდა."

## პანუჩიმ მოიბოდიშა

იტალიური "რომას" მცველი კრისტიან პანუჩი გუნდის მთავარ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის შეურიგდა და შესაძლოა მილანის "ინტერის" წინააღმდეგ ითამაშოს.

პანუჩისა და სპალეტის კონფლიქტი მოუვიდათ მიმდინარე წლის 25 იანვარს, როდესაც ფეხბურთელმა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა იუარა. მაშინ ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელობას გასხვისება მოსთხოვა, თუმცა, ეს იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში ვერ მოხერხდა. ახლა პანუჩიმ ბოდიში მოიხადა და სპალეტის მილანში წაყვანა სთხოვა.

"რომას" დაცვის ხაზში გარკვეული პრობლემები შეექმნა, რადგან ჟუანი და სისინიო ტრავმირებული არიან. ასე რომ, პანუჩის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი გაუჩნდა.

## კალუს "არსენალში" სურს გადასვლა

ინგლისის "ჩელსის" თავდამსხმელ სალომონ კალუს მეორე ლონდონური გუნდის - "არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით თამაში უნდა.

კალუს გუნდის გამოცვლა მას შემდეგ მოუნდა, რაც მიმდინარე სეზონში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

"ის, რომ ვენგერი ჩემით დაინტერესდა, დიდი პატივია. არსენი უდიდესი მწვრთნელია და მისი ხელმძღვანელობით თამაშს ყველა ფეხბურთელი ნატრობს. "ჩელსისთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, თუმცა, "არსენალში" ჩემი მეგობრები თამაშობენ და ამ გუნდში დიდი სიამოვნებით გადავიდოდი. როგორც კი მიმდინარე სეზონი დასრულდება, საკუთარ მომავალზე დავფიქრდები", - თქვა კალუმ.

## ნედვედი კარიერას ამთავრებს

ჩეხეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პაველ ნედვედი, რომელიც ტურინის "იუვენტუსში" გამოდის, სეზონის დასრულების შემდეგ კარიერის დამთავრებას აპირებს.

"ფეხბურთიდან წასვლაზე დიდხანს ვფიქრობდი. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თავს როგორ ვიგრძნობდი. თუმცა, საქმეში ჩემი შინაგანი მდგომარეობაც ჩაერია. ამის შესახებ მეუღლესაც ვესაუბრე და გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ. ჩემი ცოლიც გადაიღალა მინდა ოჯახის წევრებს ვალი დავუბრუნო. ვალდებული ვარ, მათთან უფრო მეტი დრო გავატარო. მომწონს ის, რაც ახლა ჩემს გარშემო ხდება, მაგრამ მეჩვენება, რომ დადგა მომენტი, როდესაც გზა უნდა გავუთავისუფლო ახალგაზრდებს, რადგან ისინი იმსახურებენ, მოედანზე უფრო მეტი დრო გაატარონ. არა მგონია, წასვლა გადავიფიქრო, რადგან ეს საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება. მინდა კარიერა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით დავამთავრო", - განაცხადა ნედვედმა.

## სისოკო ტურინში ბედნიერია

მალის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და იტალიური "იუვენტუსის" ნახევარმცველი მოჰამედ სისოკო ტურინში თავს კარგად გრძნობს და არაფრის შეცვლას არ აპირებს.

"ინგლისთან დაკავშირებით დიდებული მოგონებები დამრჩა, თუმცა, ახლა "იუვენტუსის" მოთამაშე ვარ, ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვთამაშობ და თავსაც კარგად ვგრძნობ. ტურინში ჩემი ოჯახიც კარგადაა და არაფრის შეცვლას არ ვაპირებ", - თქვა სისოკომ, რომელიც "იუვენტუსში" 2008 წლის იანვარში ინგლისის "ლივერპულიდან" გადავიდა.

## "ენერგიმ" შკელას კონტრაქტი გაუხანგრძლივა

კოტბუსის "ენერგიმ" 32 წლს ალბანელ ნახევარმცველს ერვინ შკელას 2011 წლის ივნისამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი, რომელსაც მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე უნდა გასვლოდა ვადა.

"ყოველთვის ვამბობდი, რომ აქ თავს კარგად ვგრძნობ. ახლა ჩემი მომავალი გარკვეულია და მე შემიძლია მთლიანად ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლაზე ვიყო კონცენტრირებული", - აღნიშნა შკელამ, რომელიც "ენერგის" 2007 წლის იანვარში შეუერთდა.

ამ ხნის განმავლობაში მან 61 ბუნდესლიგურ მატჩში დაიცვა კოტბუსელთა ღირსება და 8 გოლი გაიტანა.

## მილიტომ ვარჯიში დაიწყო

ესპანური "ბარსელონას" არგენტინელი მცველი გაბი მილიტო, ტრავმით გამოწვეული 9-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. ვარაუდობენ, რომ მილიტო ორ-სამ კვირაში შეძლებს თამაშს. არგენტინელი ფეხბურთელი გასული ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ თამაშისას დაშავდა. მას მარჯვენა მუხლის უმძიმესი ტრავმა ჰქონდა. 28 წლის არგენტინელი "ბარსელონაში" 2007 წელს "სარაგოსადან" გადავიდა და კატალონიური კლუბის რიგებში ჩატარებულ 27 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა.

## ფაბრეგასი ჩემპიონობაზე ფიქრს უაზრობად თვლის

ლონდონის "არსენალის" კაპიტანმა სესკ ფაბრეგასმა, რომელიც გუნდს ტრავმის გამო ვერ ეხმარება, განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში "მეთოფეები" ინგლისის პრემიერლიგაში გამარჯვებას ვერ შეძლებენ.

"დღეს ჩემპიონობის მოპოვებაზე საუბარი უაზრობაა. კარგად უთქვამთ: "არასოდეს არ თქვა "არასოდეს". მაგრამ პირველი ადგილის დაკავების ამბიციის ქონა სისულელეა. ახლა თითოეულ მატჩზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია და საჭიროა მხოლოდ უახლოეს მეტოქეებზე ვიფიქროთ. დარწმუნებული ვარ, "ასტონ ვილა" კიდევ წაიფორხილებს, რაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ", - განაცხადა ფაბრეგასმა, რომლის "არსენალს" სატურნირო ცხრილში 45 ქულით მე-5 ადგილი უკავია და ლიდერ "მანჩესტერს" 17 ქულით ჩამორჩება, მეოთხე ადგილზე მყოფ "ასტონ ვილას" კი - 6-ით.

# ატენის ხეობაში ექსტრემალები ხმაურობენ

*დღეს უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან წრიაპებით, ჩაფხუტებითა და წერაყინებით შეიარაღებული ადრენალინის მოყვარულები ატენის ხეობაში გაყინული ჩანჩქერის "დასაპყრობად" გაემგზავრნენ.*

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ეგიდით ყინულზე ცოცვაში საქართველოს პირველობა ტარდება გორის მახლობლად, ატენის ხეობაში. ასპარეზობაში მონაწილეობს 30-მდე ვაჟი და ათამდე ქალი. გაყინული ჩანჩქერის სიმაღლე 50 მეტრია. ამდენივეა დასაძლევი მანძილიც. ყინულზე საგანგებო კონსტრუქციების დამონტაჟებით საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ ტრასა გაართულა - მონაწილეებს ზიგზაგისებურად მოუწევთ მარშრუტის გავლა. ჩემპიონი გახდება ის, ვინც დისტანციას ყველაზე სწრაფად დაძლევს. ტურნირს აქვს საპრიზო ფონდიც, რომელიც საუკეთესო სამეულზე გადანაწილდება. გამარჯვებულისთვის 500 ლარია დაწესებული. ყინულზე ცოცვაში საქართველოს პირველობა წლეულს მეხუთედ ტარდება და ეძღვნება 1961 წელს ტიან-შანში, მწვერვალ "პობედაზე" (7439 მ.) დაღუპულ ქართველ მთამსვლელთა ხსოვნას. ყოველწლიურ ტურნირში მონაწილეობას იღებენ საქართველოს წამყვანი სპორტსმენები.

# კამერუნელმა "ბარსას" ერთგულება შეჰფიცა


ეტო`ო "რეალში" არ დაბრუნდება

სამუელ ეტო`ოს ტრანსფერზე საუბარი გასულ ზაფხულს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ზაფხულში კამერუნელი ფეხბურთელი, ცოტა არ იყოს, საჩოთირო ვითარებაში აღმოჩნდა. "ბარსას" მესვეურებს მისი გაყიდვა სურდათ, თუმცა საბოლოოდ ეტო`ო კატალონიურ გრანდში დარჩა და ამით, პირველ ყოვლისა, სწორედ კლუბმა მოიგო.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ეტო`ო "ბარსელონაში" 2010 წლამდე უნდა დარჩეს. იმის გამო, რომ კამერუნელთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული, ბუნებრივია, ესპანური და ევროპული მედია მის ტრანსფერზე ხშირად საუბრობს. ისიც კი ითქვა, რომ შესაძლოა ეტო`ო "რეალში" აღმოჩნდეს.

ვითარებაში სიცხადე თავად ეტო`ომ შეიტანა. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მან ისაუბრა საკუთარ გეგმებზე და ამავე დროს "ბარსელონას" ერთგულება შეჰფიცა.

"უკვე ხუთი წელია "ბარსელონაში" ვარ და გასული ზაფხული ჩემთვის ნამდვილი კოშმარი იყო. მე პატივს ვცემ კლუბის გადაწყვეტილებებს და სრული გაგებით მოვეკიდე იმ ფაქტს, რომ "ბარსას" ჩემი გაყიდვა სურდა, მაგრამ უნდა გამიგოთ. მე არსად არ მინდოდა წასვლა. მინდოდა კლუბში დავრჩენილიყავი და გუნდის წამყვანი ფეხბურთელი ვყოფილიყავი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, - ამბობს ეტო`ო და აგრძელებს, - კონტრაქტით აქ 2010 წლამდე უნდა დავრჩე. იმედი მაქვს, კონტრაქტს ბოლომდე გამოვიმუშავებ. მეტიც, მინდა "ბარსასთან" ახალი, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმო. მინდა ამ კლუბში დავრჩე მანამ, სანამ "ბარსას" დავჭირდები".

ეტო`ო იმ ჭორებსაც შეეხო, რომლის თანახმად იგი შესაძლოა "რეალში" აღმოჩნდეს.

"ჩემი ცხოვრების ის ეტაპი, რომელიც "რეალს" უკავშირდებოდა, დასრულებულია. მადლობას ვუხდი "სამეფო კლუბს" იმისთვის, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გააკეთა. ბარსელონაში ბედნიერი ვარ. თუ დადგება დღე, როდესაც კატალონიური კლუბის დატოვება მომიწევს, მერწმუნეთ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" არ დავბრუნდები. მე "ბარსას" გულშემატკივარს პატივს ვცემ და მათ ასეთ ტკივილს ვერ მივაყენებ. მინდა ვთქვა, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ, - აცხადებს ეტო`ო, შემდეგ კი თავის ორ მეგობარზე საუბრობს, - იკერ კასილასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და, იმედია, არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ვიქტორ ვალდესია. რაული უნიკალურია. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნაკრებში დააბრუნონ. არ ვიცი, რა არის საჭირო იმისთვის, რომ რაულს ნაკრებში თამაშის საშუალება მისცენ".

# ბენიტესის ნაცვლად მოურინიო?


მოურინიოს "ლივერპულში" იწვევენ

მიუხედავად იმისა, რომ რაფა ბენიტესის ხელმძღვანელობით "ლივერპული" მაღალ დონეზე თამაშობს - მერსისაიდელებმა ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოიგეს და ერთხელ ფინალში გავიდნენ, წლეულს "ლივერპული" პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონთა ლიგისა და ინგლისის ჩემპიონობის მოგებაზე, შესაძლოა ესპანელმა სპეციალისტმა თანამდებობა დატოვოს.

ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ბენიტესმა საერთო ენა ვერ გამონახა კლუბის ამერიკელ მფლობელებთან. ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი, ერთი მხრივ, აცხადებენ, რომ ბენიტესის შენარჩუნება სურთ, მეორე მხრივ კი მწვრთნელთან კონტრაქტს მხოლოდ იმ პირობით გააფორმებენ, თუ ბენიტესი სატრანსფერო საქმეებში არ ჩაერევა. ეს კი აშკარად აბსურდული მოთხოვნაა. ბენიტესი კლუბის მესვეურებისგან ერთადერთ რამეს ითხოვს - ტრანსფერებზე გამოყოფილ თანხას ის საკუთარი შეხედულებისამებრ დახარჯავს. ერთხელ რაფამ თქვა კიდეც, თუ კლუბი 20 მილიონს მაძლევს ახალი ფეხბურთელების შესაძენად, ნება მომეცით, ეს ფული ისე დავხარჯო, როგორც საჭიროდ ჩავთვლი - მინდა 5 მილიონად ოთხ ფეხბურთელს ვიყიდი და, თუ საჭიროდ მიმაჩნია, ერთ 20-მილიონიანს შევიძენო.

მერსისაიდული კლუბის ამერიკელ მესვეურებს კი სწორედ ეს არ სურთ. მათი თქმით, კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა მათი საქმეა და არა მწვრთნელის. მართალია, მადრიდში მოგებული თამაშის შემდეგ თითქოს ბენიტესს საერთოდ არავინ უნდა შეეხოს და თავად ესპანელმაც თქვა, მინდა "ლივერპულში" დავრჩეო, მაგრამ ბრიტანულ მედიაში მაინც ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეზონის ბოლოს ბენიტესი კლუბს დატოვებს. ამის თქმის საშუალებას იძლევა ის, რომ ესპანელ სპეციალისტსა და მერსისაიდულ კლუბს შორის ახალი კონტრაქტი ჯერაც არ გაფორმებულა.

გუშინ ბრიტანულმა ტაბლოიდმა "სანმა" გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ ბენიტესის ნაცვლად "ლივერპულში" დაინიშნება ჟოზე მოურინიო, რომელიც სეზონის მიწურულს "ინტერს" დატოვებს. ჰიკსი და ჯილეტი მოურინიოს შეხვედრიან კიდეც. ამ ვითარებაში გაკვირვებას იწვევს ერთადერთი რამ: ნუთუ ამერიკელებს ჰგონიათ, რომ ჟოზე მოურინიო მათ პირობას დათანხმდება და კლუბის სატრანსფერო საქმიანობაში ცხვრის არ ჩაყოფს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისში, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 55 (ორმოცდათხუთმეტი) ლოტად:

**ლოტი 1.** - უზნაძის ქ. N2-ის წინ სანაპიროს მხრიდან, საზოგადოებრივ ურთიერთობათ ცენტრი (ყოფილიQქორწინების სახლი), გრიბოედოვის ძეგლთან, უზნაძის ქ. N4-ის წინ, ხეთაგუროვის ქ. N4-ის წინ, ხეთაგუროვის ქ. N6-ის წინ, ბარათაშვილის ხიდთან, აღმაშენებლის გამზ. N129 (რკინიგზელთა სახლი), მარჯანიშვილის მოედანი, ტაბიძის ხიდთან, ხეთაგუროვის ქუჩისა და სანაპიროს შორის, წმ.ნიკოლოზის ეკლესიის კუთხე, აღმაშენებლისა და ბაქოს ქუჩის კუთხე, ჩიქობავას ქ. N8-ის მიმდებარე ტერიტორია;

**ლოტი 2.** - წინამძღვრიშვილის და თამარ მეფის კუთხე, ხვამლის ქუჩა, თამარ მეფის გამზ., ცაბაძის ქ., სკვერი რიყის ტერიტორიაზე (ევროპის მოედნის ჩათვლით), მეტეხის გვერდით ფერდობი;

**ლოტი 3.** - საკრებულოს წინ, რუსთაველის გამზ. Kკოსტავას ქუჩამდე, თავისუფლების მოედანი (ძეგლის მიმდებარე გამწვანება), პუშკინის სკვერი, I საშ. სკოლის წინ, ოპერის მარჯვენა მხარე, ოპერის მარცხენა მხარე, 9 აპრილის სახელობის ბაღის ზედა და ქვედა ტერასები.;

**ლოტი 4.** - კოსტავას ქ. ( მ/ს"რუსთაველის" წინ პასაჟიდან გამოსასვლელი სივრცე), მელიქიშვილის გამზ. ნიკოლაძის ქ. ვერის ბაღის მიმდებარე, რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია, ჩაის სახლთან(შევჩენკოს ძეგლთან), დ. აბაშიძის სახელობის სკვერი;

**ლოტი 5.** - ცირკის მიმდებარე, ვარაზის ხევის ბოლო, ცირკის წინ, მემორიალი"საქართველოს ერთიანიბისათვის", თამარ მეფის გამზირი, გმირთა მოედანი, სახ. საკონცერტო დარბაზთან ფერდობები, გამყოფი ზოლი (გ/მ გამყოფი ზოლი);

**ლოტი 6.** - სკვერი ავლაბრის მოედანზე;

**ლოტი 7.** - გმირთა მოედნიდან ჰ. ალიევის სახ. სანაპიროს გადაკვეთაზე არსებული გამწვანებული ზოლი, მშრალი ხიდიდან ვირსალაძის ქუჩამდე (მ. აბაშიძის ძეგლთან), ელბაქიძის ხიდთან, ივერიის მიმდებარე, სასწრაფოს უკან, ბენზინგასამართი სადგურიდან ბოლომდე;

**ლოტი 8.** - ბარათაშვილის ხიდთან მარჯვნივ, სანაპიროს მხრიდან საპატრიარქოს კედლის გასწვრივ, ერეკლე II-ის მოედანი, ბარათაშვილის ხიდთან მარჯვნივ (ანჩისხატის მხარეს), ბარათაშვილის ხიდთან მარცხნივ, ნარიყალა;

**ლოტი 9.** - მშრალი ხიდის კორტებამდე, ბარათაშვილის ქ. შუა გამყოფი ზოლი, 300 არაგველთა სახ. ბაღის ზედა მხარე, 300 არაგველთა სახ. ბაღი, გორგასლის ქ. N37-39;

**ლოტი 10.** - გულიას მოედანი, ბ/ხმელნიცკის ქ. N8-ის წინ მიმდებარე სკვერი N3, დოდაშვილის მოედანი, გულუას ქ. N4, სანაპიროზე ავტოსადგურის მიმდებარე, გულუას ქუჩა;

**ლოტი 11.** - გორგასლის ქ., კრწანისის ქ. ასახვევი, გულიას მოედანი, ვეფხვისტყაოსნის პერსონაჟის ფრესკის წინ საყვავილეები, კრწანისის ქ. ასახვევთან;

**ლოტი 12.** - ჯავახეთის ქ. გამყოფი ზოლი და მიმდებარე ფერდობის სეგმენტები, ჯავახეთის ქ. მ/ს"ვარკეთილის" თავზე, ვარკეთილი III მ/რ, ვარკეთილი III მ/რ 341-344 კორპუსებთან სკვერი, III მასივი მე-X კვარტალი;

**ლოტი 13.** - კახეთის გზატკეცილი კორპ. N7-10, კახეთის გზატკეცილი ორხევის ხიდთან, კახეთის გზატკეცილი კოსმონავთების სახ. სკვერი, კახეთის გზატკეცილი ფეხსაც. Fფაბრიკის მიმდებარედ, ლილოს დასა. წმ.პანტელეიმონის ეკლესიასთან, აეროპირტის გზა მარჯვენა 2 გაზონი, აეროპორტის გზა მარცხენა 2 გაზონი;

**ლოტი 14.** - აეროპორტის გზა მარჯვენა განაპირა ზოლი, აეროპორტის მარცხენა განაპირი ზოლი;

**ლოტი 15.** - ქინძმარაულის ქუჩა;

**ლოტი 16.** - რუსთავის გზატკეცილი, ფონიჭალის დას. Mმარჯვენა მხარე, რუსთავის გზატკეცილი, ფონიჭალის დას. Mმარცხენა მხარე, გორგასლის ქ. N77-111, ავტოსადგურის უკანა სანაპიროს ტერიტორია, თბილისი-ერევნის რკინიგზის ხიდთან, რუსთავის გზატკეცილის სკვერი, რუსთავის გზატკეცილის სკვერი N2, რუსთავის გზატკეცილის სკვერი N3, გოგილის აბანოებთან;

**ლოტი 17.** - მარნეულის გზატკეცილი;

**ლოტი 18.** - გუმართჰესის ქ. N9-11 კორპ., ბუშის ქუჩა;

**ლოტი 19.** - კახეთის გზატკეცილი ვაზის წინ, კახეთის გზატკეცილის შუა ზოლი, მეგობრობის მემორიალის შემდერგ აეროპორტის მარჯვენა მე-2 ზოლი, მეგობრობის მემორიალის შემდეგ აეროპორტის გზის გვერდითი ზოლები (მარჯვენა-მარცხენა);

**ლოტი 20.** - მოსკოვის გამზ. N25, ჩოლოყაშვილის ქ. N1/3, მოსკოვის გამზ. სატანკო ქარხანა, ქ. წამებულის გამზ. N96, ქ. წამებულის გამზ. ისნის ბაზრობის მიმდებარედ;

**ლოტი 21.** - გორგასლის ქ. N52-11;

**ლოტი 22.** - ტყე-პარკი □შავნაბადა";

**ლოტი 23.** - ა.ბაქრაძის ქ. გასწვრივ ფერდობი, ვეფხვი და მოყმის ძეგლთან, გელოვანის გამზირი, გელოვანის გამზ. შუა გამყოფი ზოლი, ბაქრაძის ქუჩის გამყოფი ზოლი, პრომეთეს მონუმენტის მიმდებარე გამწვანებული კუთხე;

**ლოტი 24.** - ვაჟა-ფშაველას გამზ. N37-39 შორის, ვაჟა-ფშაველას გამზ. N7, ვაჟა-ფშაველას გამზ. Bბულვარი, ვაჟა-ფშაველას გამზ. Gგაზონები;

**ლოტი 25.** - კოსტავას ქ., კანდელაკის ქ., ჟ. შარტავას ქ., კოსტავას ქ. (სპორტის სასახლესთან), კოსტავას ქ. ტექნიკურ ბიბლიოთეკის წინ, გმირთა მოედნის უბეები, სააკაძის მოედანი, შარტავას ქ. N16;

**ლოტი 26.** - ალ.ყაზბეგის გამზ. (ვ. გოძიაშვილის სახ. ბაღი), ალ. Yყაზბეგის გამზ. N9-11 შორის სკვერი, ალ. ყაზბეგის გამზ. „ბალავართან";

**ლოტი 27.** - აღმაშენებლის ხეივნის მარჯვენა და მარცხენა გამწვანებული ზოლები, დავით აღმაშენებლის ხეივანი (სკვერი);

**ლოტი 28.** - ბახტრიონის ქ., მიცკევიჩის ქ., საბურთალოს ქ. N10-12 N33-35 N59-36 შორის სკვერები, გამსახურდიას გამზ. N12(ბუკიას ბაღი);

**ლოტი 29.** - დ/დიღმის მწვანე ზოლი, დ/დიღმის I-II მ/რ-ს შორის ახლად გაშენებული ქარსაცავი ზოლი;

**ლოტი 30.** - ირ. აბაშიძის ქ., მრგვალი ბაღი, ფალიაშვილის ქ. (კ. გამსახურდიას სახ. სკვერი), ირ. აბაშიძის ქ. (თარგები ირ. აბაშიძის ბიუსტთან);

**ლოტი 31.** - ილ.ჭავჭავაძის გამზ. (ილ. ჭავჭავაძის ძეგლთან), ილ. ჭავჭავაძის გამზ. (ტოპოგრაფიულ ტექნიკუმთან), ილ. ჭავჭავაძის გამზ. (მზიურის შესასვლელი), ვარაზის ხევი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. (ვაკის სასაფლაოს ზემოთ);

**ლოტი 32.** - გაბაშვილის ქ., თამარაშვილის ქ., უნივერსიტეტის ქ., თამარაშვილის ქ. ფერდობი, გ.წერეთლის ქუჩა;

**ლოტი 33.** - ენთოგრაფიული მუზეუმი;

**ლოტი 34.** - თამარ მეფის გამზ. (ცირკის მოპირდაპირე ფერდობი), მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ვეფხვი და მოყმეს მონუმენტიდან ვახუშტის ხიდის და თამარ მეფის ხიდის ჩათვლით ფერდობები;

**ლოტი 35.** - ლიბანის ქ., კონიაკის დასახლება, ზარზმის ქ. N8, სარაჯიშვილის ქ. ჩაის ფაბრიკის წინ;

**ლოტი 36.** - მუხიანიდან თემქისკენ მისასვლელი გზა, ქერჩის ქუჩა მრეწველობის ფაბრიკის წინ, ქერჩის ქ. ბავშვთა ადაპტაციის ცენტრი, მუხიანის დას. Mმე-4ბკვ. 29 კორპ., ნონეშვილის გამზირი, ქერჩის ქ., ვეკუას ქ. სპორტული კომპლექსის მ/ტ, ახმეტელის თეატრის წინ, დუმბაძის გამზირი, გობრომიძის ქ., მუხიანის დას. I მ/რ კორპ. N9,10,11.;

**ლოტი 37.** - მინდელის ხიდის მიმდებარე ტერიტორია, ფეიქრების ქუჩა;

**ლოტი 38.** - გლდანის შუა ზოლი, მ/ს „სარაჯიშვილთან" (შეშელიძემდე უსახელო ქუჩა), გლდანის V მ/რ., გლდანის V მ/რ N17, გლდანის I-II მ/რ ავეჯის სახლის მ/ტ, გლდანის I-III მ/რ მ/ტ, გლდანის II-IV მ/რ ხიზანიშვილის ქ. გასწვრივ, გლდანის შუა ზოლი III-IV მ/რ შორის;

**ლოტი 39.** - გლდანის VI მ/რ კორპ. N2 მ/ტ, გლდანის VIII მ/რ კორპ. N1 მიმდებარე ტერიტორია;

**ლოტი 40.** - გურამიშვილის გამზ. (მრეწ.Fფაბრ. წინ), გურამიშვილის გამზ. N15, გურამიშვილის გამზ.Mმარჯვენა მხარე, პლასტმასის ქარხნის წინ გურამიშვილის გამზ., გურამიშვილის გამზ. N64, მ/ს"გურამიშვილის" წინ, გურამიშვილის გამზ. N6.გ.ჩ.ს. სახლებთან, ერისთავის ქ., კ/თ „საქართველოსთან", გურამიშვილის გამზ. N141 სკოლასთან, ელმავალმშენი ქარხნის წინ, გურამიშვილის გამზ. „შინმოუსვლელთა სკვერი";

**ლოტი 41.** - ჩარგლის ქ., ზიგზაგის ქუჩის დასაწყისი, გუდამაყრის ქ. კორპ. N7, გუდამაყრის ქ., სანზონა კორპ N1, მ/ს"ღმაღელესთან";

**ლოტი 42.** - ანაპის ქ., შატილის ქ., თემქა „ავლანელთა სკვერი", თემქა სავაჭრო ცენტრის მ/ტ, თემქა სკვერი N1, თემქა სკვერი N2 თემქა კორპ N10ა;

**ლოტი 43.** - მ/ს"ნაძალადევთან", ც. დადიანის და ჩოდრისვილის ქ. კუთხე, ც. დადიანის ქ. N34, ც. დადიანის ქ. N315-317;

**ლოტი 44.** - სარაჯიშვილის გამზ. Kკენტების მხარე, სარაჯიშვილის გამზ. Lლუწების მხარე;

**ლოტი 45.** - დიდუბე-მტკვრის სანაპირო ქსნის ქ-ის მხარეს, დიდუბე-მტკვრის სანაპიროს შუა გაზონი, მტ. მარცხენა სანაპირო, მ/ს „დიდუბესთან";

**ლოტი 46**. - თბილისის ზღვის მისასვლელი გზა;

**ლოტი 47.** - წერეთლის გამზ. ორივე მხარე, დიღმის ხიდი, მეტრო დიდუბე, მეტრო წერეთელი;

**ლოტი 48**. - რობაქიძის გამზ. (ორივე მხარე), დიღმის ხიდის მარცხენა მხარე, დიღმის ხიდის მარჯვენა მხარე;

**ლოტი 49**. - ვახუშტის ხიდის ტერიტორია, ვახუშტის ხიდიდ მ/ტ (მარცხენა სანაპირო), ვაგზლის მოედანი;

**ლოტი 50.** - გელოვანის და რობაქიძის გამზირის გადაკვეთა;

**ლოტი 51.** - ლუბლიანას ქ., ბელიაშვილის ქ. (ორივე მხარე), ჭიაურელის ქ., ტრავმატოლოგიის ინსტ. სამხედრო გზამდე;

**ლოტი 52**. - მაიაკოვსკის ძეგლთან, დ/მასივის IV კვ.;

**ლოტი 53.** - ხუდადოვის ქუჩა;

**ლოტი 54.** - დიღმის ტყე-პარკი;

**ლოტი 55.** - თბილისის შემოგარენი (ოქროყანის უბანი, კუს ტბის ზედა უბანი, კუს ტბის ქვედა უბანი, მთაწმინდის უბანი, ხუდადოვის უბანი, თბილისის ზღვის უბანი, ლისის ტბის უბანი);

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (2009 წლის 5 აპრილი) 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 28 თებერვლიდან იმავე წლის 23 მარტის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ანგარიში: 200122900

ბანკის კოდი: 220101222

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 მარტის 11:00 საათიდან 14:45 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი მამულაშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

"ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება "ნიუ-იორკ თაიმსის" რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება "24 საათისთვის", ისევე, როგორც ფრანგული "ლე მონდისთვის", ესპანური "ელ პაისისთვის", გერმანული "ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის", ბრიტანული "ობსერვერისთვის" და ა.შ.

"24 საათი" 2009 წლის იანვრიდან არის "ნიუ-იორკ თაიმსის" კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# ბექჰემს ამერიკაში აბრუნებენ




*ბექჰემს იტალიაში დარჩენის უფლებას არ აძლევენ*

ამერიკული საფეხბურთო ლიგის (მეიჯორ ლიგის) ბოსების განცხადებით, დევიდ ბექჰემი დაბრუნდება ამერიკაში და 22 მარტს "ლოს ანჯელეს გელექსის" შემადგენლობაში ითამაშებს ამერიკის განახლებულ საფეხბურთო ჩემპიონატში.

შეგახსენებთ, რომ "ბექსი" "მილანში" სამთვიანი იჯარით გადავიდა და, პირვანდელი შეთანხმების მიხედვით, 8 მარტს ის ამერიკაში უნდა დაბრუნებულიყო. ვითარება მას შემდეგ შეიცვლა, რაც იტალიელებმა დევიდის დატოვება ისურვეს. მილანური კლუბის მესვეურებს იმდენად მოეწონათ ბრიტანელის თამაში, თავად ბექჰემს კი დიდი ფეხბურთი ისე მონატრებია, რომ "როსონერის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის სურვილი გაითვალისწინა და ამერიკელებს ბექჰემის ტრანსფერის გამოსყიდვის წინადადებით მიმართა. დევიდი "მილანში" იანვარში გადავიდა და მას შემდეგ სულ ისმის საუბარი იმის თაბაზე, რომ ის საბოლოოდ იტალიურ გრანდში დარჩება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, "მილანში" გადასვლის წყალობით, დევიდმა ინგლისის ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი და ახლა ამერიკაში წასვლაზე საუბარიც არ სურს. არადა, თუ "ბექსი" "მილანში" დარჩება, ფინანსურად იზარალებს, თუმცა, ფეხბურთელის განცხადებით, ახლა მას ფული საერთოდ არ აღელვებს. ერთადერთი, რაც უნდა, უმაღლეს დონეზე თამაშის გაგრძელებაა. თავიდან ამერიკელები თითქოს მზად იყვნენ გაეყიდათ ბექჰემი, მაგრამ "მილანის" მესვეურებთან ვერ მოილაპარაკეს. საქმე ის არის, რომ თანხა, რომელსაც "როსონერი" ბექჰემში იხდიდა, ამერიკულ მხარეს სასაცილოდ მოეჩვენა. "გელექსის" ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადეს, რომ "მილანისგან" სერიოზულ შეთავაზებას ელიან, თუმცა, როგორც ჩანს, "როსონერიმ" ამერიკელებს შესაბამისი წინადადებით არ მიმართა. და აი, გუშინ სააგენტო Goal.com-თან სატელეფონო საუბარში "გელექსის" წარმომადგენელმა განაცხადა: "8 მარტს ბექჰემს "მილანის" შემადგენლობაში თამაშის სრული უფლება აქვს. სავარაუდოდ, "ატალანტას" წინააღმდეგ ითამაშებს კიდეც. შემდეგ კი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ამერიკაში. ასეთი იყო ჩვენი პირვანდელი შეთანხმება, რომელიც არ შეცვლილა".

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს "ჯეოსელიდან", "მაგთიდან", "ბილაინიდან" ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ "იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი "იავნანა"
გაზეთი "24 საათი"

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. გორში შინდისის გზატკეცილზე მე-9 ტრესტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში და სოფ. ხიდისთავის პროფ. სასწავლებლის ყოფილ საერთო საცხოვრებლის I, II და III კორპუსებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია**

**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/29-2009**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **ქ. გორში შინდისის გზატკეცილზე მე-9 ტრესტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში და სოფ. ხიდისთავის პროფ. სასწავლებლის ყოფილ საერთო საცხოვრებლის I, II და III კორპუსებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/29-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757
სალარე ანგარიშის N: 340 800 01
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 2 მარტიდან 10:00 საათიდან 17 მარტის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

**ქ. გორში შინდისის გზატკეცილზე მე-9 ტრესტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში და სოფ. ხიდისთავის პროფ. სასწავლებლის ყოფილ საერთო საცხოვრებლის I, II და III კორპუსებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია, სარეაბილიტაციო საერთო ფართობით - 4,525.38 მ2;**

პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- დაზიანებული სახურავის მოხსნას და აღდგენას თუნუქით;
- არსებული ტიხრების მოხსნას და ახლების მოწყობას;
- ჭერის და კედლების შელესვას და შეღებვას;
- მეტალოპლესტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟს;
- სანიტარულ კვანძებში მეტლახის ფილების მოწყობას;
- იატაკის მოწყობას ლამინირებული პარკეტით;
- ხის კარებების მოწყობას;
- შიდა და გარე წყალსადენის და კანალიზაციის სისტემის მოწყობა-აღდგენას სანიტარულ კვანძში;
- შიდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს;
- ფასადის აღდგენას;
- და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 5 თვე.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად).
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **9 მლნ.** ლარს (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად. თუმცა, არ მოხდება პრეტენდენტისა და სუბკონტრაქტორის ბრუნვების დაჯამება).

5. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

6. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 27 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

7. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

8. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 23 მარტის 15:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

10. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 23 მარტის 15:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

11. 2009 წლის 23 მარტის 15:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
**მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,**
**ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

---

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 თებერვლის N107 ბრძანების საფუძველზე შპს "მილერი და კომპანიისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 17 თებერვალი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 16 თებერვალს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ბრიტანული დაწყებითი სკოლისთვის" დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

## განცხადება

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაცხადებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 17 იანვარს გაზეთ „24 საათში" ბენზინისა და დიზელის საწვავის შესყიდვის თაობაზე 3 ლოტად გამოცხადებულ ტენდერში, სამივე ლოტში გაიმარჯვა სააქციო საზოგადოება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ", რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

სატენდერო კომისია

---

**United Nations Development Programme**

UN DP

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**

**გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლით მომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 20 მარტის 17:00 სთ-მდე მისამართზე:
თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4
საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70, 8(55) 188 315
თეიმურაზ დალაქიშვილი

ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი" აცხადებს ტენდერს

შემდეგი სახის მომსახურებაზე:

შპს „ქართული ცემენტის" ქარხნის ტერიტორიაზე 150 მ. რკინიგზის ჩიხის მოწყობაზე.

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 11 მარტი.

# ქალაქ თბილისის მერი

24. 02.2009წ.
190.020.030.38.101.012.819. ბრძანება №18

17 თებერვალი 2009წ.

ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების
განაწილების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის $47^3$ მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული" კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების თანდართული წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2008 წლის 15 ნოემბრის № 51 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

დანართი:

## ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია „საქართველოს დედაქალაქის–თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის „$47^3$" მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.
2. წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების მექანიზმს.

### მუხლი 2. ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების განაწილების ძირითადი პრინციპები

1. ქ. თბილისის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების განაწილება მხარჯავ დაწესებულებებს (საბიუჯეტო ორგანიზაციებს) შორის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქ. თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით.

2. ქ. თბილისის ბიუჯეტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის (საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის) გამოყოფილი ასიგნების განაწილება შეიძლება განხორციელდეს 2009 წელს ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნების 15 პროცენტის, ხოლო 2010 წელს 10 პროცენტის ფარგლებში.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების განაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს:
ა) მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციების) ორგანიზაციულ კოდში მოქცეულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ცალკეულ ღონისძიებებსა და პროგრამებს შორის (ორგანიზაციულ კოდებს შორის) ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების შესაბამისად.
ბ) მხარჯავი დაწესებულების ან საბიუჯეტო ორგანიზაციის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ.
4. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე საფინანსო საქალაქო სამსახური უფლებამოსილია ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში, რაც საბიუჯეტო წლის ბოლომდე წარედგინება საკრებულოს დასამტკიცებლად.
5. ქ. თბილისის ბიუჯეტის დამტკიცებულ კვარტალურ განწერაში შეიძლება განხორციელდეს კვარტალური გადანაწილება ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ.

### მუხლი 3. ქ. თბილისის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ეფექტურად ხარჯვის მიზნით მხარჯავი დაწესებულება ან საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, ქ. თბილისის მთავრობის სხდომაზე წარადგენს მოთხოვნას (ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტს) ასიგნების გადანაწილების თაობაზე, რომელიც წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურთან. წარდგენილ მოთხოვნაში, მხარჯავი დაწესებულების ან საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოყვანილ უნდა იქნას სათანადო არგუმენტაცია და შესაბამისი დასაბუთება ასიგნების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.

2. მხარჯავი დაწესებულების, ან საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ ასიგნების გადანაწილებაზე ქ. თბილისის მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ (შესაბამისმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ) ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

3. ქ. თბილისის მთავრობის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილება), ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
4. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე საფინანსო საქალაქო სამსახური ამზადებს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების ან ქ. თბილისის მერის განკარგულების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ საფინანსო საქალაქო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში.
5. მიმდინარე საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, მხარჯავი დაწესებულების, ან საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში შესაბამისი არგუმენტაციისა და დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ერთი და იგივე საბიუჯეტო ორგანიზაციაში, ან მხარჯავ დაწესებულებაში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით გათვალისწინებულ ასიგნებებში ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის შესაბამისი ბრძანება) უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ცვლილებები ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
6. მოთხოვნა წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების თაობაზე ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს წარედგინება წერილობითი სახით იმ საბიუჯეტო ორგანიზაციის ან მხარჯავი დაწესებულების, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, ხელმძღვანელის ხელმოწერით. საბიუჯეტო ორგანიზაციას და მხარჯავ დაწესებულებას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.
7. ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილება განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.
8. ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანხმობის შემთხვევაში (საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება) საბიუჯეტო განყოფილება ამზადებს ცვლილებას წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების დაზუსტების შესახებ.
9. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება ამ წესით გათვალისწინებული გეგმის ცვლილების ცნობით (დანართი 1). ცვლილების ცნობა დგება ოთხ ეგზემპლარად. გეგმის ცვლილების ცნობის პირველი ეგზემპლარი რჩება ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილებას, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სახაზინო განყოფილებას, ერთი ეგზემპლარი – საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებას და ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის მხარჯავ დაწესებულებას ან საბიუჯეტო ორგანიზაციას.
10. გეგმის ცვლილების ცნობით ასევე შესაძლებელია დაზუსტდეს მერის სარეზერვო ფონდით გათვალისწინებული ასიგნება და წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა მიზნობრივი გასაცემლები. ამ შემთხვევაშიც წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.
11. მერის სარეზერვო ფონდიდან და წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა მიზნობრივი გასაცემლებიდან ასიგნებების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტი.

დანართი 1

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

200 წლის „—" ——————

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის
დასახელება, ორგ. კოდი)

(ცვლილების საფუძველი–დადგენილება, განკარგულება,
ბრძანება, გადაწყვეტილება)

200 წლის „——–" ————————————

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

| ორგანიზაციული კოდი | საბიუჯეტო ორგანიზაცია, პროგრამა, ღონისძიება | საბიუ-ჯეტო კლასიფიკაციის მუხლი | ცვლილების თანხა –/- (გადიდებული, შემცირებული) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | წლიური | მათ შორის: კვარტლების მიხედვით | | | |
| | | | | I | II | III | IV |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| ჯამი | | | | | | | |

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით
გათვალისწინებული ასიგნებებიდან

2. მერის სარეზერვო ფონდიდან

3. წინა პერიოდში წარმოქმნილი
ვალდებულებების დაფარვა
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო სამსახურის
უფროსის მოადგილე:

საბიუჯეტო განყოფილების
უფროსი:

პასუხისმგებელი შემსრულებელი:

# განცხადება

საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

**საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 2130 ლარი).

*კონკურსის პირობები:*

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

საკონკურსო-სატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს „იუსტიციის სამინისტროს სისტემის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ, აკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 20 იანვრის N126 ბრძანების შესაბამისად.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება (სასურველია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში);
- სერტიფიკატები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში (სასურველია);
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობის სამი წლის გამოცდილება;

*საკონკურსო თემატიკა:*

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის N45 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: **თბილისი, გორგასლის 24.**

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსი ტარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები  საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24; ტელ: 40-50-67, 40-50-73 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში) ან იხილოთ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.justice.gov.ge და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე: www.psb.gov.ge

საჯარო სამსახურის ბიურო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქცია ;**

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 12 (თორმეტი) ლოტად :**

**ლოტი N1 - მოსკოვის გამზ. I კომპლექსი. N 1,2,3,4 კორპუსებს შორის ;**
**ლოტი N2 - ლილოს დასახლება. რუსთაველის ქუჩის დასაწყისი ;**
**ლოტი N3 - ვარკეთილი 3. II მ/რ. N 35,36,37,40,41 კორპუსებს შორის ;**
**ლოტი N4 - ალექსეევკის დასახლება ;**
**ლოტი N5 - აეროდრომის დას. XI-XII ქუჩებს შორის. N 3ა კორპუსის უკან ;**
**ლოტი N6 - იდუმალის ქ. N 1,2,3,4,5,6 კორპუსებს შორის ;**
**ლოტი N7 - იოანე პეტრიწის ქ. N 1ა ;**
**ლოტი N8 - გლდანის III მ/რ. მე-12-ე კორპუსი ;**
**ლოტი N9 - გლდანის მასივი. N 191 საჯარო სკოლა ;**
**ლოტი N10 - ქინძმარაულის შესახვევი. კორპუსი N 25ა ;**
**ლოტი N11 - ფალიაშვილის ქ. N 41 ;**
**ლოტი N12 - შუამთის ქ. კორპ. N 13 ;**

*შესრულების სავალდებულო ვადა თითოეულ ლოტზე: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღე ;*

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 19 მარტის 11:00 საათიდან 2009 წლის 19 მარტის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების (12 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 28 თებერვლიდან 2009 წლის 19 მარტის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს დაყოფილი სამეურნეო საქონლის შესყიდვას **III ლოტად** და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ მათთვის სასურველ ერთ, რამდენიმე ან ყველა ლოტში.

ლოტი I

| № | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი და ვადები |
|---|---|---|---|---|
| | სამეურნეო საქონელი | | | **მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, მიწოდების სავალდებულო ვადა: მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ხელმოწერიდან მე-10 დღეს და დასრულება 2009 წლის 31 დეკემბრამდე** მიწოდება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე |
| 1 | კარების საკეტი მთ. კომპ. | ცალი | 104 | |
| 2 | კარების საკეტის გული სხვადასხვა | ცალი | 150 | |
| 3 | ე.წ. "მდფ"-ის კარების საკეტი | ცალი | 20 | |
| 4 | კარების ავტომატური ზამბარა | ცალი | 10 | |
| 5 | ქვისა და რკინის საჭრელი დისკი | ცალი | 35 | |
| 6 | ლურსმნის ამოსაღები | ცალი | 5 | |
| 7 | ქლიბი სამკუთხა | ცალი | 3 | |
| 8 | სახრახნისი | ცალი | 40 | |
| 9 | ლურსმანი სხვადასხვა ზომის | კგ. | 30 | |
| 10 | ჭანჭიკები სხვადასხვა ზომის კგ | კგ. | 20 | |
| 11 | სატეხი სხვადასხვა ზომის | ცალი | 5 | |
| 12 | სახრახნისის პირები | ცალი | 40 | |
| 13 | ურო | ცალი | 1 | |
| 14 | ნაჯახი | ცალი | 25 | |
| 15 | ხის ხერხი | ცალი | 2 | |
| 16 | პატარა ცული | ცალი | 7 | |
| 17 | ბრტყელტუჩა | ცალი | 50 | |
| 18 | საკვნეტელა | ცალი | 14 | |
| 19 | სამშენებლო ქაფი | ცალი | 12 | |
| 20 | სილიკონი | ცალი | 40 | |
| 21 | ლურსმანი დუბელის ჩვეულებრივი და დიდი ზომის | ცალი | 5 | |
| 22 | მინის საჭრელი | ცალი | 10 | |
| 23 | შუშა | მ2 | 5 | |
| 24 | ქაფჩა | ცალი | 5 | |
| 25 | საწნეხი ტისკი | ცალი | 1 | |
| 26 | იზოლაციური ლენტი | ცალი | 100 | |
| 27 | ხელთათმანი ნაჭრის | ცალი | 300 | |
| 28 | ბოქლომი | ცალი | 25 | |
| 29 | ბოქლომი ტროსით | ცალი | 12 | |
| 30 | ტომრები სხვადასხვა ზომის | ცალი | 400 | |
| 31 | სალები ფუნჯები | ცალი | 15 | |
| 32 | ჭერზე საკიდი კაუჭი | ცალი | 40 | |
| 33 | მომჭიმი ორივე ხრახნით | ცალი | 12 | |
| 34 | სამღებრო გორგოლაჭი | ცალი | 3 | |
| 35 | სამეურნეო სკოჩი დიდი | ცალი | 100 | |
| 36 | წებო | ცალი | 30 | |
| 37 | რკინის შესადუღებელი ელექტროდი სხვადასხვა ზომის | შეკვრა | 8 | |
| 38 | გასაშლელი კიბე (რკინის 3მ) | ცალი | 3 | |
| 39 | გასაშლელი კიბე (ხის 2მ) | ცალი | 5 | |
| 40 | სასწორი ელექტრო მაგიდის 30 კგ-იანი | ცალი | 2 | |
| 41 | იარაღის ჩასადები პლასტმასის ყუთები | ცალი | 2 | |
| 42 | ხელსაწყოების სრული კომპლექტი | ცალი | 1 | |
| 43 | ელექტრო ბურღი | ცალი | 3 | |
| 44 | ელექტრო ჭანჭიკის სახრახნისი | ცალი | 2 | |
| 45 | ელექტრო სახრახნისის პირების და თავების კრებული | ცალი | 2 | |
| 46 | კედლის სახვრეტი თავები ე.წ. "სვერლოები" | ცალი | 30 | |
| 47 | სახვრეტის თავები ე.წ."სვერლოები" სხვადასხვა ზომის | ცალი | 100 | |
| 48 | ბურღის ტაოტი | კგ. | 2 | |
| 49 | შემრევი ონკანი | ცალი | 70 | |
| 50 | ონკანი კომპლექტი | ცალი | 30 | |
| 51 | ონკანის რეზინის მილები 0.5მ | ცალი | 50 | |
| 52 | ონკანის რეზინის მილები 1მ. სხვადასხვა გადამყვანით | ცალი | 50 | |
| 53 | ონკანის რეზინის მილები 1მ 20სმ. სხვადასხვა | ცალი | 50 | |
| 54 | წყლის ონკანი რკინის მილზე დასაყენებელი ხრახნიანი | ცალი | 6 | |
| 55 | წყლის ტუმბო | ცალი | 5 | |
| 56 | წყლის საკეტი | ცალი | 15 | |
| 57 | პაკლი (წყლის იზოლაცია) | ცალი | 15 | |
| 58 | დრეკად მილზე დასამაგრებელი ონკანი | ცალი | 20 | |
| 59 | რეზინის დრეკადი მილი | ცალი | 10 | |
| 60 | წყლის მრიცხველი | ცალი | 20 | |
| 61 | გაზის მრიცხველი | ცალი | 5 | |
| 62 | პლასტმასის მილის შესადუღებელი ხელსაწყო სრული კომპლექტი | ცალი | 1 | |
| 63 | პლასტმასიდან რკინაზე გადამყვანი გარე და შიდა ხრახნით | ცალი | 50 | |
| 64 | პლასმასის წყლის მილი | მეტრი | 200 | |
| 65 | პლასმასის მილის მუხლები და გადამყვანები | ცალი | 700 | |
| 66 | პოლიეთილენის რულონი | მეტრი | 300 | |
| 67 | უნიტაზის ჩამრეცხი კომპლექტი | ცალი | 15 | |
| 68 | სიფონი | ცალი | 5 | |
| 69 | კანალიზაციის მილი 100 მმ | მეტრი | 30 | |
| 70 | კანალიზაციის მილის გადამყვანები და მუხლები სხვადასხვა ზომის | ცალი | 10 | |
| 71 | საპირფარეშოს ქაღალდის დასამაგრებელი რკინის | ცალი | 20 | |
| 72 | თხევადი საპნის ჩასასხმელი (რკინის კორპუსით) | ცალი | 40 | |
| 73 | ხელსაშრობი ელექტრო მაღალი ხარისხის | ცალი | 70 | |
| 74 | გამწოვი ვენტილიატორი 100მმ | ცალი | 10 | |
| 75 | ცემენტი 50 კგ | შეკვრა | 20 | |
| 76 | წყლის ცემენტი | კგ. | 10 | |
| 77 | სამშენებლო ქვიშა | შეკვრა | 30 | |
| 78 | სამშენებლო ბლოკი | ცალი | 300 | |
| 79 | გაჯი 50 კგ. | შეკვრა | 10 | |
| 80 | ფითხი ე.წ."შპაკლი" 30კგ | შეკრა | 5 | |
| 81 | ფისი ე.წ."გუდრონი" | კგ. | 30 | |
| 82 | საღებავი ზეთოვანი 2 კგ | ცალი | 10 | |
| 83 | საღებავი ემულსია 10კგ ვედრო | ცალი | 5 | |
| 84 | საღებავის ფერები (100გრ.) | ცალი | 5 | |
| 85 | საღებავის გამხსნელი | ცალი | 15 | |
| 86 | მეტლახი 1კვ | მ2 | 2 | |
| 87 | ჰაერის ტუმბო | ცალი | 1 | |
| 88 | ელექტროშესადუღებელი აპარატი | ცალი | 1 | |
| 89 | ავზი საწვავისთვის 400 ლიტრი | ცალი | 1 | |
| 90 | ყვავილების მიწა | კგ. | 100 | |
| 91 | ყვავილების ქოთნები სხვადასხვა ზომის | ცალი | 5 | |

ლოტი II

| | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი და ვადები |
|---|---|---|---|---|
| | ელექტრო საქონელი | | | ——— |
| 1 | ელ. ნათურა 220X150 | ცალი | 500 | |
| 2 | ელ. ნათურა 220X100 | ცალი | 2000 | |
| 3 | ელ ნათურა 220X60 შეკიდული ჭერისთვის | ცალი | 1000 | |
| 4 | ელ ნატურა 220X60 შეკიდული ჭერისთვის (მინიონი) | ცალი | 350 | |
| 5 | ელ ნათურა 220X40 შეკიდული ჭერისთვის | ცალი | 600 | |
| 6 | ელ ნათურა 220X40 შეკიდული ჭერისთვის მინიონი | ცალი | 300 | |
| 7 | ელ. ნათურა LB18 | ცალი | 3000 | |
| 8 | ელ. ნათურა Ш36 | ცალი | 50 | |
| 9 | გამნათებელი, გამშვები მოწყობილობით (32 ნათ) | ცალი | 100 | |
| 10 | დროსელი „არმსტრონგებისთვის“ 2X20 | ცალი | 600 | |
| 11 | დროსელი Ш-40- სთვის 1X40 | ცალი | 150 | |
| 12 | გამშვები (სტარტერი) „არმსტრონგებისთვის“ LB-18 -სთვის | ცალი | 4000 | |
| 13 | სტარტერი LB-36 -სთვის | ცალი | 80 | |
| 14 | ღია გაყვანილ. ჩამრთველი | ცალი | 100 | |
| 15 | ღია გაყვანილობის შტეფსელის როზეტი | ცალი | 200 | |
| 16 | დახურული გაყვანილობის შტეფსელის როზეტი | ცალი | 200 | |
| 17 | დახურული გაყვანილობის შტეფსელის ჩამრთველი | ცალი | 150 | |
| 18 | ჩანგალი შტეფსელისთვის | ცალი | 300 | |
| 19 | დამაგრძელებელი | ცალი | 500 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20 | სამმხრივი გამანაწილებელი | ცალი | 400 | |
| 21 | ნათურის გილზები გარე და შიდა ხრახნით | ცალი | 120 | |
| 22 | ნათურის კერამიკული გილზები | ცალი | 30 | |
| 23 | ელემენტი სხვადასხვა ზომის | ცალი | 800 | |
| 24 | ელექტრო ფანარი | ცალი | 3 | |
| 25 | ინდიკატორი | ცალი | 5 | |
| 26 | რეზინის საიზოლაციო ხელთათმანები | ცალი | 5 | |
| 27 | მეორე გაბარიტის ელექტრო გამშვები | ცალი | 4 | |
| 28 | მავთულის სამაგრი №1-დან №6-მდე | შეკვრა | 100 | |
| 29 | სადენის საფარი 2X2,X4 კვმ | მეტრი | 100 | |
| 30 | სადენის საფარი 2,5X3 | მეტრი | 50 | |
| 31 | სადენის საფარი 10X10 | მეტრი | 80 | |
| 32 | ელექტრო მრიცხველი 2 ფაზა | ცალი | 15 | |
| 33 | ელექტრო მრიცხველი 3 ფაზიანი | ცალი | 10 | |
| 34 | მრავალწვერა 3-იანი სპილენძის სად. 3X4 | მეტრი | 500 | |
| 35 | მრავალწვერა 3-იანი სპილენძის სად. 4X25 | მეტრი | 100 | |
| 36 | სპილენძის სადენი 3X6 | მეტრი | 100 | |
| 37 | სპილენძის სადენი 2X6 | მეტრი | 100 | |
| 38 | სპილენძის სადენი 3X95+1X70 | მეტრი | 50 | |
| 39 | სპილენძის სადენი 4X16 | მეტრი | 50 | |
| 40 | სპილენძის სადენი 3X35+1X16 | მეტრი | 50 | |
| 41 | სპილენძის სადენი 4X4 | მეტრი | 80 | |
| 42 | სპილენძის სადენი 4X2.5 | მეტრი | 50 | |
| 43 | სპილენძის სადენი 4X6 | მეტრი | 50 | |
| 44 | სპილენძის სადენი 4X10 | მეტრი | 100 | |
| 45 | სპილენძის სადენი 2X1,5 კვმ | მეტრი | 1000 | |
| 46 | სპილენძის სადენი 1X10 კვმ | მეტრი | 20 | |
| 47 | სპილენძის სადენი 2X2,5 კვმ | მეტრი | 2500 | |
| 48 | სპილენძის სადენი 2X4 კვმ | მეტრი | 500 | |
| 49 | სპილენძის სადენი 4X16 | მეტრი | 200 | |
| 50 | ტელეფონის კაბელი | მეტრი | 150 | |
| 51 | 3 ფაზიანი ავტომატი 63ა | ცალი | 1 | |
| 52 | ავტომატი 63 ამპერი | ცალი | 15 | |
| 53 | ავტომატი 40 ამპერიანი | ცალი | 20 | |
| 54 | ავტომატი 50 ამპერიანი | ცალი | 10 | |
| 55 | 3 ფაზა 25 ამპერიანი | ცალი | 3 | |
| 56 | 3 ფაზა ავტომატი 50 ამპერიანი | ცალი | 5 | |
| 57 | 3 ფაზა 160 ამპერიანი | ცალი | 2 | |
| 58 | 3 ფაზა 250 ამპერიანი | ცალი | 3 | |
| 59 | ავტომატური ჩამრთველი 3X100 ამპერი | ცალი | 15 | |
| 60 | ავტომატური ჩამრთველი 32 ამპერი | ცალი | 60 | |

**ლოტი III**

| | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი და ვადები |
|---|---|---|---|---|
| | **იგიენური საშუალებები** | | | -------------------------- |
| 1 | ცოცხი | ცალი | 100 | |
| 2 | ცოცხი აქანდაზით | ცალი | 90 | |
| 3 | აქანდაზი | ცალი | 40 | |
| 4 | იატაკის ჯოხი | ცალი | 65 | |
| 5 | იატაკის მოსახეხი ჯაგრისი | ცალი | 40 | |
| 6 | მინის საწმენდი ჯოხი მაღალი ხარისხის | ცალი | 10 | |
| 7 | მტვრის საწმენდი ჯოხი (მძიმე ტარიანი) | ცალი | 40 | |
| 8 | პლასმასის ვედრო 10-15ლიტერის მოცულობის | ცალი | 70 | |
| 9 | თუნუქის ვედრო | ცალი | 30 | |
| 10 | იატაკის ტილო | ცალი | 700 | |
| 11 | მაგიდის ტილო | ცალი | 1700 | |
| 12 | შუშის საწმენდი ტილო | ცალი | 300 | |
| 13 | საპირფარეშოს ჯაგრისი | ცალი | 80 | |
| 14 | სახეხი სინა (12ც) | შეკვრა | 700 | |
| 15 | ღრუბელი | ცალი | 1000 | |
| 16 | ჭურჭლის სარეცხი სითხე | ცალი | 500 | |
| 17 | მინის საწმენდი სითხე | ცალი | 350 | |
| 18 | ავეჯის საწმენდი | ცალი | 500 | |
| 19 | უნიტაზის საწმენდი სითხე | ცალი | 350 | |
| 20 | საპირფარეშოს აეროზოლი | ცალი | 450 | |
| 21 | კაფელის საწმენდი მაღალი ხარისხის | ცალი | 300 | |
| 22 | სადეზინფექციო სახეხი ფხვნილი | ცალი | 500 | |
| 23 | თხევადი საპონი (5 ლიტრ) | ცალი | 75 | |
| 24 | ხელის საპონი | ცალი | 1000 | |
| 25 | სარეცხი ფხვნილი | ცალი | 200 | |
| 26 | კაუსტიკური სოდა (ფხვნილი) | ცალი | 50 | |
| 27 | საპირფარეშოს ქაღალდი კივის (48ც) | შეკვრა | 120 | |
| 28 | საპირფარეშოს ქაღალდი კარგი (8ც.) | შეკვრა | 130 | |
| 29 | ხელთათმანი დიდი რეზინის | ცალი | 50 | |
| 30 | ნაგვის პარკი პატარა შეკვრა (20ც.) | შეკვრა | 800 | |
| 31 | ნაგვის პარკი დიდი რულონი (20ც.) | შეკვრა | 400 | |
| .32 | ჭიქა (100ც.) | შეკვრა | 10 | |
| 33 | თეფში (100ც.) | შეკვრა | 8 | |
| 34 | კოვზი (100ც.) | შეკვრა | 6 | |
| 35 | ჩანგალი (100ც.) | შეკვრა | 8 | |
| 36 | ელექტრო ჩაიდანი | ცალი | 20 | |
| 37 | ელექტრო მადუღარა | ცალი | 2 | |

2. სამეურნეო საქონლის სრული მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან მე-10 დღეს და დასრულდეს არაუგვიანეს 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები 2 ეგზემპლარად და სატენდერო წინადადება, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში (შელწევადობის გარეშე), 2009 წლის 19 მარტს შემდეგ მისამართზე: ქთბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

გ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

დ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ვ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;;

ზ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

ბ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ:

– მის მიერ წარმოდგენილი სამეურნეო საქონელი არ აკმაყოფილებს პირველ მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

– იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციამ გამარჯვების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას შეუზღუდავად გაეცნობიან ადგილზე ან მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 18 მარტამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქთბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

8. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი №220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი №302004000, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

9. პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 19 მარტს 16 საათაზე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**ქეთევან გელაშვილი** სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქთბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (III სართული).

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი–** საკანცელარიო საქონელი
**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 28 თებერვლიდან 23 მარტის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა
ანგ. № 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საკანცელარიო საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 23 მარტის 12 საათიდან 24 მარტის 12.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 24 მარტის 12.00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ნაწარმების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ნაჩვენები საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

**სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.**

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით. რომლის მოქმედების ვადა უნდა 15 **დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.**

**სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | | | | | |
| | ქს. ქაღალდი A-4. 80 გრ. 500 ფურცლიანი | შეკვ | 13 450 | ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | ქ. თბილისი. |
| | ქაღალდი A-3 80 გრ. 500 ფურცლიანი | შეკვ | 600 | | |
| | ქაღალდი რუხი A-4 | შეკვ | 800 | | |
| ლოტი №2 | | | | | |
| | საკანცელარიო წიგნი უჯრიანი | ცალი | 3 000 | ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | ქ. თბილისი, |
| | საკანცელარიო წიგნი ცალხაზიანი | ცალი | 3 000 | | |
| | ფაილი | შეკვ | 1 670 | | |
| | ბაინდერი განიერი A-4 | ცალი | 1 000 | | |
| | ბაინდერი ვიწრო A-4 | ცალი | 1 000 | | |
| | სწრაფჩამკერი პლასტიკური დამჭერით | ცალი | 2 000 | | |
| | საქაღალდე მუყაოსი | ცალი | 2 000 | | |
| | კალამი ბურთულიანი ლურჯი | ცალი | 10 000 | | |
| | კალამი ბურთულიანი შავი | ცალი | 5 000 | | |
| | კალამი ბურთულიანი წითელი | ცალი | 1 500 | | |
| | კალამი გელი წითელი | ცალი | 1 500 | | |
| | კალამი გელი ლურჯი | ცალი | 1 500 | | |
| | კალამი გელი შავი | ცალი | 1 500 | | |
| | ფანქარი საშლელით | ცალი | 3 000 | | |
| | მიკროპენი | ცალი | 2 000 | | |
| | მიკროპენის წვერები | შეკვ | 4 000 | | |
| | პერ. მარკერი | ცალი | 1 500 | | |
| | მარკერი OOHP B | ცალი | 1 500 | | |
| | ოვერლეი | მეტრი | 3 000 | | |
| | წებოვანი ოვერლეი | ცალი | 1 800 | | |
| | ფანქარი პროფესიონალური HB, B, | ცალი | 1 500 | | |
| | ჭიკარტი | კოლ. | 1 000 | | |
| | ტექსტ. მარკერი საოფისე | ცალი | 1 500 | | |
| | მარკერი დაფაზე სამუშაო 4 ფერი | კომ | 1 200 | | |
| | პლასტელინი | კოლ. | 300 | | |
| | სტეპლერი დიდი TU-510 | ცალი | 120 | | |
| | სტეპლერი საშუალო №24 | ცალი | 700 | | |
| | სტეპლერის კავი №24/6, 23/13, 24/13, 112/13, | კოლ. | 2 800 | | |
| | სტეპლერის კავი №24/1, 24/10, 12/10, 12/6, | კოლ. | 2 000 | | |
| | სტეპლერის კავი №23/24 | კოლ. | 2 000 | | |
| | სამაგრი დიდი | კოლ. | 1 200 | | |
| | სამაგრი პატარა | კოლ. | 1 200 | | |
| | კლიპი სხვადასხვა ზომის დამჭერით | კოლ. | 1 200 | | |
| | მაკრატელი | ცალი | 400 | | |
| | საკანცელარიო დანა | ცალი | 1 500 | | |
| | შტრიხ ფანქარი | ცალი | 1 200 | | |
| | ანტისტეპლერი | ცალი | 300 | | |
| | სახვრეტელა | ცალი | 599 | ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | ქ. თბილისი, |
**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;
სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **28 თებერვლიდან** 2009 წლის **20 მარტის** ჩათვლით **სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურების დასახელება და თავისებურებანი |
|---|---|
| 1 | ლიანდაგის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ტერიტორიაზე (სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია) სასაწყობო ბაზის მოწყობის მიზნით (ასს-ის სასაწყობო ბაზის ნაცვლად) ტერიტორიის და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის მუშა პროექტის შედგენა |

**3. მომსახურების გაწევის ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში;
**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 20 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
**5.** <u>საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:</u>
***იურიდიული პირებისათვის:***
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
*3.* სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-ის** ოდენობით, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან;</u>
***ფიზიკური პირებისათვის :***
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-ის** ოდენობით, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან;</u>
***როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:***
1. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი მომსახურების გაწევის შესახებ.

**6. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>**
1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები. <u>(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)</u>
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ-ს</u> გარეშე**: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდიუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

# ქალაქ თბილისის მერი

**27. 02.2009წ.**
**010.260.010.38.101.012.838**
**ბრძანება N19**

26 თებერვალი 2009წ.

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ და „ო3“ ქვეპუნქტების, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N 1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N16 ბრძანება „ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.“
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

დამტკიცებულია
ქ. თბილისის მერის
2009 წლის -26 თებერვლის
N -19 ბრძანებით

**ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულება**

**თავი I**
**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.**

1. ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზების მართვის საკითხებში, ქ. თბილისის მთავრობისათვის კანონმდებლობით მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი ორგანო.
2. სამსახური არის ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.
3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულებით, სხვა სამართლებრივი აქტებით, მათ შორის წინამდებარე დებულებით.
4. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
5. სამსახურს აქვს შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, საბიუჯეტო ასიგნებები, აგრეთვე ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.
6. სამსახურის დაფინანსების წყაროა ქ. თბილისის ბიუჯეტი.
7. სამსახურის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

**მუხლი 2.**

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში:
ა) საერთო სარგებლობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, ორგანიზება, მართვა და რეგულირება;
ბ) სატრანსპორტო ნაკადებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზების სრულყოფა;
გ) რეგულარული საქალაქო სამგზავრო გადაყვანის აღრიცხვიანობის ერთიანი სისტემის მოწესრიგება;
დ) შიდა სარგებლობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების საკითხების მოწესრიგება;
ე) საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისათვის საქალაქო ტრანსპორტის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, უნებართვო მეწარმეობის აღმოფხვრა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ვ) მომხმარებელთა კანონიერი უფლებების დაცვა და მგზავრობის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა;
ზ) საქალაქო ტრანსპორტის სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების ღონისძიებების შემუშავება და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა.
2. სამსახური აგრეთვე ასრულებს მისთვის მოქმედი სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

**მუხლი 3.**

1. სამსახურის ფუნქციებია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში:
ა) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ტრანსპორტის სფეროს მიკუთვნებული საწარმოების (შპს თბილისის ავტობუსი“, შპს თბილისის მეტრო“) საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) შიდა სარგებლობის გზებზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ წინადადებების შემუშავება და დანერგვა;
გ) დედაქალაქის მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემის (M2 და M3 კატეგორიის) შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა, მისი პერიოდული შესწავლა და სქემების ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;
დ) დამტკიცებული სქემების დაცვაზე ზედამხედველობა;
ე) სამსახურის კომპეტენციას განკუთვნილ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
ვ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
ზ) საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის გაჩერებების, არაგაბარიტული, მძიმეწონიანი და საშიში ტვირთების გადამტანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტების და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ წინადადებების მომზადება და მათი სქემების შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად;
თ) საქალაქო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების ერთიან სამარშრუტო ქსელში (M2 და M3 კატეგორიის) არსებული მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა;
ი) სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზება;
კ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დაცვაზე კონტროლის განხორციელება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოქმების შედგენა;
ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილი ოქმების განხილვის უფლებამოსილება და დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება;
მ) ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხების გაცემისას, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურის დაცვის უზრუნველყოფა;
ნ) სამსახურში არსებულ საბინაო წიგნებში სარეგისტრაციო ჩანაწერების საფუძველზე, საერთო საცხოვრებლებში დროებით მცხოვრები პირებისათვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის გასატარებლად საჭირო ცნობების გაცემა;
ო) საქალაქო სამგზავრო სატრანსპორტო პროცესებში მონაწილეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.
2. სამსახური აგრეთვე ასრულებს მისთვის მოქმედი სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

**თავი III**
**სამსახურის უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 4.**

1. სამსახურს უფლება აქვს:
ა) საქმიანობის ამოცანებსა და ფუნქციებს მიკუთვნებული საკითხების შესასრულებლად, დადგენილი წესით, მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის სამსახურებისაგან, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული საწარმოებისაგან, რაიონული გამგეობებისაგან, შესაბამისი სახელმწიფო ინსტანციებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
ბ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებანი საქალაქო სამსახურების, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით;
გ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე დაამყაროს ურთიერთობები და ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
დ) მიიღოს მონაწილეობა ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში;
ე) ხელი შეუწყოს საქალაქო ტრანსპორტის განვითარებისათვის ბიუჯეტგარეშე კაპიტალის (ინვესტიციები, გრანტები და სხვა სახსრები) მოზიდვას;
ვ) განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე და ამ მიზნით გამოყოს კოორდინატორი ან თანამშრომელთა შემადგენლობით შექმნას სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი;
ზ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტები.
2. სამსახური ვალდებულია:
ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
ბ) მიიღოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები.

**თავი IV**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 5.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქ. თბილისის მერის წინაშე.
3. სამსახურის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
ბ) მოქმედებს სამსახურის სახელით; წარმოადგენს სამსახურს (ან ანიჭებს სამსახურის წარმომადგენლობას) სხვადასხვა სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას;
გ) სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირება და სოციალური დაცვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
დ) სამსახურის საქმიანობის მიმართულებათა მართვის მიზნით განსაზღვრავს სამსახურის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ფუნქციებს, კომპეტენციებს და პასუხისმგებლობას, დასამტკიცებლად წარადგენს შტატგარეშე მოსამსახურეს დავალების შესრულების ვადით;
ე) თვალყურს ადევნებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას;
ვ) ხელს უწყობს სამსახურის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებას, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მათი მონაწილეობის მიღებას;

ზ) ქ. თბილისის მერთან, დადგენილი წესით, სამსახურის კომპეტენციის სფეროს განკუთვნილ საკითხებზე, შეაქვს წინადადებები გადაწყვეტილების მისაღებად;

თ) დადგენილი წესით ადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ი) აუცილებლობის შემთხვევაში შეაქვს წინადადება ქ. თბილისის მთავრობაში, სამსახურისათვის დამატებითი ასიგნებების გამოყოფის თაობაზე;

კ) პასუხისმგებელია სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

მ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილ ოქმებზე იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დადგენილებით;

ნ) პასუხისმგებელია მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ო) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებს მოქმედი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 6.**

1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის უფროსის მოადგილეები, მინდობილ სფეროში მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, პასუხს აგებენ სამსახურის უფროსის წინაშე.
3. სამსახურის უფროსის მოადგილეთა შორის ფუნქციებსა და კომპეტენციებს, ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ანაწილებს სამსახურის უფროსი.
4. სამსახურის უფროსის მოადგილეები, მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით, ხელმძღვანელობენ და ორგანიზაციას უწევენ მათ დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.
5. სამსახურის უფროსის არყოფნისას, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.
6. სამსახურის მმართველობითი სფეროსათვის მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხზე სამუშაოების შესასრულებლად სამსახურში შეიძლება შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.

**თავი V**
**სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები**
**მუხლი 7.**
**1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:**

ა) საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილება;

ბ) სანებართვო-ანალიტიკური განყოფილება;

გ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზედამხედველობის განყოფილება;

დ) პარკირების ორგანიზების განყოფილება;

ე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი აქტების ექსპერტიზის განყოფილება.

**2. საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების ფუნქციებია:**

ა) საგზაო მოძრაობის პირობების გამოკვლევა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შემუშავება;

გ) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების დასანერგად წინადადებებისა და დავალებების მომზადება, კონტროლი გაცემული დავალების შესრულებაზე და შესრულებული სამუშაოების მიღება;

დ) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების მუშაობაზე კონტროლის დაწესება, დედაქალაქში საჭირო საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა განსაზღვრა;

ე) საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების, არაგაბარიტული, მძიმეწონიანი და საშიში ტვირთების გადამტანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტების და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ წინადადებების მომზადება და მათი სქემების შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად;

ვ) დედაქალაქის მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემის (M2 და M3 კატეგორიის) შემუშავება, მისი პერიოდული შესწავლა და სქემების ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ზ) საქალაქო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების ერთიან სამარშრუტო ქსელში (M2 და M3 კატეგორიის) არსებული მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა;

თ) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

**3. სანებართვო-ანალიტიკური განყოფილების ფუნქციებია:**

ა) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად სათანადო დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი სანებართვო რეესტრის წარმოება;

ბ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

გ) სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

დ) საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზის საფუძველზე, ერთიანი საქალაქო პოლიტიკის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ე) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, საექსპლუატაციო და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დასაბუთებული გაანგარიშებების მომზადება;

ვ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავება;

ზ) ქ. თბილისის ბიუჯეტის ფორმირების ან/და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

თ) ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამსახურის ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება, შესაბამისი ინფორმაციების დამუშავება;

ი) ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხების გაცემისას, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურის დაცვის უზრუნველყოფა;

კ) სამსახურში არსებულ საბინაო წიგნებში სარეგისტრაციო ჩანაწერების საფუძველზე, საერთო საცხოვრებლებში დროებით მცხოვრები პირებისთვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის გასატარებლად საჭირო ცნობების მომზადება;

ლ) სამსახურის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გაფორმებული დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ფორმა N2) მიღება, დამუშავება და შესაბამისად საბიუჯეტო ვალდებულებების მოთხოვნა;

მ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა ხელფასებზე, პრემიებსა და სხვა გასაცემ თანხებზე სათანადო დოკუმენტების მომზადება;

ნ) სამსახურის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით შემსრულებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის სისტემატური ანალიზი;

ო) სამსახურის სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესში მონაწილეობის მიღება.

**4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზედამხედველობის განყოფილების ფუნქციებია:**

ა)საზოგადოებრივ ტრანსპორტზე საერთო ზედამხედველობის განხორციელება;

ბ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დაცვის კონტროლი;

გ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უნებართვო საქმიანობის გამოვლენა და მისი აღკვეთისათვის კანონდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოქმების შედგენა.

**5. პარკირების ორგანიზების განყოფილების ფუნქციებია:**

ა) პარკირების ორგანიზებისა და პარკირების წესების დაცვაზე კონტროლი;

ბ) პარკირების ადგილებისა და პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმიანობა;

გ) ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გარდა ფინანსური ვალდებულებებისა) შესრულებაზე კონტროლი;

დ) პარკირებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტების ოპერატორისთვის ინფორმირების უზრუნველყოფა;

ე) პარკირების სფეროს მართვასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება და საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების, დროებითი ავტოსადგომების და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ წინადადებების მომზადებასა და მათი სქემების შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად.

**6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი აქტების ექსპერტიზის განყოფილების ფუნქციებია:**

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა, შეფასება და სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე ოქმების გაცემა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალების წარმოება;

გ) ადმინისტრაციული სახდელის დადების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის და საურავის დარიცხვის შესახებ სამსახურის უფროსის დადგენილებების წარმოება;

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის გასაგზავნი ინფორმაციის მომზადება;

ე) სამსახურის სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფის განხორციელება, სამსახურში შემოსული ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, აგრეთვე სხვა დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

ვ) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამსახურის კომპეტენციას განკუთვნილ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში სამსახურის ინტერესების დაცვა;

ზ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

7. სტრუქტურული ქვედანაყოფები (განყოფილებები) ასრულებენ ამ დებულებითა და სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

**მუხლი 8.**

1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის (განყოფილების) უფროსი და სამსახურის სხვა მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის (განყოფილების) უფროსი:

ა) ანაწილებს ფუნქციებსა და მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) ზედამხედველობას უწევს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურის უფროსს, სამსახურის უფროსის კურატორ მოადგილესთან შეთანხმებით, წარუდგენს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის ანგარიშს;

ე) სამსახურის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრემიის დანიშვნის, მათი წახალისების ან მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ასრულებს წინამდებარე დებულებითა და სამსახურის უფროსის მიერ მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამსახურის სტრუქტურაში შედიან აგრეთვე თანაშემწე და მდივანი, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალოდ სამსახურის უფროსს და ასრულებენ მის დავალებებს.

**თავი VI**
**სამსახურის ქონება**
**მუხლი 9.**

სამსახურის ქონება წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. ამასთან, მის მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე საფინანსო რესურსები აისახება შესაბამის ბალანსში.

**თავი VII**
**დასკვნითი დებულებები**
**მუხლი 10.**

1. წინამდებარე დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს სპეცმანქანისა და ნაგვის ბუნკერების შესყიდვაზე:

**ლოტი N1**

ახალი ჰიდრავლიკური ნაგავშემკრები ავტომანქანა IZUZU NPR 1 ერთეული - განბაჟებული, სახელმწიფო ნომრით.

**ტექნიკური მახასიათებლები;**

**ზომები:** თვალების ბაზა 3365, მაქს. სგრძე 6065, მაქს. სიგანე 1995, მაქს. სიმაღლე 2200.

**წონა (კგ):** მაქს. წონა 2876, ტვირთამწეობა 4624, შასის წონა 2876.

**ძრავი:** მოდელი 4HG1 თ (EURO2), ტიპი თურბო Dიესელ, ცილინდრი 4, მოცულობა 4570, მაქს. სიმძლავრე (ც/ძ) 121.

**მახასიათებლები:** მაქს. სიჩქარე (კმ/სთ) 150, მაქს. მობრუნების რადიუსი 6850.

**ტრანსმისია:** მოდელი MYY, სიჩქარეების რაოდენობა 5 წინ/1 უკან.

**სამუხრუჭე სისტემა:** მუხრუჭები ABS.

**ავზი** მოცულობა 125ლ.

**საბურავები:** 215/75 R-17.5

**ზოგადი დამატებები:** ორი რკინის ტალახდამცავი, მბრუნავი ყვითელი მაშუქი შლუზის თავზე, პროჟექტორი Hოპერის თავზე, ოპერატორების სადგამი ორი ერთეული, 2 ხელსაჭიდი და პლატფორმა ოპერატორებისათვის.

**ლოტი N2**

მოთუთუებული ნაგვის კონტეინერი, ტევადობით 1.1 მ3, 40 ერთეული.

**ტექნიკური მახასიათებლები;**

1. კორპუსი ფოლადის ფურცლიდან სისქით 1.50მმ.
2. თავსახური ფოლადის ფურცლიდან სისქით 1.40 მმ.
3. კორპუსსა და თავსახურზე გამაძლიერებელი უკუქმედება.
4. თავსახურის სახელოები 3 მმ-ის.
5. თავსახური მოძრავი სპირალურზამბაროვანი.
6. თავსახურის ყელზე მექანიზმი სდექ.
7. თავსახურის ყელზე რეზინის პროფილი.
8. რკინის ფურცელი ფეხის გასაძლიერებლად
9. ბორბლის ფეხის რკინის ფურცელი 4 მმ-ის.
10. 4 ცალი მტვირთავი სიდიდით 200X50, მბრუნავი 3600-ზე, მათგან 2 ცალი - მუხრუჭით.
11. ნაგვის კონტეინერის შესაბამისობის საბუთი **TS EN 840 -3.** 12. ნაგვის კონტეინერის მასა 130 კგ (+ - 5%)

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი:220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300253174 სატენდერო მოსაკრებელი)

პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტებით განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 20 მარტს 16:00 სთ-მდე, (ყოველდღე 10 საათიდან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ.წყალტუბოს რუსთაველის ქ. N25, მე-2 სართული (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა).

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს;

**იურიდიული პირებისათვის;**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკი რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**ფიზიკური პირებისათვის;**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის;

დ) ცნობა საგადასახადოდან დავალიანების შესახებ;

ე) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ზემოთ მითითებულ მისამართზე და ტელეფონზე 895901075, 899573767.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" – მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №2, აცხადებს ტენდერს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების პროდუქტების შესყიდვა-მიწოდებასთან დაკავშირებით.

2.

| | | პროდუქტის დასახელება | რაოდენობა (კგ) |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | 1 | მარილი | 825 |
| ლოტი №1 | 2 | ტომატ-პასტა | 891 |
| ლოტი №1 | 3 | ზეთი | 2205 |
| ლოტი №1 | 4 | ხორცი | 1560 |
| ლოტი №1 | 5 | კარაქი | 1511 |
| ლოტი №1 | 6 | შაქარი | 4061 |
| ლოტი №1 | 7 | ყველი | 197 |
| ლოტი №1 | 8 | რძე | 2018 |
| ლოტი №1 | 9 | ჩაი | 71 |
| ლოტი №1 | 10 | მარცვლეული | 1869 |
| ლოტი №1 | 11 | საკონდიტრო ნაწარმი | 2418 |
| ლოტი №1 | 12 | ბურღულეული | 6244 |
| ლოტი №1 | 13 | ბოსტნეული | 14388 |
| ლოტი №1 | 14 | ერთბო | 181 |
| ლოტი №2 | 1 | პური | 18893 |

| № | ობიექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|
| 1 | №1 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 2 | №2 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 3 | №3 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 4 | №4 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 5 | ბაგა-ბაღი "გვირილა" | ქ. ყვარელი |
| 6 | №1 ბაგა-ბაღი | ახალსოფელი |
| 7 | საბავშვო ბაღი | ახალსოფელი |
| 8 | №1 ბაგა-ბაღი | შილდა |
| 9 | №2 ბაგა-ბაღი | შილდა |
| 10 | ბაგა-ბაღი | გავაზი |
| 11 | ბაგა-ბაღი | ჭიკაანი |
| 12 | საბავშვო ბაღი | ბალღოჯიანი |
| 13 | საბავშვო ბაღი | სანავარდო |
| 14 | საბავშვო ბაგა | სანავარდო |
| 15 | საბავშვო ბაღი | წიწკანაანთსერი |
| 16 | ბაგა-ბაღი | ენისელი |
| 17 | ბაგა-ბაღი | საბუე |
| 18 | საბავშვო ბაღი | შაქრიანი |
| 19 | საბავშვო ბაღი | ალმატი |
| 20 | საბავშვო ბაღი | გრემი |
| 21 | საბავშვო ბაღი | მთისძირი |
| 22 | საბავშვო ბაღი | კუჭატანი |
| 23 | საბავშვო ბაღი | ოქტომბერი |

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. პროდუქტის მიწოდების სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის ბოლომდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით 2009 წლის 20 მარტის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №2, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი. დალუქული პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 20 მარტს, 12 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისთვის:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან);

5.2. ფიზიკური პირებისთვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის:

ა) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომწოდებლების რეესტრში.

6. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: სახელმწიფო ხაზინა №200122900, სახაზინო შემოსავლების კოდი 300563174 და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 19 მარტის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №2, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 8-99-90-88-25; 8-252-2-08-04.

სატენდერო კომისია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება მრავალწლიან შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" აცხადებს ტენდერს **საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის მართვის მომსახურების მრავალწლიან შესყიდვაზე 2012 წლის 31 დეკემბრამდე**.

2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის მართვის ცენტრის ორგანიზება, რომელსაც ექნება შემდეგი ფუნქციები:

ა) ქსელში ჩართული ობიექტების სამომხმარებლო მარშრუტიზატორების დაკონფიგურირება და მისი გამართული ფუნქციონირება;

ბ) VPN ქსელის გამართული ფუნქციონირება - VPN საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და სააგენტოს კუთვნილი სერვერების მართვის ცენტრში განთავსება, ინსტალირება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) ინტერნეტის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი, სამუშაოებისა და მომსახურების მიღება-ჩაბარება;

დ) ქსელში ჩართულ სკოლებზე ინტერნეტის დინამიური განაწილება;

ე) მუშაობის სტატისტიკის მონიტორინგი და ანალიზი;

ვ) სკოლების მიერ მოხმარებული სერვისების ანალიზი და არასასურველი ინფორმაციის ბლოკირება (არასასურველი ვებ-გვერდები, ვირუსები, სპამები და ა.შ.);

ზ) სკოლების ვებ-გვერდების და სასწავლო მასალების სერვერზე განთავსება;

თ) სკოლების ელ-ფოსტით მომსახურებით უზრუნველყოფა;

4. გამარჯვებულმა ორგანიზაციამ 2009-2012 წლების განმავლობაში უნდა უზრუნველყოს საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის მართვის ცენტრის ორგანიზება და ქსელში 2 280 საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართვისა და მომსახურების უზრუნველყოფა.

5. დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ, 2009-2012 წლების განმავლობაში გასაწევი მომსახურების მიწოდების სავარაუდო გრაფიკი და გასაწევი მომსახურების ადგილი ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

6. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე სატენდერო მოსაკრებლის (ორასი ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 19 მარტის 18 საათამდე, მისამართზე: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დ.უზნაძის ქ. №68, თბილისი, საქართველო. მესამე სართული, ოთახი №11.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხულ უნდა იქნას: მიმღები: ერთიანი ანგარიში, მომსახურე ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, ანგ. №200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302003000, გადახდის დანიშნულება - სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი (ორგანიზაციული კოდი 0122).

8. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში ქართულ ენაზე 4 (ოთხ) ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი, ორი ასლი და ერთი ელექტრონული ვერსია), 2009 წლის 20 მარტის 18 საათამდე, მისამართზე: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დ.უზნაძის ქ. №68, თბილისი, საქართველო. მესამე სართული, ოთახი №11.

9. წარმოდგენილი სატენდერო პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 20 მარტს 18 საათზე, მისამართზე: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დ.უზნაძის ქ. №68, თბილისი, საქართველო. მესამე სართული, ოთახი №14.

10. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

11. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

12. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

12.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და წესდების ნოტარულად დამოწმებული ასლი;

ბ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

12.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა სასამართლოდან);

12.3 როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან).

გ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

დ) ინფორმაცია ამ სახის მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება) დართვით;

13. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-12 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

14. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

17. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება;

18. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

19. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით და ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

20. დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დ. უზნაძის ქ. №68, თბილისი, საქართველო. მესამე სართული, ოთახი №11. ტელ: (995 32) 91-05-52. ელ.ფოსტა: info@dlf.ge www.dlf.ge სატენდერო კომისიის აპარატი.

საკონტაქტო პირი მურთაზ სიჭინავა, ტელ: 91 05-52.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს "აგრეგატი"-ს (სნ 206124442) კუთვნილი, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №1-ში განთავსებული უძრავი ქონება, კერძოდ:

| დასახელება | ფართობი კვ.მ. | 1 უკ.მ. ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი |
|---|---|---|---|
| ლიტერი "ა" – კარკასულ-პანელოვანი შვიდსართულიანი შენობა | 1947 | 40.00 | 77880.00 |
| ლიტერი "ბ" – კარკასულ-პანელოვანი სამსართულიანი შენობა | 6404 | 50.00 | 320200.00 |
| ლიტერი "გ" – კარკასულ-პანელოვანი სამსართულიანი შენობა | 6091 | 55.00 | 335005.00 |
| ლიტერი "გ-პრიმა" – კარკასულ-პანელოვანი სამსართულიანი შენობა | 1694 | 50.00 | 84700.00 |
| ლიტერი "დ" – კარკასულ-პანელოვანი სამსართულიანი შენობა | 3332 | 50.00 | 166600.00 |
| ლიტერი "ე" – კარკასულ-პანელოვანი ერთსართულიანი შენობა | 1590 | 55.00 | 87450.00 |
| ლიტერი "ვ" – კარკასულ-პანელოვანი ერთსართულიანი შენობა | 1189 | 55.00 | 65395.00 |
| ლიტერი "ვ-პრიმა" – კარკასულ-პანელოვანი ორსართულიანი შენობა | 582 | 50.00 | 29100.00 |
| ლიტერი "ზ" – კარკასულ-პანელოვანი სამსართულიანი შენობა | 1173 | 30.00 | 35190.00 |
| ლიტერი "ზ-პრიმა" – კარკასულ-პანელოვანი ორსართულიანი შენობა | 812 | 30.00 | 24360.00 |
| ლიტერი "თ" – კარკასულ-პანელოვანი ერთსართულიანი შენობა | 1281 | 55.00 | 70455.00 |
| ლიტერი "ი" – კარკასულ-პანელოვანი ერთსართულიანი შენობა | 786 | 55.00 | 43230.00 |
| | | | |
| მიწა | 55034 | 22.00 | 1 210748.00 |
| ჯამი | | | 2 550 313.00 |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

*აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 30 მარტს, 14 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ.№8, თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.*

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციას) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მსურველები 2009 წლის 30 მარტამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე: 26-17-62.